წინათქმის მაგიერ

ოდესმე ჩვენი შვილები, შვილიშვილები გვკითხავენ ჩვენ, თუ რა მოხდა აფხაზეთში XX საუკუნის ბოლო ათწლეულში. პასუხი შეიძლება უბრალოც იყოს: დაპირისპირება აფხაზეთში საუკუნეთა განმავლობაში ერთად მცხოვრებ ქართველთა და აფხაზთა შორის; ომი, აურაცხელი სისხლი და ცრემლი, რომელიც სამარადჟამოდ შევა შავ ლაქად საქართველოს ისტორიაში.

მაგრამ ეს ძალზე ცოტაა. ჩვენ არა გვაქვს უფლება, მომავალმა თაობამ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ არ იცოდეს სრული სიმართლე აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ, ან იცოდეს ნახევარსიმართლე, ან სიყალბე, რასაც ასე უხვად ავრცელებენ ისტორიის ფალსიფიკატორები, აგრეთვე ტენდენციური მედროვეები, რომლებიც უბრალო ადამიანთა უბედურების ხარჯზე ცდილობენ პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა მერკანტელური დივიდენდების მოპოვებას.

თუმცა აფხაზეთის ლაბირინთიდან გამოსვლა დღემდე გაჭიანურდა, - ეს დროც დადგება. სიმართლე, როგორიც ის არის, და სრული ჭეშმარიტება, უპირველესად, ქართველებსა და აფხაზებში უნდა გაცნობიერდეს, რათა, მომავალში აღარასოდეს განმეორდეს.

ჩვენი წიგნი, რომელსაც ოდნავაც არა აქვს კონფლიქტთან დაკავშირებით ყველა საკითხზე ამომწურავი პასუხის პრეტენზია, შეიქმნა საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით დროებით კომისიაში თავმოყრილი ობიექტური (ესეც შეიძლება ჩაითვალოს სუბიექტურ მოსაზრებათ) წყაროების საფუძველზე და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, აფხაზეთის მოვლენების უშუალო მონაწილე და თვითმხილველი ავტორების პირად არქივებზე დაყრდნობით. მასში შეძლებისდაგვარად არის აღდგენილი აწ უკვე ისტორიის კუთვნილებად გამხდარი დღეებისა და წლების სასტიკი რეალობა, განვლილი ომის საშინელება, რომელშიც გამარჯვებული არც ქართველი და არც აფხაზი არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო.

ჩვენ, ქართველებსა და აფხაზებს, უფალმა გვარგუნა ერთად ცხოვრების ბედნიერება და უბედურებაც. ამ რეალობის ძალადობრივი შეცვლის მცდელობისათვის ღვთის სასჯელს დავიმსახურებთ, რაც, უპირველეს ყოვლისა, გადაგვარებითა და უცხოტომელთა უკიდეგანო ოკეანეში შთანთქმით განსრულდება.

სანამ გვიან არ არის. აფხაზეთის ლაბირინთიდან გამოსასვლელი უნდა მოინახოს: აღდგეს დარღვეული ბუნებრივ-ისტორიული და ეთნიკური არეალი; გამთლიანდეს

მტრობით ჩატეხილი ხიდები; დამწვარ-განადგურებული ქალაქები და სოფლები; მშვიდობამ და თანხმობამ დაისადგუროს ჩვენს სულებსა და გულებში.

ქართველი და აფხაზი საუკუნების მანძილზე ერთად ცხოვრებამ დააახლოვა ერთმანეთს, ნათესავებად აქცია. ამიტომ მათ შორის წარმოქმნილი პრობლემის გადაწყვეტაში დიალოგს ალტერნატივა არა აქვს!

ცხოვრება გრძელდება. მზე კვლავ ამოდის და ჩადის, თუმცა, უცვლელი არაფერი დარჩა. ჩვენც შევიცვალეთ, ადრინდელზე განსხვავებულად ვაფასებთ მომხდარს და გამოსავალს ვეძებთ. გრძელი გზა გვაქვს გასავლელი. თუმცა, ამ გზაზე არა გვაქვს უფლება, დავივიწყოთ, რაც თავს დაგვატყდა 1992-1993 წლებში და დღემდე ბოლო არ უჩანს მას.

დრო და ისტორია, თაობები განსჯიან მტყუან-მართალს, მაგრამ ეს არ არის მთავარი; მთავარია, ჩიხიდან გამოვიდეთ, შედგეს დიდი შერიგება აფხაზთა და ქართველთა შორის.

ამის შემდეგ შეგვიძლია გულწრფელად მოვუთხროთ მომავალ თაობებს ის, რაც სინამდვილეში იყო, ის, რის გამოც ურთულეს ბნელ ლაბირინთში აღმოვჩნდით, სადაც მზესა და ნათელს ჭრაქით დავეძებთ ჯვარცმული აფხაზეთის ბედკრული შვილები.

თუ რამდენად შევძელით სათქმელის თქმა, დაე, მკითხველმა განსაჯოს.

ავტორები

I. წარსული

1. მცირე ექსკურსი ისტორიაში

აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველებისა და აფხაზების აბორიგენობის შესახებ ისტორიულ მეცნიერებაში სხვადასხვა, ხშირად დიამეტრიულად დაპირისპირებული აზრია, მაგრამ არავინ აყენებს ეჭვქვეშ ქართველთა ავტოქთონობას აფხაზეთში.

უკანასკნელი არქეოლოგიური კვლევების მონაცემებით, ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე ისე, როგორც დანარჩენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და მთელს დასავლეთ საქართველოში დამოწმებულია საერთო კოლხური კულტურა, რომლის არეალში მთლიანად შედიოდა აფხაზეთი. ანტიკური ავტორების თანახმად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ტომებს შორის დომინირებული მდგომარეობა ეკავათ კოლხებს (ქართული ტომი), რომლებმაც

გააერთიანეს რა ადგილობრივი ტომები, ძვ. წ. VI ს. შექმნეს კოლხეთის სამეფო (პირველი ქართული სახელმწიფო დასავლეთ საქართველოში). ანტიკური ავტორები კოლხეთში მცხოვრებ ტომებს ხშირად ერთ ტერმინში ეართიანებენ და კოლხებს უწოდებენ.

კოლხი კრებითი სახელია და ასეთი ცალკე ტომი არც არის ცნობილი. იგი აერთიანებს მეგრულ-ლაზურ, სვანურ და ძველაფხაზურ ეთნიკურ ჯგუფებს. უკანასკნელს მეცნიერთა უდიდესი ნაწილი ქართველურ ტომად მიიჩნევს. როგორც აფხაზი მეცნიერი შალვა

ინალ-იფა წერს, „კოლხური კულტურის შემქმნელები და მატარებლები იყვნენ ადგილობრივი მონათესავე დასავლეთ ქართველური და აფხზური ტომები“ (Ш.Д.Инал-ипа. Абхазы. Сухуми, 1965, с. 82).

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე აფხაზთა ტომების წინაპრები პირველად მოიხსენიება I-II საუკუნეში (არიან ფლავიოსი). ამ პერიოდში აფხაზეთის მთიანეთში იქმნება აბაზგებისა და აფსილების სათავადოები, ხოლო აფსილებიდან დასავლეთ სანაპიროზე - სანიგების სათავადო. აღსანიშნავია, რომ მეცნიერთა ნაწილი მათ მიიჩნევს დასავლეთ ქართულ ტომებად, ნაწილი კი - აფხაზურ-ადიღურად. ეს სათავადოები ლაზიკის სამეფოსთან ერთად ემორჩილებოდნენ რომის იმპერიას, შემდგომ - ბიზანტიას.

IV საუკუნიდან ლაზიკის სამეფო ძლიერდება და აერთიანებს თითქმის მთელს კოლხეთს (დასავლეთ საქართველოს), თანამედროვე აფხაზეთის ჩათვლით.

VI-VII საუკუნეებში ბიზანტიამ დასავლეთ საქართველოში გააუქმა სამეფო ხელისუფლება და მდ. კოდორის სამხრეთით შეიქმნა ლაზეთის საპატრიციო, ხოლო ჩრდილოეთით - აფხაზეთის საერისთაო.

კოლხეთ-ეგრისის სახელმწიფოში შემავალი აფხაზეთის ქართველური და გენეტიკურ-კულტურულად მათი თანამოძმე ტომების: ჰენიოხების, სანიგების, კორაქსების, მოსხების (მესხების), აფშილების, აბაზგებისა და მისიმიანების ეთნიკური და პოლიტიკური საზღვრები შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთში ნიკოფსია - მდ. ყუბანამდე აღწევდა.

VIII საუკუნის 30-იანი წლებიდან გაძლიერებულმა აფხაზეთისა და ლაზიკის სამთავროებმა განდევნეს არაბი და ბიზანტიელი დამპყრობლები, რამაც ხელი შეუწყო დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას. ამავე საუკუნის ბოლოს ლეონ II თავი აფხაზეთის მეფედ გამოაცხადა, რადგან ის, პირველ რიგში, აფხაზეთის სამთავროს ერისთავი იყო. ამ დროიდან დასავლეთ საქართველოს, რომელიც ფაქტიურად ეგრისის სამეფოს მოიცავდა, დაერქვა აფხაზეთის სამეფო.

დანარჩენ საქართველოსთან ძველი აფხაზების ეთნო-კულტურულ სიახლოვეზე მეტყველებს მათი ბუნებრივი და ამიტომაც უმტკივნეულო გაერთიანება დასავლეთ ქართველურ ტომებთან ერთად აფხაზეთის სამეფოში, რომლის მართვა-გამგეობა, ღვთისმსახურება, საქმისწარმოება, სწავლა-განათლება და სხვა ქართულ ენაზე, ქართული კულტურისა და ქართული პოლიტიკის საფუძველზე წარმოებდა.

მე-10 ს. ბოლოსა და მე-11 ს. დასაწყისში საქართველო გაერთიანდა. მასში შევიდა საკუთრივ აფხაზეთის ფეოდალური სამთავრო. ეს იყო ისტორიული პროცესების ლოგიკური განვითარება, რადგან აფხაზეთის მეფეები ეთნიკური და კულტურულ-პოლიტიკური თვალსაზრისით ქართველებს წარმოადგენდნენ, ხოლო აფხაზეთის არისტოკრატიისათვის ზოგადქართული ფეოდალური კულტურა ეროვნული კულტურა იყო ქართული ენით, დამწერლობითა და მართლმადიდებლური ქრისტიანობით. თანამედროვე აფხაზი მეცნიერი ხ.ბღაჟბა წერს: „ყველაზე ძველი ქართული წარწერები აფხაზეთის ტერიტორიაზე, როგორებიცაა ლიხნის, ანუხვის, წარჩის, ღუმურიშის, ილორის თარიღდება ძირითადად მე-11 - მე-12 საუკუნეებით“ (რ.მიმინოშვილი, გ.ფანჯიკიძე. სიმართლე აფხაზეთზე. თბ. 1990, გვ. 77).

მონღოლ-თათართა (მე-13 ს.) და თემურ-ლენგის (მე-14 ს.) შემოსევებით დასუსტებული საქართველო მე-15 საუკუნის ბოლოს დაიშალა. მე-17 ს.-მდე აფხაზეთის სამთავრო ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა.

მე-17 ს. 80-90-იან წლებში სუსტარ შერვაშიძის მეთაურობით აფხაზებმა მდ. ენგურამდე ტერიტორია და მოსახლეობა დაიპყრეს, ხოლო შემდეგ ცენტრალურ სამეგრელოსაც შეუტიეს. თუ კოლხეთ-ეგრისის სამეფოს დროს ქართველების (კოლხების, სვანების, მოსხების) ეთნიკური საზღვრები ტუაფსე-ყუბანამდე ვრცელდებოდა, შემდეგ ადიღე-ჩერქეზებმა (ჯიქ-სან-ქაშგებმა, უბიხებმა და სხვ.) დაიპყრეს და დაიკავეს აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი მხარე ტუაფსე (ნიკოფსია)-სოჭი-ადლერის მიდამოები და მთელი აფხაზეთის ხელში ჩაგდებასაც ლამობდნენ. ქართველთა წინააღმდეგობის გამო ეს პროცესი ნელა ან საერთოდ ვერ ხორციელდებოდა, მაგრამ გარკვეული ტერიტორიების (უპირატესად, მთების) დაკავებას ჩრდილო კავკასიელები მაინც ახერხებდნენ და შესაძლო შემთხვევაში ზღვის სანაპირო-დაბლობებისაკენაც მოიწევდნენ.

დაარღვია რა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები, 1801 წელს რუსეთმა მოახდინა ქართლ-კახეთის (აღმოსავლეთ საქართველო) ანექსია. 1803-1804 წლებში იგივე ბედი ეწია იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს. 1805 წელს სამურზაყანოს (თანამედროვე გალისა და ნაწილობრივ ოჩამჩირის რაიონები) მთავრებმა მანუჩარმა და ლევან შერვაშიძეებმა სურვილი გამოთქვეს მიეღოთ

რუსეთის ქვეშევრდომობა, რაც 1810 წელს განხორციელდა. აფხაზეთი (სოხუმის ოლქი) შევიდა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში.

1837 და 1840 წწ. რუსული მმართველობა იქნა შემოღებული ზებელდისა და სამურზაყანოს რეგიონებში. მომდევნო წლებში რუსებმა მმართველობაში კიდევ მრავალი ცვლილებები განახორციელეს. 1851 წლიდან რუსების სამხედრო ადმინისტრაცია ბომბორიდან სოხუმში გადმოვიდა.

1864 წ. ნოემბერს აფხაზეთის სამთავროს გაუქმების გამო მისი მთავარი მიხეილ შერვაშიძე რუსეთში, ქ. ვორონეჟში გადაასახლეს. გადასახლებულ მთავარს თან ახლდა ამალა შემდეგი შემადგენლობით: ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), მოძღვარი - დეკანოზი ბასილ მიქაბერიძე, მთავარდიაკონნი ივანე თვალთავაძე და იოსებ ტიტვინიძე, მედავითნენი გ.კასრაძე და ა.დგებუაძე, ბაზიერი ო.კახიძე, მემიმინოვე გ.შარაშიძე, მემეძებრე ბ.მიქელაძე (იხ. თედო სახოკია, მოგზაურობანი. ბათუმი, 1985, გვ.392).

რუსეთმა აქტიურად დაიწყო შავიზღვისპირეთის კოლონიზაცია (სამხედრო და სამოქალაქო ჩინოვნიკებისათვის მიწების დარიგება, რუსებისა და სხვა კოლონისტების ჩამოსახლება). აფხაზეთში ცარიზმის მოხელეთა თვითნებობამ 1866 წლის სახალხო აჯანყებამდე მიიყვანა საქმე, რომელიც სასტიკად იქნა ჩახშობილი. აფხაზები გამოცხადდნენ „დამნაშავე ხალხად“ და დარჩნენ ასეთად 1907 წლამდე. აჯანყებას მოჰყვა მრავალი ათასი აფხაზის გადასახლება თურქეთში. ქართულმა ინტელიგენციამ პროტესტი გამოთქვა აფხაზთა გენოციდის გამო, მაგრამ პროცესს ვერ შეუშალა ხელი (იხ.: გაზ. „დროება“, 1867, №23; 1878, №100, 158; 1909, №260). გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გ.წერეთელი წერდა: “Турецкие оккупанты увели наших (!) 48 тыс. абхазов” (გაზ. “Голос”, 1877, №158;).

ცარიზმი ცდილობდა შეესუსტებინა აფხაზეთზე ქართული გავლენა და ამ გზით მოეხდინა აქ მცხოვრებ ხალხთა ასიმილირება. აი რას წერდნენ კავკასიის სამოქალაქო ნაწილის უფროსი თავადი გოლიცინი და ეგზარხოსი ალექსეი რუსეთის ეკლესიის სინოდის ობერპროკურორს: “Сухумскую Епархию (...) желательно оторвать от весьма нежелательного грузинского влияния. С этой целью было бы очень полезно присоединить Сухумскую епархию к Кубани. В Кубанском крае насчитывается 1,7 млн русского православного населения. В этой массе легко растворится 100 тыс многоязыковое население Черноморского побережья”. იგივე აზრია გატარებული 1887 წელს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის პატაკში: „ქართული მოძრაობა სოხუმის ოლქის გარუსებას უშლის ხელს“.[1]

[1] თედო სახოკია. კრებული. თბილისი. 1969. გვ. 65.

* * *

1916 წელს თბილისში ჩამოვიდა აფხაზების დელეგაცია, რომელმაც მხარის ეკონომიკური და კულტურული განვითარების გეგმა ჩამოიტანა. დელეგაციამ დასვა საკითხი სოხუმის ოლქის ცალკე გუბერნიად გარდაქმნის შესახებ. დეპუტაციამ ხალხის სახელით მოითხოვა არ გამოეყოთ სოხუმის ეპარქია საქართველოს ეკლესიისაგან, როგორც ამას აპირებდა რუსეთის ეკლესია.

აფხაზებისა და ქართველების დაპირისპირების მცდელობა გაძლიერდა რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და განსაკუთრებით ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ. ამის გამოხატულება გახდა აფხაზეთის შესვლა კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირში, ხოლო შემდგომ ამ ორგანიზაციის შემადგენლობაში სამხრეთ-აღმოსავლეთ კაზაკთა, კავკასიის მთიელთა და სტეპების თავისუფალ ხალხთა კავშირში გაერთიანება. В ноябре 1917 года Союзом объединенных горцев Северного Кавказа и Дагестана было провозглашено государство Горская республика, однако, вскоре правительство Горской республики объявило о самороспуске (после взятия Дагестана войсками генерала Деникина). Затем уже в составе РСФСР в 1918 г. была провозглашена Се́веро-Кавка́зская Сове́тская Респу́блика, объединившая 7 штатов: Дагестан, Чечено-Ингушетию, Осетию, Карачаево-Балкарию, Кабарду, Адыгею и Абхазию. Просуществовала Республика всего полгода. В 1920 г. была учреждена Горская автономная республика, простиравшаяся лишь от Кабарды до Чечни, которая также оказалась нежизнеспособной: в 1924 г. она была ликвидирована.

1917 წლის 8 ნოემბერს გაიმართა აფხაზთა ყრილობა. შეიქმნა აფხაზეთის სახალხო საბჭო (ასს). მასში შევიდნენ მხოლოდ აფხაზები. ყრილობამ მიიღო აფხაზეთის სახალხო საბჭოს კონსტიტუცია და დეკლარაცია. 1918 წლის 9 თებერვალს, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, თბილისს ეწვია ასს დელეგაცია და მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვით აფხაზეთს ეძლეოდა ავტონომიის სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში. ამ შეთანხმებიდან გამომდინარე, იმავე წლის ივნისში საქარველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ასს შორის ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომლის მიხედვით აფხაზეთის მართვის შინაურ საქმეებს განაგებდა ასს, ხოლო ცენტრალურ ხელისუფლებასთან იქმნებოდა აფხაზეთის საქმეების მინისტრის პოსტი (რომელზეც შემდგომ დაინიშნა პოლკოვნიკი რ. ემხვარი). ამგვარად, აფხაზეთის ავტონომია დადასტურდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღების შემდეგ, ქვეყნის კონსტიტუციის მიღებამდე (1921

წლის 21 თებერვალი). ამით ოფიციალურად იქნა დაკანონებული აფხაზეთის ავტონომია და რიგი აფხაზი ისტორიკოსის სეპარატისთა ლიდერების მტკიცება, რომ 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენამ გააუქმა აფხაზეთის ავტონომია, რადგან ის თითქოს საერთოდ არცაა მოხსენიებული აღნიშნულ კონსტიტუციაში, სიმართლეს არ შეეფერება. უფრო მეტიც, 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციის პირველივე მუხლში, რომლითაც აღდგენილ იქნა 1921 წლის კონსტიტუცია, ხაზგასმულია, რომ ეს ძირითადი კანონი ძალაში შედის საქართველოს თანამედროვე საზღვრებში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიების სტატუსის შეუცვლელად.

1920 წლის ოქტომბერს ასს მიიღო აფხაზეთის ავტონომიის კონსტიტუციის პროექტი, რომელშიც კიდევ ერთხელ დაფიქსირდა, რომ აფხაზეთი შედის საქარველოს შემადგენლობაში როგორც ავტონომიური ერთეული. პროექტის პირველ თავში ნათქვამია: "Абхазия (...) входит в состав Демократической Республики Грузии, как автономная единица. Абхазия независима постольку, поскольку ее независимость не ограничена настоящей Конституцией." მნიშვნელოვანია აღნიშნული კონსტიტუციის პროექტის მე-8 მუხლი: "Общими для Грузии и Абхазии делами являются: а)Внешная политика... б)Денежная система... в)Таможня... г)Почта и Телеграф; д)Войско; но в Абхазии войсковые части формируются по принципу территориального комплектования Комиссариатом Абхазии и обслуживают постоянно Абхазию, за исключением случаев, когда государство находится в состоянии войны. (...) Нахождение в мирное время в Абхазии иных, кроме территориальных, войск допускается лишь с согласия Народного Совета Абхазии."[2] აფხაზეთის ავტონომია დაადასტურა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციამ.

თუ როგორ ზრუნავდა საქართველოს ხელისფლება საკუთური მოქალაქეების ბედზე იქიდანაც ჩანს, რომ 1920 წელს მან ანტატის წინაშე დასვა საკითხი თურქეთში გადასახლებულ აფხაზთა დაბრუნების შესახებ.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ანექსია. 4 მარტს შეიქმნა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. პოლიტიკურად და ეკონომიკურად ის მთლიანად დამოკიდებული იყო საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის ფედერაციაზე. რკპ (ბ) ცკ კავკასიის ბიუროც არ თვლიდა აფხაზეთს დამოუკიდებელ რესპუბლიკად. 1921 წლის ივლისში კავბიურომ დაადგინა: „1. ჩაითვალოს აუცილებლად კავკასიის რესპუბლიკების (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) დამოუკიდებლობის ცხოვრებაში გატარება"... აფხაზეთის შესახებ სკპ (ბ) კავბიუროს

[2] ჟურნალი „პოლიტიკა". 1993. „9.

პრეზიდიუმმა იმსჯელა 1921 წლის 1 ნოემბერს და დადგენილებით დაავალა შექმნილ კომისიას, დაამუშაონ და წარადგინონ დასამტკიცებლად შეთანხმების პროექტი აფხაზეთისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. ამის წინააღმდეგ გამოვიდა აფხაზეთის ზოგიერთი ხელმძღვანელი. ე.ეშბამ 1921 წლის 14 ნოემბერს წერილიც გაუგზავნა კავბიუროს, რომელშიც მოითხოვა აფხაზეთის ამიერკავკასიის ფედერაციაში პირდაპირ შეყვანა. საბოლოოდ საკითხი მოგვარდა 16 ნოემბრის კავბიუროს პრეზიდიუმის სხდომაზე. მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაუმართლებლად იქნეს მიჩნეული დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობა“.[3] ამიტომ აფხაზეთის სსრ-მ იმავე წლის 16 დეკემბერს მიიღო ე.წ. ხელშეკრულებითი რესპუბლიკის სტატუსი და, ფაქტიურად, შევიდა საქართველოს შემადგენლობაში. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა თბილისში. ამ ხელშეკრულების მიხედვით: „...1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ერთმანეთთან ამყარებენ სამხედრო, პოლიტიკურ და ფინანსურ-ეკონომიკურ კავშირს; 2. წინა პუნქტში მითითებული მიზნების ხორცშესხმისათვის ორივე მთავრობა აერთიანებს შემდეგ კომისარიატებს: ა) სამხედრო, ბ) ფინანსების, გ) სამხედრო მეურნეობის, დ) ფოსტისა და ტელეგრაფის, ე) საგანგებო კომისიის, ვ) მუშურ-გლეხური ინსპექციის, ზ) იუსტიციისა და თ) საზღვაო ტრანსპორტის. შენიშვნა: 1. საგარეო საქმეები მთლიანად რჩება საქართველოს სსრ კომპეტენციაში, 2. რკინიგზა გადადის უშუალოდ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს გამგებლობაში, საგარეო ვაჭრობა - საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის გაერთიანებული უწყების კომპეტენციაში; 3. გაერთიანებული კომისარიატების მუშაობის წესი და ფორმა დგინდება ორივე მთავრობის განსაკუთრებული შეთანხმებით; 4. ყველა საოლქო გაერთიანებებში, კერძოდ, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციაში, აფხაზეთი შედის საქართველოდან“...[4] 1931 წელს საქართველოსა და აფხაზეთის საბჭოების ყრილობების გადაწყვეტილებით აფხაზეთი გარდაიქმნა ავტონომიად საქართველოს სსრ შემადგენლობაში.

2. ეთნიკური და დემოგრაფიული ასპექტები აფხაზეთში

თანამედროვე აფხაზები გენეტიკურად ორი სხვადასხვა ეთნიკური ხალხისაგან შედგება: საკუთრივ აფხაზების, ანუ ძველი ქართველებისაგან და აფსუების, ანუ

[3] Сагариа Б.Е. О “Белых” и “черных” пятнах Абхазии. Гагра. 1993. с.50.

[4] ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, 1921-1925. დოკუმენტებისა და მასალების კრებული. თბ., 1958. გვ. 80.

ადიღე-ჩერქეზებისაგან (უპირატესად აბაზებისაგან). ამიტომაა, რომ აფხაზთა ამ ნაწილის თვით სახელწოდება „აფსუა“ მხოლოდ XVIII ს.-ის შემდეგ გაჩნდა და განმტკიცდა. ამასთან, თანამედროვე აფხაზების ენა ადიღეურ-ჩერქეზულ ენათა ოჯახში შედის.[5]

აფხაზებში აფსუების გვიანდელ დამკვიდრებაზე მიუთითებს ის, რომ აფსუურმა (აბაზურმა) ენამ შესაბამისი ლინგვისტური გამოხატულება ვერ ჰპოვა აფხაზეთის უძველეს და შუა საუკუნეების ტოპონიმიკაში, ეკლესია-მონასტრების ეპიგრაფიკულ, ფრესკულ და სხვა წარწერებში, ასევე ეკლესია-მონასტერთა ყმა-მამულების ნუსხებში. მათში ქართველური გვარები და მათთან დაახლოებული სხვა ხალხების გვარები ფიგურირებენ.

ანთროპოლოგიური მონაცემების მიხედვით, ქართული და აფხაზური მოსახლეობის ფიზიკური ტიპი უნდა გაერთიანდეს წინააზიური ანთროპოლოგიური ტიპის შავიზღვისპირულ შტოში მაშინ, როცა ჩრდილოკავკასიური - ჩერქეზულ-ადიღურ შტოში.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ აფხაზეთში ადიღურ-ჩერქეზული მოდგმის აფსუათა ჩამოსახლება რამდენიმე ნაკადად განხორციელდა, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ნაკადი - საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის (XVII-XVIII სს.) პერიოდში, როდესაც მათ ადგილობრივი მოსახლეობისაგან მიიღეს, შეითვისეს და დაიმკვიდრეს აფხაზობა. ფაქტია, რომ დასუსტებული და დაშლილი საქართველო, ერთი მხრივ, თურქ-ოსმალთა გარემოცვასა და გავლენის ქვეშ მოექცა, ხოლო, მეორე მხრივ, მას ჩრდილო კავკასიის ტომები შემოესივნენ.

აფხაზეთის უძველესი და თანამედროვე მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის დადგენაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს ანთროპოლოგიურ მონაცემებს. დადგენილია, რომ ძველი მოსახლეობის ფიზიკური ტიპი ანთროპოლოგიურად ქართველს ემთხვევა. ერთ ანთროპოლოგიურ ჯგუფში თავსდებიან აჭარლები, გურულები, მეგრელები, სვანები, აფხაზები და სხვა. ამ თვალსაზრისით საინტერსოა თანამედროვე აფხაზი მეცნიერის შ.ინალ-იფას აზრი, რომლის მიხედვით თანამედროვე აფხაზები ანთროპოლოგიურად ეკუთვნიან დასავლეთკავკასიურ ტიპს, რომელიც, ერთი მხრივ, სიახლოვეს ამჟღავნებს ქართველებთან, ხოლო, მეორეს მხრივ, ჩერქეზებთან. მისივე თქმით, აფხაზების ანთროპოლოგიური მსგავსება ქართველებთან უფროა გამოხატული, ვიდრე ჩერქეზებთან, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე აფხაზების (იგულისხმება აფსუები) ენა ადიღეურ-ჩერქეზულ ენათა ოჯახში შედის.[6]

---

[5] Инал-ипа Ш. Д. Абхазы. Сух., 1965, с. 50.

[6] გაზ. „საქართველო“, 1997, სპეციალური გამოშვება.

აფხაზების ტიპზე დაახლოებით იგივე მოსაზრება გამოთქვა აკადემიკოსმა ვ.ალექსეევმა: „ანთროპოლოგიური მონაცემები მოწმობენ, რომ აფხაზებს მეტი ისტორიული კავშირი ჰქონდათ ქართველებთან, ვიდრე ადიღურ სამყაროსთან, აფხაზების შესვლა ადიღურ ენათა ოჯახში გვიან განხორციელდა, რაც თავისთავად მეორად მოვლენას წარმოადგენს მათ ეთნიკურ ისტორიაში.[7]

ქართველი მეცნიერის პ.გუგუშვილის მონაცემებით, XVIII-XIX სს. მიჯნაზე აფხაზეთის მთელი მოსახლეობა დაახლოებით 30 ათასს, ხოლო 1832 წელს 34,8 ათას სულს შეადგენდა.[8]

XIX საუკუნის პირველი ნახევრის აფხაზეთის ეთნიკური სურათის მიახლოებითი დადგენა მაინც შესაძლებელია ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების კომისიის მიერ ამ კუთხის სხვადასხვა თემისა და სოფლის ეკლესიებში შედგენილი გვარობრივი სიების საფუძველზე.

თურქეთისაგან განთავისუფლებულ და რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფ აფხაზეთში დღის წესრიგში დადგა გამაჰმადიანებული და წარმართი მოსახლეობის გაქრისტიანების საკითხი. ამასთან დაკავშირებით XIX ს. 30-იან წლებში შედგენილი ლიხნის თემის მოსახლეობის სიაში ირიცხებოდა 400-მდე კომლი. XIX საუკუნის ცნობილი ეთნოგრაფის თ.სახოკიას განმარტებით, სახელი ლიხნი ქართული სიტყვაა.[9] ლიხნში ამ პერიოდისთვის დაფიქსირებულია შემდეგი გვარეულობები: თორნავა, ქველია, გუნბა, უგულავა, მალუხია, ჯოღორია, ყურუა, ჯორჯიკია, ჰალვაში, თარბაია, ფილია, კუნია, საქანია, მახარია, კანკია, ხურხუნძია, უკულია, გვასალია, გიგალია, მამსირ, ლოლუა, ცუშბაია, ჯიქია, ხუმატაშვილი, გვაზავა, ქავთარაძე, ჭანტურია, ჯინჯია, შეყრილავა, გერსამია, ქირია, ცაავა, ჯერგენია, ბარციცი, მარგალია, ღურწკაია, ტვანბაია, ფარცვანია, ინალიშვილი, ლაჭიბაია, არძიბაია, ლასურია, მარშანია, პაპასქირი, ფაცია, ჩარგაზია და სხვა. ლიხნის მცხოვრებთა დაახლოებით 130 გვარეულობიდან 85-მდე ქართულია, 35-მდე აფსუური, 13 კაზაკური, თურქული და ა.შ.[10]

მოსახლეობის წარმომავლობის თანაფარდობის მხრივ ქართველები კიდევ უფრო ჭარბობენ „აბჟუის“ საზოგადოებაში, ანუ ე.წ. კოდორის უბნის: კვიტოულის, ტამიშის, კინდღის, შქაწყარის, ლეხინოს, მოქვის, ხინოსა და სხვა თემებსა თუ სოფლებში. მაგალითად, კვიტოულში 1834-1835 წლებში აღრიცხულ 156 სულიდან ორიოდე თუ ურევია აფხაზური წარმომავლობის გვარეულობა, დანარჩენი ყველა ქართველია.

---

[7] Алексеев В. П. Происхождение народов Кавказа. М., 1974. с. 194.

[8] პ.გუგუშვილი. სოციოლოგიური ეტიუდები. II, თბ., 1971. გვ. 351.

[9] თედო სახოკია. მოგზაურობანი. ბათუმი. 1958. გვ. 389.

[10] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფონდი 488, ან. 1, საქმე 3441, ფურც. 10-14; ან.2, საქ. 5056, ფ. 20-25.

გთავაზობთ ამ გვარების ჩამონათვალს: ჯორჯიკია, კოღონია, პაპასქირი, კიკალია, კორტაძე, ბუკია, ლასურია, მალანია, ჭელია, დარასელია, ყარტაშია, გითოლენდია, წვინარია, კობახიძე, ჩიკორია, ფინფია, შხანუფია, კოტუა, ქუჩულორია, ტოჩია, წუდია, აკობია, ჯანჯღავა, კონტორბაია, ჯღაბელია, საქანია, ლანღიძე, ძიღია, ჭანია, ოშიშხია, ბახვალია, ჭაბაია, ფილია, კაცინაძე, საქილანძე, კაკაჩია, გაბისონია, კვარჭალია, სამსონია, და სხვა.[11]

ასეთივე სურათია ტამიშის თემში (დავითაია, სალმაქია, დანელია, გოგია, რიგვავა, მოროხია, ბარგანჯია, ბუკია...), ასევე კინდღში (პატარაია, ნანია, გაბუნია, გოგია, ჯინჯოლია, ღუნჯია...).

ქართველთა და აფსუათა თანაფარდობის თვალსაზრისით თითქმის იგივე სურათია გუდაუთის დურიფშის თემში, სადაც 400-მდე კომლი ცხოვრობდა და ძირითადად მოსახლეობას კობახია და გუნბა შეადგენდნენ.[12] გუდაუთის სოფ. მაზუხვაში უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, მაგ., კობახია, ჟვანია, თორია და სხვა. ასეთივე ვითარება იყო სოფ. ლეხინოში, რომლის მოსახლენი იყვნენ: გეგია, ქორთუა, თარბა, შალაგვა, გირცია, სვანიძე, ჯიკირბაია და სხვა.[13]

აფხაზეთის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას რომ ქართველები შეადგენდნენ, ამას მოწმობს 1837 წელს ქრისტიანულად მონათლულთა სიებიც. მაგალითად, კვიტოულის თემში ცხოვრობდნენ: ჭილია, თორია, წუნარია, ყურშია, ლატარია, ჭანბაია, კვიცინია, ჟანგერია, ჯინჯოლია, აგრიბა, კვარტავა, ხურცილავა, ჩიგია, კოღონია, გერსამია, ლადარია, ჭედია, შეყრილოვ, ღვინჯია, ანუა, პაჭიჭი, ხალვაში და სხვა.[14]

ზემოთ მოყვანილი საარქივო მასალები მიუთითებს იმაზე, რომ ქართველები აფხაზეთის ისტორიულ მოსახლეობას წარმოადგენენ და მათი ეთნიკური განსახლება მდ. ბზიფამდე და უფრო შორსაც აღწევდა. დოკუმენტური მონაცემებიდან ჩანს, რომ გვიან საუკუნეებში აფხაზეთში შემოსახლდნენ აფსუა-აბაზთა ცალკეული ჯგუფები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას შეერია და გაქართველდა. ამასთან, აფსუათა უმცირესობის მაჩვენებელია ის, რომ ისინი მეგრულადაც მეტყველებდნენ და მეგრული ფორმის გვარ-სახელს ატარებდნენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საარქივო მასალები აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლებამდელ ვითარებას ასახავს და, ამდენად, აფსუებისა და ქართველების ისტორიულ-რაოდენობრივ თანაფარდობას სწორად გამოხატავს.

---

[11] იქვე, ან. 1, ს. 3441, ფ. 49-52; ს. 25701, ფ. 11-13.
[12] იქვე, ან. 1, ს. 25879, ფ. 144-150.
[13] იქვე, ფ. 133-142, 144-150, 161.
[14] იქვე, ან. 2, ს. 5056, ფ. 5, 22-23.

აფხაზეთში სოჭი-ტუაფსესა (ნიკოფსია) და ადიღე-ჩერქეზეთის მხრიდან შემოსახლება-შემოსევა XIX ს. პირველ ნახევარში ისევ გრძელდებოდა, რითაც გაგრასა და სოხუმში დაბანაკებული რუსეთის სამხედრო ნაწილების მეთაურები შეშფოთებულნი იყვნენ და კავკასიის არმიის სარდლობას შველას სთხოვდნენ. მაგალითად, გაგრის გარნიზონის უფროსი - პოლკოვნიკი ესპეხო 1839 წელს არმიის შტაბის უფროსს ატყობინებდა, რომ ჩერქეზები მოსვენებას უკარგავდნენ არა მხოლოდ მათ, არამედ აფხაზეთის სოფლებს, რომ შემოსეულმა ჩერქეზებმა ამოწყვიტეს სოფ. დურიფშის რამდენიმე მოსახლე და გაიტაცეს ადამიანები, აგრეთვე პირუტყვი და სხვა ქონება. ამავე პატაკში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული უბიხებზე, აჩიპსებზე, აიგბებზე და ფსხუელებზე, რომლებიც ხშირად ესხმოდნენ თავს რუსებს და იკავებდნენ საუკეთესო ადგილებს. ყოველივე ამის გამო, ესპეხო აფხაზეთში სამხედრო ძალის დაუყონებლივ გაზრდას თხოულობდა.[15]

ჩრდილოკავკასიელი ტომებისაგან აფხაზეთის დაცვას მოითხოვდნენ შერვაშიძეებიც. მაგალითად, საფარ-ბეიმ მრავალჯერ დასვა გაგრის დაცვის საკითხი და რადგან ამაში რუსებიც იყვნენ დაინტერესებული, 1831 წელს გაგრა გენერალ გესეს გარნიზონმა დაიკავა.[16] რუსეთს აქ საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა - რეგიონის რუსიფიკაცია და შემომტკიცება, რაშიც მას თურქეთი ეცილებოდა. აფხაზეთის ეთნიკურად დაყოფის დროს, ქართველები ბევრნი რომ არ გამოსულიყვნენ, მეგრელები, ლაზები და „სამურზაყანოელები“ ცალ-ცალკე გამოყვეს. ასევე, ქართველებისაგან იმერლები და გურულები გამიჯნეს, აფხაზებს ჩერქეზები, უბიხები და ჯიქები მიუმატეს. წებელდელები და ფსხუელებიც ცალკე ეთნიკურ ჯგუფებად განცალკევდა. ამგვარი დაყოფის მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის ხელოვნური ასიმილაცია იყო.

XIX ს. 60-იან წლებში აფხაზეთის მოსახლეობა დაახლოებით 65-70 ათას შეადგენდა. ზუსტი მონაცემებით, 1867 წ. აფხაზეთიდან თურქეთში 19342 ადამიანი გადაასახლეს. დადგენილია აგრეთვე, რომ 1860 წლის შუახანებში აფხაზეთის მთელი მოსახლეობიდან 22 ათასამდე კაცი სამურზაყანოში ცხოვრობდა.[17]

1867 წლის დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით აფხაზთა რაოდენობა მთლიანად 40 ათასამდე სულს აღწევდა, მაგრამ აქ ცალკე არაა გამოყოფილი არც ქართველი და არც აფსუა. თუ მათ რაოდენობას ეთნიკურ-გვაროვნული წარმომავლობით განვსჯით, გამოდის რომ აფსუები აფხაზების მესამედს თუ

[15] იქვე, ფ. 416, ან. 3, ს. 1014, ფ. 9.
[16] იქვე, ფ. 1438, ან. 1, ს. 4627, ფ. 2.
[17] Сборник статистических сведении на Кавказе. Тифлис, 1869, отд. II, с. 39.

შეადგენდნენ. თუ ამას დავუმატებთ 19,3 ათასი ადამიანის გადასახლებას თურქეთში, მაშინ გამოდის, რომ აფხაზეთში აფსუათა უმნიშვნელო რაოდენობა დარჩა. მით უფრო, რომ ამ პერიოდში აფხაზეთში კომპაქტურად არც სომხები და ბერძნები ჯერ არ ცხოვრობდნენ.

აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შედარებით სრულ სურათს მხოლოდ XIX საუკუნის 80-იანი წლების კამერალური აღწერა გვაძლევს, მაგრამ ისიც რუსი ჩინოვნიკების მიერ საგანგებოდ შეცვლილი და არეული სახით. რუსეთის იმპრიის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით 1886 წელს კავკასიაში განხორციელდა მოსახლეობის აღწერა, რომლის შედეგები გამოიცა წიგნად.[18] აღნიშნული აღწერის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა ასე ნაწილდება:

I. გუდაუთის უბანში (თემები: ავარჩე, აკაფა, ალექსანდროვსკოე, ანდრეევსკოე, ბაბუშერი, ბაღმარანი, ვლადიმეროვკა, გულრიფში, გუმისტა, დრანდა, კელასური, ლინდაუ, მერხეული, მიხაილოვსკოე, ანასტასიოვსკოე, ფშაფი, ეშერა, ანუხვა, აცი, აჭანდარა, ბარმიში, ბლაბურხვა, ჯირხვა, დურიფში, ზვანდრიფში, კალდახვარა, ლიძავა, ლიხნი, მუგუძირხვა, მწარა, ოთხარა, ფსირცხა და სხვა) აღირიცხა: 13.795 აფხაზი (აფხაზებად ჩათვალეს ძველი ქართული გვარებიც, რომლებიც უმრავლესობას შეადგენდნენ), 2.308 მეგრელი (ანუ ქართველი), 967 რუსი და სხვა.

II. კოდორის უბანში (თემები: აძიუბჟა, ათარა, დოპუაგეთი, ბესლახუბა, აკვასკა, გუფი, პადგუ, ტყვარჩელი, თხინი, ეშქეთი, ჯგერდა, გვადა, დღამიში, კურჩა, ილორი, კვიტოული, ოჩარქითი, სამახარიო, თოუმიში, მოქვი, არადუ, მერკულა, ფოქვეში, ტამიში, კინდღი, ცხირი, ცხენისწყალი, ჭლოუ) აღირიცხა: 14.525 აფხაზი (უმრავლესობა ქართული გვარებით), 172 მეგრელი, 1108 „სამურზაყანოელი“ (ანუ იგივე ქართველები).

III. სამურზაყანოს თემებსა და სოფლებში (ბარღები, სიდა, ბედია, კოპიტი, მიშველი, ნოჯიხევი, ოხური, პატრახუწა, რეკა, საგურგულიო, სამახარიო, სახახუბიო, სანარდო, საცუშბაიო, საჩინო, ეშქეთი, გალი, რეჩხი, ცხირი, გვალიეცერი, გუდავა, ჯაკობო, რეფი, თაგილონი, შეშელეთი, მუხური, ბულისხინჯი, ცარცი, ნაბაკევი, ოტობაია, ოქუმი, ჩხორთოლი, საბერიო, გალიხუმური, დაურჩხელი, დიდოწიფური, დიხაზურგა, ზენი, ლეკუხონა, ლეჭარაია, ნაჯიხური, ოზანიში, ოხოხუ, სამარქვალო, სამიქიო, ჭუბურხინჯი და სხვა) აღრიცხულია 29.520 ე.წ. „სამურზაყანოელი“ (ცხადია, ყველა ქართველი), 984 მეგრელი, 4 რუსი.

[18] Свод статистических данных о населении закавказского края. Тифлис, 1893.

საბოლოო ჯამში, 1886 წლის აღწერის მიხედვით, აფხაზეთში 14,3 ათასი კომლი ცხოვრობდა, რომელიც 67.371 სულს შეადგენდა. აქედან 3474 მეგრელი აღირიცხა ცალკე, ხოლო 30604 „სამურზაყანოელი“ ცალკე, ე.ი. საერთო ჯამში 34.078 ქართველი. ამის გარდა, მრავალი ქართველი იქნა არეული საერთო გრაფაში, რომელშიც აღირიცხნენ ბერძნები, ესტონელები, პოლონელები, სომხები და ა.შ. მათმა რაოდენობამ შეადგინა 5448 ადამიანი. აფხაზთა (აფსუები და ქართველები ერთად) რაოდენობამ სულ შეადგინა 28.320 სული (უმრავლესობა ქართული გვარებით).[19]

საინტერესოა ეთნოგრაფ თ.სახოკიას დაკვირვება, რომელიც აღნიშნულ პერიოდში მოგზაურობდა აფხაზეთში. მისი მონაცემებით ოჩამჩირეში 608 სული ცხოვრობდა. აქედან ლაზი - 26 კომლი, ბერძენი - 3 კომლი, სომეხი - 1 და დანარჩენი - მეგრელები. „სალაპარაკო ენა მეგრულია, თუმცა ქართულიც ყველამ იცის“, - წერს მეცნიერი. გუდაუთაში ცხოვრობდა 172 კომლი (1117 სული), „მ.შ. რიცხვით, როგორც ყველგან აქეთკენ, პირველი ადგილი უჭირავს ქართველებს - 356 სული, შემდეგ რუსებს (242 სული), მერე მოჰყვებიან ბერძნები (133), სომხები (132), აფხაზები (87), ლაზები (32) და სხვ. (...) გუდაუთი სავაჭრო ცენტრია დასავლეთ აფხაზეთისა... 30 დუქანი ლაზებისაა და 15 - მეგრელთა“.[20]

საყურადღებოა აგრეთვე თ.სახოკიას დაკვირვება XIX ს-ის ბოლოს სოფ. ლიხნის აფხაზობის ყოფაზე, რომელიც გარკვეულწილად ზუსტად ასახავს მის ეთნო-სოციალურ სახეს. „აფხაზი, ნამდვილი შვილია ბუნებისა, ჯერ ისევ იმ ხანაშია, როცა ადამიანი მხოლოდ მოშივებული კუჭის დაყუჩებისათვის ზრუნავდა. უფრო შორს გახედვა, გათვალისწინება მომავლისა - ემძიმება, ან ვერ მოუხერხებია და გაურბის კიდეცა. სიმინდს თუ იწევს, იმდენს იწევს, რომ მის ცოლ-შვილს მეორე ჭირნახულამდე გაჰყვეს; აფხაზი ფიზიკურ დაღლას ერიდება. ზედმეტი, გასაყიდი სიმინდის მოწევას გაურბის; სირცხვილად მიაჩნია ვაჭრობა, სხვისთვის მუშაობა, საზოგადოდ, ფიზიკურ შრომას გაურბის. აფხაზს ვერსად ჰხედავ გარეთ გასულს, სამუშაოს საძებნელად. თავის სოფელს არ შორდება... არც საქონლის მოვლა-მოშენებას მისდევენ. აქა-იქ თითოეულმა კომლმა თუ 5-10 თხა გაიჩინა, დიდი საქმეა. ისიც იმიტომ, რომ თხები ზამთარ-ზაფხულ ცის ქვეშ არიან, საკვებს არა სთხოვენ“.[21]

1917 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ჩაატარა სასოფლო-სამეურნეო აღწერა, რომლის დროსაც არ განცალკევებულა ქართველი და აფსუა. ამ აღწერის მიხედვით აფხაზეთის მოსახლეობა შეადგენდა 130 ათას ადამიანს, აქედან 54,7 ათასი ქართველი,

[19] იქვე.
[20] თედო სახოკია. იქვე, გვ. 386-387.
[21] იქვე, გვ. 399.

39,9 ათასი აფხაზი, 17 ათასი ბერძენი, 14 ათასი სომეხი, 2,6 ათასი რუსი, 339 გერმანელი და სხვ.[22]

შემდგომ წლებში აღნიშნული თანაფარდობა ძირითადში იგივე რჩება. 1926 წელს აფხაზეთში 67,4 ათასი ქართველი და 55,9 ათასი აფხაზი აღირიცხა, ხოლო 1939 წლის აღწერით 92 ათასი ქართველი და 56 ათასი აფხაზი.*

ამგვარად, უამრავი ისტორიული, საარქივო და ფაქტობრივი წყაროს, ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მონაცემის მიუკერძოებელი ანალიზი, ავტორიტეტულ მეცნიერთა შრომები საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ თანამედროვე აფხაზეთის (როგორც მთელი დასავლეთ საქართველოს) ტერიტორიაზე მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ყოველთვის ქართველური (ლაზები, მეგრელები) იყო. საქართველოს ამ კუთხის პოლიტიკური დასუსტების პერიოდში ჩამოსახლებული ადიღე-ჩერქეზი დემოგრაფიულ სიტუაციას ვერ ცვლის, ითვისებს ქართულ კულტურულ-ისტორიულ გარემოს და ბუნებრივად ერწყმის ადგილობრივ მოსახლეობას.

ეთნიკური ხასიათის პრობლემები ძირითადად ჩნდება რუსეთის ამ რეგიონში გაბატონების შემდეგ, რომელიც ცდილობდა ეთნიკურად განსხვავებულ კაკასიელთა ურთიერთდაპირისპირების მეშვეობით განემტკიცებინა პოზიციები.

1989 წლის იანვრის საკავშირო აღწერის დროს კვლავ იყო ქართველი მოსახლეობის რიცხვის ხელოვნურად შემცირების მცდელობა მათი მეგრელებად

---

[22] Сельскохозяйственный и поземельный перпись 1917 года. Тб., 1922, с. 14-15, 18-19.

* ნიშანდობლივია, რომ დღეს დასავლეთ საქართველოში, მ.შ. აფხაზეთშიც, ვხვდებით ლაზურ გვარებს, რომლებსაც დაბოლოება აქვთ მეგრული კუთვნილებითი სუფიქსი „ში“ ასეთი გვარებია: ჯაში, ტუღუში, ბაგაფში, ვანილიში, ტრაფში, ცარგუში, ხაზირიში, ხვატიში, ბადიდიში, ხალვაში, და ა.შ. დღეს ამ გვარებიდან უმრავლესობა გააფხაზებულია. აფხაზეთში გავრცელებულ მეგრულ გვარებში ხშირია „ბა“ დაბოლოებიანი გვარები. აღსანიშნავია, რომ „ბა“ სუფიქსი ლაზურია. მაგრამ თანამედროვეთა ცნობიერებაში „ბა“ დაბოლოებიანი გვარები აღიქმება როგორც აფხაზური. მათ ისე გაითავისეს „ბა“ მარცვალი, რომ გააფხაზებული ქართველიც კი ცდილობდა თავისი გვარისთვის „ბა“ დაბოლოება დაერთო. ამის მაგალითებია: ნანავა - ნანბა, ჭანია - ჭანბა, მიქენაია - მიქანბა და ა.შ.

აფხაზეთში გავრცელებულია აგრეთვე შემდეგი გვარები: შერვაშიძე, ანჩაბაძე, ჩხოტუა, მარღანია, მარშანია, ზვამბაია, ყოლბაია, ეზუგბაია, ეთერია, კეზუა, კეკუა, კიკალია, კვიცინია, კუჩუბერია, ლაკირბაია, ლასურია, მარშავა, თარბაია, ძანძავა, ძაძუა, ჭარაია და ა.შ. მრავალ შემთხვევაში „ბა“-ს ემატება „ვა“ ან „ია“ სუფიქსები (კაკუ-ბა-ვა, ჩიქო-ბა-ვა, ზუხ-ბა-ია, ლაცუზ-ბა-ია...).

სპეციალისტთა აზრით, დღეს აფხაზურ გვარებადაა მიჩნეული მეგრული წარმოშობის შემდეგი გვარები: აჩბა, არშბა, ლაკრბა, ხინთბა, თარბა, ზვამბა, კაკუბა, ჟიჟბა, ჭანბა, კაიტანბა, სმირბა, ლაცუზბა, ახუბა, შამბა და ა.შ.

გარდა ლაზური „ბა“ სუფიქსის გამოყენებით აფხაზთა გვარების წარმოებისა, სხვა მეთოდიც გამოიყენებოდა. მეგრული გვარებისათვის აფსუური ტრანსკრიფცია რომ მიეცათ, ხშირად პერფიქსად „ა“ ხმოვანს (ადიღეურში ბრუნვის ნიშანია) ურთავდნენ. მაგალითად: მარშანია - ა-მარშან, ხუბუა - ა-ხუბა, ჯინჯოლია - ა-ჯინჯალ და ა.შ.

ჩაწერის გზით. ადგილი ჰქონდა აღწერის შედეგების სხვადასხვა გაყალბებასაც, მაგრამ აღწერა ძირითადად ობიექტურად ჩატარდა.

აფხაზეთის მოსახლეობის დემოგრაფიული
მონაცემები 1989 წლისათის

/საკავშირო აღწერის მიხედვით/ **

მოსახლეობა სულ	**525,1 ათასი**
მათ შორის /%/	
1. ქართველები	46,4
2. აფხაზები	17,8
3. სომხები	14,6
4. რუსები	14,3
5. ბერძნები	2,8
6. უკრაინელები	2,2
ქ. სოხუმი	**119,1 ათასი**
მათ შორის /%/:	
1. ქართველები	41,5
2. აფხაზები	12,5
სოხუმის რაიონი	**39,5 ათასი**
მათ შორის /%/:	
1. ქართველები	44,1
2. აფხაზები	5,1
გაგრის ზონა	**77,0 ათასი**

*** მონაცემები მოყვანილია ბროშურიდან: „აფხაზეთში კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები“. თბ., 1994 (ავტორთა კოლექტივი).*

მათ შორის /%/:	
1. ქართველები	28,0
2. აფხაზები	9,1
ქ. ტყვარჩელი	**21,7 ათასი**
მათ შორის /%/:	
1. ქართველები	42,3
2. აფხაზები	23,4
გუდაუთის რაიონი	**57,5 ათასი**
მათ შორის /%/:	
1. ქართველები	13,4
2. აფხაზები	53,1
გულრიფშის რაიონი	**55,0 ათასი**
მათ შორის /%/:	
1. ქართველები	52,8
2. აფხაზები	2,4
გალის რაიონი	**80,0 ათასი**
მათ შორის /%/:	
1. ქართველები	93,8
2. აფხაზები	0,8
ოჩამჩირის რაიონი	**76,0 ათასი**
მათ შორის /%/:	
1. ქართველები	46,2

2. აფხაზები 36,7

* * *

აფხაზეთი მთელი მისი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ეთნოსებისა და ხალხების ჰარმონიული თანაარსებობის უმაგალითო ფენომენია. მის ტერიტორიაზე მოსახლეთა ამ უნიკალური ერთობის ხერხემალი ქართველთა და აფხაზთა არა მარტო ანთროპოლოგიური, ისტორიული, სოციალური და კულტურული სიახლოვეა, არამედ, უპირველესად, სისხლით ნათესაობაა, რომელიც ათასი ძაფებით ადუღაბებდა და ქმნიდა ერთხორცის, ერთსულის გრძნობასა და განცდას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

აფხაზეთში არ არის ქართული ოჯახი, რომელსაც ნათესავი არ ჰყავდეს აფხაზებში; არ არის და არ ყოფილა აფხაზური ოჯახი, რომელსაც ახლობლად არ ერგებოდეს ქართველი. შერეული ქართულ-აფხაზური ოჯახები ოდითგანვე ქმნიდნენ და დღესაც ქმნიან ახლობელთა და მოკეთეთა დინასტიებს, რომლებმაც ყველა გამოცდას გაუძლეს და ჩამოაყალიბეს მტკიცე ქსოვილი, რომელსაც ვერ დაარღვევს ომი, ვერც სხვა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური კატაკლიზმები.

ომმა, რომელიც, სამწუხაროდ, ხვალ იყო, ბარიკადების სხვადასხვა მხარეს გაამწესა ქართველთა და აფხაზთა გარკვეული ნაწილი, თუმცა, როგორც იტყვიან ხოლმე, ომში - როგორც ომში ქართველი და აფხაზი ამ ომში არ ყოფილან; ფრონტის ხაზს გადადიოდნენ აფხაზებიც და ქართველებიც, რათა იმ მძიმე დროში თითო-ოროლა ქართულ თუ აფხაზურ ქორწილებში მიეღოთ მონაწილეობა ან საპატიო ადამიანისა და ახლობლის გასვენება არ გამოეტოვებინათ.

ქართველებსაც და აფხაზებსაც ცეცხლმოკიდებული სახლებიდან გამოჰყავდათ ბავშვები, ახლობლები და გამოჰქონდათ ქართულ-აფხაზურ ერთობაში ჩაუხედავი კაცისთვის წარმოუდგენელი რამ - საოჯახო ალბომები და ფოტო-ვიდეო მასალა. რიგითი ქართველი და აფხაზიც თვლიდა, რომ ომი და დაპირისპირება დამთავრდება, გადარჩენილ შვილებს კი დასჭირდებათ გადარჩენილი წარსული ახალი საერთო მომავლის მოსაწყობად.

იმ დროს კი ბევრი რამ იყო საერთო:

- აღმშენებლობა, კეთილდღეობა, მშვიდობა, ერთგულება;
- გვერდიგვერდ იბადებოდნენ ქართველი და აფხაზი ბავშვები, ერთად იზრდებოდნენ, დადიოდნენ საბავშვო ბაღში, სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში;

- გვერდიგვერდ მუშაობდნენ წარმოებაში, დაწესებულებებში, სამეცნიერო ცენტრებში, კოლმეურნეობებში, მმართველობის ორგანოებში, მილიციაში, უშიშროების სამსახურში;

- ერთად ქმნიდნენ კულტურის, ხელოვნების, არქიტექტურის ძეგლებს, აშენებდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ერთად ჟღერდა ფანდური და აფხიარცა;

- საერთო იყო ლხინი და ჭირი, ტკივილი და სიხარული.

მთელი აფხაზეთი იკრიბებოდა „ლიხნაშთობაზე“. დღისით აქ ერთმანეთში ასპარეზზე მეტოქეობდნენ აფხაზები და ქართველები, საღამოს კი ლხინში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს;

მრავალი ათასი ადამიანი და უცხოელი სტუმარი იკრიბებოდა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში ქართველთა და აფხაზთა ძმობისა და მეგობრობის ტრადიციულ დღესასწაულზე;

მთელი აფხაზეთის საუკეთესო შვილები თავს იყრიდნენ გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის რაიონების, ქალაქებისა და სოფლების ყოველწლიურ ტრადიციულ დღესასწაულებზე.

აფხაზეთის ხალხები ერთად მიაგებდნენ პატივს თავიანთ გამოჩენილ შვილებს: მწერლებს, პოეტებს, მეცნიერებს, ხელოვნების მუშაკებს, სახელმწიფო მოღვაწეებს, სტუმრებს მოძმე ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკებიდან, საზღვარგარეთიდან.

აფხაზმა ხალხმა განსაკუთრებით დააფასა გალის რაიონის მკვიდრი, მსოფლიო რანგის მათემატიკოსი აკადემიკოსი ილია ვეკუა სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგაც.

პირველი აფხაზი მფრინავი ქალი ავიძბა ყველა აფხაზეთელი ბავშვის იდეალი იყო.

ქართველები თაყვანს სცემდნენ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „შარატინს“, აფხაზურ თეატრს ისევე, როგორც აფხაზები ქართველებისას. ქართველები დევნილობასა და ლტოლვილობაშიც მღერიან აფხაზურ ხალხურ სიმღერებს ისევე, როგორც აფხაზები ღიღინებენ ქართულ მელოდიებს სახლში თუ გარეთ.

ქართველებმა ზეპირად იცოდნენ დიმიტრი გულია და ბაგრატ შინკუბა ისევე, როგორც აფხაზებმა შოთა რუსთაველი და გალაკტიონ ტაბიძე. ილია ჭავჭავაძემ უდიდესი პატივი დასდო აფხაზეთს.

არ არის აფხაზთა უფროსი თაობა, რომელიც არ ამაყობდეს აკაკი წერეთლის „გამზრდელით“. ძნელი სათქმელია, ნოდარ დუმბაძეს რომელი უფრო უყვარდა, მშობლიური გურია თუ მზიური აფხაზეთი. „ჰელადოსი“ და მისი გმირები აფხაზი,

ქართველი, ბერძენი თუ სომეხი აფხაზეთელისთვის მამულისათვის თავდადებულთა სიმბოლოებია.

სიმონ ჯანაშია და დიმიტრი გულია ქართველთა და აფხაზთა ჰეროდოტებია, რომლებმაც ჩვენი ხალხების საერთო ისტორია, საერთო თავისებურება და მღვრიე მსოფლიო ოკეანეში გადარჩენისათვის ერთობლივი თავგანწირვის ისეთი ფუნდამენტი შექმნეს, რომლის რევიზიასა და ფალსიფიკაციას ბნელი ძალები ვერ შეძლებენ.

მიხეილ ბღაჟბა, ვალერიან კობახია, ბორის ადლეიბა არანაკლებ პატივცემული და მისაღები იყვნენ გალში, გაგრაში, ვიდრე გუდაუთაში, ოჩამჩირესა თუ ტყვარჩელში.

შეუძლებელია ყველაზე რადიკალური აფხაზიც კი გულით არ ატარებდეს პატივისცემასა და მოწიწებას გალის რაიონის მკვიდრების, აფხაზებსა და აფხაზეთზე უზომოდ შეყვარებულების, სულით და ხორცით აფხაზეთელების, ავტონომიური რესპუბლიკის ცნობილი ხელმძღვანელების დამიანე გოგოხიას, ლეო ხაბურძანიას, ოთარ ზუხბიას მიმართ.

საქართველოში ყოველთვის სწამდათ და დღესაც სწამთ, რომ: ქართველს არა ჰყავს უფრო ახლობელი - ვიდრე აფხაზია, აფხაზებს არა ჰყავთ უფრო ახლობელი - ვიდრე ქართველია.

ომი, რომელიც ხვალ იყო, უდიდესი უბედურება და განსაცდელი გახდა ქართველი, აფხაზი და იქ მცხოვრები ყველა ხალხის შვილებისათვის, რომელშიც ყველა დამარცხებული გამოვიდა. გაიმარჯვა კი იმან, ვინც მზაკვრული ჩანაფიქრი ჩაიდო გულში და ჩვენდა სავალალოდ, ჩვენივე ხელებით განახორციელა იგი:

ჟიული შარტავა - თავის დროზე საქართველოს ახალგაზრდობის გამორჩეული ლიდერი, აფხაზი ხალხის დიდი მეგობარი, ერთი წუთითაც არ იფიქრებდა, ალბათ, რომ აფხაზეთში დაიღუპებოდა მისი აღზრდილებისა და მეგობრების აშკარა თუ ფარული თანხმობით; ეს ღალატი აფხაზი ხალხის რაინდული სულისთვის მიუტევებელი ცოდვაა, რომელსაც თვით აფხაზები არ აპატიებენ მის ავტორებს.

წარმოდგენაც არ შეეძლო აფხაზეთში ცნობილ ახალგაზრდას, გაგრელ მიხეილ ჯინჭარაძეს, რომ მისივე აფხაზი ძმაკაცები გამოუტანდნენ სასიკვდილო განაჩენს.

ხვალ ომია, ომი საზარელი და დაუნდობელი.

მიუხედავად ომის სისასტიკისა და ჯოჯოხეთური პროპაგანდისტური ზეწოლისა, რიგითი აფხაზი დღემდე ვერ გადაარწმუნეს, რომ ქართველი მისი მტერია, მოძალადე და მძარცველი, ბოლომდე ვერ დაარწმუნეს, რომ ქართველთა და აფხაზთა ერთად ცხოვრება შეუძლებელია.

წინ ლაბირინთია, ბნელი, შავი დრო: შეკვეთილი პოლიტიკური დაპირისპირება, ეჭვი, უნდობლობა, სისხლი, აურაცხელი ცრემლი, დახოცილი პირტიტველა ბიჭები,

დამწვარ-გაძარცული სახლები, გადაბუგული ქალაქები და სოფლები, აყრილი მოსახლეობა, გამწარებული ადამიანები, თითქმის უიმედო იმედი.

მაგრამ ასევე წინაა, გონიერების გამარჯვების ურყევი რწმენა, დიდი მიმტევებლობის დრო, შერიგების დასაწყისი, აფხაზეთის აღორძინება, ერთიანი ქვეყნის მზიანი მომავალი, ანუ ლაბირინთის დასასრული და შუქი გვირაბის ბოლოს...

II. სეპარატიზმის გენეზისი

1. 40-80-იან წლების მოვლენები

აფხაზური სეპარატიზმი განსაკუთრებით ორგანიზებულ ხასიათს საბჭოთა პერიოდში იძენს. საგულისხმოა, რომ აფხაზთა ანტიქართული გამოსვლები ხშირად ემთხვევა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების ან აღმავლობის პერიოდებს.

1947 წელს თებერვალში გ.ძიძარიამ, ბ.შიკუნბამ, და კ.შაყრილმა წერილი გაუგზავნეს საკავშირო კპ-ის(ბ) ცკ-ის მდივანს ა.კუზნეცოვს, სადაც დასმული იყო მთელი რიგი საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტას მოითხოვდა აფხაზი ინტელიგენცია. ავტორები მწვავედ აკრიტიკებენ აფხაზი მეცნიერის მ.დელბას სტატიას, რომელიც მხარს უჭერს და ასაბუთებს აფხაზურ სკოლებში V კლასიდან ქართულად სწავლების შემოღებას და რუსულის ამოღების აუცლილებლობას, რაც 1945-46 წლებში განხორციელდა კიდეც. მ.დელბას აზრით: “Преподавание на родном языке в абхазских школах во всех десяти классах невозможно практически осуществить, и для перспективы развития культуры абхазов, число которых доходит лишь до 50 тыс. душ, не целесообразно”.

ხსენებულ წერილში აღნიშნულია, რომ აფხაზ ბავშვებს ეკრძალებათ რუსულ სკოლებში შესვლა, ხოლო რეორგანიზებულ სკოლებში აფხაზური ენის სწავლება არ არის სათანადო დონეზე დაყენებული, არ ჰყოფნით სახელმძღვანელოები და ა.შ. წამოწეული იყო აგრეთვე აფხაზური პრესის, რადიოგადაცემებისა და სახელმწიფო დაწესებულებებში აფხაზური ენის ხმარების პრობლემა. ავტორები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ აფხაზეთის მწერალთა კავშირისადმი დამოკიდებულებისა და აფხაზური ნაწარმოებების გამოცემის მიმართ უყურადღებობის, აფხაზური ფოლკლორული მუსიკის, ხალხური ცეკვების განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში არსებული მდგომარეობის გამო. აფხაზ მეცნიერთა აღშფოთებას იწვევს

გეოგრაფიული სახელების სისტემატიური გადარქმევის ტენდენცია. წერილში დასმულია საკადრო, დემოგრაფიული და სხვა საკითხები.

აფხაზთა განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევდა ცვლილებები აფხაზეთის ტოპონიმიკაში. 1947 წლის მარტში შეიქმნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს კომისია, რომელმაც 1948 წლის აგვისტოს დადგენილებით ავტონომიური რესპუბლიკის 63 დასახლებული პუნქტის სახელწოდებაში შეიტანა ნაწილობრივი, ან სრული ცვლილება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს ცვლილებები უმრავლეს შემთხვევაში რუსულ და სომხურ დასახლებებს შეეხო, მაგრამ ისინი ქართული ტოპონიმებით შეიცვალა.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა.ჭოჭუას 1953 წლის დეკემბრის წერილში, რომელიც მან გაუგზავნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მ.ჩუბინიძეს, ნათქვამია, რომ 1948-51 წლებში აფხაზეთის 122 დასახლებულ პუნქტს და 24 სოფლსაბჭოს გადაერქვა სახელი. ავტორი მიუთითებს, რომ გადაწყვეტილებები ხშირ შემთხვევაში მიღებულია საკითხის არასაკმარისად შესწავლის შემდეგ და ადგილობრივი პირობების გათვალისწინების გარეშე, რაც უხერხულობასა და მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. შეიცვალა უძველესი აფხაზური (სოფ.: ატიშადუ, ტყვარჩელი, არაკიჩი, ფსირცხა და სხვ.) და რუსული (სოფ.: ვესიოლოვკა, ხოლოდნაია რეჩკა, ორეხოვო და სხვ.) დასახელებები. სახელწოდებების გადარქმევისას, ა.ჭოჭუას აზრით, იგნორირებულ იქნა ადგილობრივი მოსახლეობის აზრი. მაგალითად, გულრიფშის რაიონის ზახაროვკის სოფლსაბჭოს ეწოდა ხევის სოფლსაბჭო, ხოლო სოფ. ზახაროვკას - ხევი, რომელშიც 90% სომხები ცხოვრობდნენ. სიტყვა „ხევი“ კი სომხურ ენაზე „სულელს“ ნიშნავს და ა.შ.

1955 წლის იანვარში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა.ჭოჭუასადმი გაგზავნილ მიმართვაში სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გაღიზიანებულ აფხაზ სტუდენტთა ჯგუფი წერდა: “...Это что-то повыше нахальства, умышленное оскорбление национального самолюбия... Почему в Абхазии менять абхазские названия, когда даже названия городов и населенных пунктов, входящих в РСФСР, как Сочи, Туафсе, Мацеста остаются также”...

1955 წლის 26 მარტს გამართულმა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ გააუქმა 1948 წლის გადაწყვეტილება დასახლებულ პუნქტთათვის სახელწოდებების შეცვლის შესახებ იმ ნაწილში, რომელიც აფხაზთა ნეგატიურ რეაქციას იწვევდა. გაგრის რაიონში: სოფ. ბზიფისხევს ეწოდა ბზიფთა, კაკლიანს - ორეხოვო, ცივიწყაროს - ხოლოდნაია რეჩკა, ალპურს - ალპიისკი, გაგრის ხეობას - გაგრაფსთა, საქართველოს ხეობას - გრუზინსკოე უშელიე, შადრევანს -

ფონტანკა, ბიჭვინთას - პიცუნდა; გუდაუთის რაიონში: ახალ ათონს - ნოვი აფონ, ბზისხევს - არმიანსკოე უშელიე, მეორე ანუხვას - ანუხვა არმიანსკაია, თვანას - თვანაარხუ; სოხუმის რაიონში: ჟირწყალს - ადზიჟბა, იმერწყალს - შუბარა, შუქურას - მაიაკი, ზემო ეშერას - ვერხნაია ეშერა; ოჩამჩირის რაიონში: აგარაკს - დაჩა, მეორე ათარა - ატარა არმიანსკაია და ა.შ. შეცვლილ იქნა რიგი გეოგრაფიული პუნქტის სახელი, რომელიც ძირითადად ქართული ენის სახელობითი ბრუნვის ნიშნის გაუქმებაში გამოიხატა.[23]

1956 წლის 5-9 მარტს (თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, გორში, სოხუმში და ა.შ.) სტალინის პიროვნების კულტთან დაკავშირებული მოვლენების შემდეგ აფხაზთა სეპარატისტულმა ტენდენციებმა გაცილებით აქტიურად იჩინეს თავი. როგორც კი თბილისში დახვრეტილიქნა მრავალი ათეული უდანაშაულო ადამიანი, აფხაზეთიდან სკკპ ცკ პირველი მდივნის ნ.ხრუშჩოვის მისამართით წავიდა მრავალი საჩივარი. ზოგიერთი აფხაზი პოლიტიკოსი წერდა: "Эти события показали, какую опасность представляют осколки бериевшины для всей партии, людей, населяющих эту республику..."[24] აფხაზეთიდან მოსკოვში იგზავნებოდა მოთხოვნები, შეესწავლათ საქართველოს კპ ცკ მოღვაწეობა, შეემოწმებინათ, თუ როგორ ასრულებდა ის სკკპ ცკ 1953 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებას, რომელიც ეხებოდა საქართველოში და, კერძოდ, აფხაზეთში ბერიას მტრული მოქმედების შედეგების ლიკვიდაციას და გამოეტანათ შესაბამისი ორგანიზაციული დასკვნები.

იმავე წლის 16 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის აქტივის კრებაზე აღნიშნული დადგენილების განხილვის დროს თითქმის ყველა გამომსვლელმა (აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა.ლაბახუა, პარტიის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ა.ოტირბა, ისტორიკოსები შ.ინალ-იფა, გ.ძიძარია და ა.შ.) ქართველ ერს დააბრალა კომუნისტური რეჟიმის მიერ განხორციელებული რეპრესიები. განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა ა.ოტირბა, თავის გამოსვლაში მან აღნიშნა: "После того, как мы уже разобрались во всех вопросах извращений ленинских принципов национальной политики нашей партии, допущенных в прошлом по отношению к абхазскому, армянскому и осетинскому населению, разве допустимо все сводить к закрытию только национальных школ. Это является частью той общей преступной политики, которая проводилась в тот период."[25]

---

[23] Абхазия: документы свидетельствуют. 1937-1953. Сухуми, 1992. с. 500-524.
[24] ЦХСД, ф.5, оп.31, д.60, лл. 137-149.
[25] იქვე, д.86, лл. 4-13, 73-90.

1954 წელს გამოქვეყნდა ქართველი მეცნიერის პ.ინგოროყვას წიგნი „გიორგი მერჩულე“, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ აფხაზები ერთ-ერთი ქართველური ტომია და ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებულმა ადიღური წარმოშობის ტომებმა საქართველოსთვის ძნელბედობის პერიოდში მოახდინეს აფხაზეთის ტერიტორიის ეთნოპოლიტიკური ათვისება. აფხაზი ინტელიგენცია ააღელვა ამ წიგნმა და 1956 წელს დაისვა საკითხი მისი ამოღების შესახებ. საქართველოს ისტორის ინსტიტუტი ამის წინააღმდეგ წავიდა და დისკუსიის გამართვა გადაწყვიტა, მაგრამ საკავშირო კპ ცკ ჩაერია და დასკვნაში აღნიშნა, რომ ქართველი მეცნიერები დამახინჯებულად გადმოსცემენ აფხაზი ერის წარმოშობის ისტორიას, რაც აფხაზთა სამართლიან გულისწყრომას იწვევს. პარტიული ხელმძღვანელობა თავს ესხმის ჟურნალ „მნათობს“, სადაც დაიბეჭდა პ.ინგოროყვას წიგნის რეცენზიები.

ისევ წავიდა მოსკოვში საჩივრები და დეპეშები სკკპ ცკ პირველი მდივნის ნ.ხრუშჩოვის სახელზე. მათში აფხაზები უჩიოდნენ ქართველი ინტელიგენციის ნაციონალიზმს; მოითხოვდნენ აფხაზეთის გამოყოფას საქართველოსაგან, ქართველ კოლმეურნეთა აფხაზეთში გადასახლების აკრძალვას. ყველა დეპეშა მთავრდებოდა ერთი თხოვნით - ჩარეულიყო მოვლენებში მოსკოვი და გადაეწყვიტა პატარა აფხაზი ხალხის ბედი, აი, რას წერდა ნ.ხრუშჩოვს აფხაზი პოეტი დ.გულია 1957 წელს: “Я никак не могу понять, почему абхазцы в своей республике не могут все еще решать многие вопросы... разумеется в духе нашей партийности, в духе интернационализма? Может, они мало способны к этому?... Может ли, например, абхазец в своей столице Сухуми, как говорится, излить душу на родном языке, скажем, перед первым секретарем обкома партии, или первым секретарем сухумского горкома партии, первым секретарем Обкома комсомола, руководителем Совпрофа Абхазии? Могут ли крестьяне-абхазцы изъяснятся с министром сельского хозяйства? Может ли абхазец поговорить на родном языке с директором абхазской национальной труппы? Директором музыкального училища, краеведческого музея, председателем радиокомитета, руководителем Главлита, контролирующего главным образом издания на абхазском языке? (Абхазия: документы свидетельствуют. 1937-1953. Сухуми, 1992, с.р. 563).”

სეპარატისტები ცენტრისადმი მსგავსი წერილების გაგზავნითა და მოწოდებებით არ იფარგლებოდნენ. 1956 წლის 11-13 აპრილს სოხუმში მათ მიერ ორგანიზებულ იქნა დაახლოებით 200 კაციანი შეკრება. მოითხოვდნენ პ.ინგოროყვას წიგნისა და მხარდამჭერი სტატიების ავტორთა დასჯას. აფხაზი ეროვნების სტუდენტებმა, აფხაზური თეატრის მსახიობებმა გაფიცვა გამოაცხადეს. აფხაზი ინტელიგენციის

წარმომადგენლები გაემგზავრნენ სოფლებში. ხალხს ეუბნებოდნენ, რომ ავტორები საფრთხეს უქმნიან აფხაზეთის ავტონომიას, სურთ მისი კულტურის განადგურება.

1957 წლის 12 აპრილს საქართველოს კპ ცკ ბიურომ განიხილა აღნიშნული საკითხი და დაგმო ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებული სტატიები. სიტყვით გამოვიდნენ: ვ.მჟავანაძე, ი.თარბა, ა.ლაბახუა, ხ.ბღაჟბა, მ.კვესელავა, ა.ოტირბა და სხვ. ჟურნალის რედაქტორს, ცნობილ ქართველ პოეტს ს.ჩიქოვანს და ცკ-ს მდივანს დ.მჭედლიშვილს მიეთითათ, ხოლო ცკ-ს მეცნიერების, სკოლისა და კულტურის განყოფილების გამგეს მ.კვესელავას გამოეცხადა საყვედური. ბიუროზე აფხაზმა კომუნისტებმა უკმაყოფილება გამოთქვეს ქლუხორის მთიანი რაიონიდან ქართველთა აფხაზეთში გადასახლების გამო, მოითხოვეს თბილისში დანიშნული აფხაზეთის კულტურის დღეების გადატანა.

აფხაზეთის პარტიულმა ხელმძღვანელობამ ბუროზე, რომელიც გაიმართა 1957 წლის15-16 აპრილს და რომელსაც ესწრებოდა სკკპ ცკ წარმომადგენელი, განიხილა აღნიშნული პრობლემა. ბიურომ, ფაქტიურად, გაიმეორა თბილისის შეფასებები. ამასთან, იმდროინდელი სტილისა და ტრადიციის შესაბამისად დაგმობილ იქნა ცალკეული არაჯანსაღი, ნაციონალისტურად განწყობილი ელემენტები, რომლებმაც ისარგებლეს რა აფხაზთა უკმაყოფილებით, ცდილობდნენ ებიძგათ ხალხისთვის ისეთი მოქმედებებისაკენ, რომლებიც არ შეეფერებოდა საბჭოთა ადამიანის ქცევის ნორმებს.[26]

აფხაზური სეპარატიზმის შემდგომი შემოტევა დაიწყო 60-ანი წლების შუა პერიოდში. 1965 წელს დაძაბულობა გამოიწვია პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის მ.თ.ბღაჟბას თანამდებობიდან განთავისუფლებამ და აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის ხ.ს.ბღაჟბას წიგნმა „აფხაზური ენის ბზიფის დიალექტი“. მაგრამ მაშინ მოხერხდა სიტუაციის დარეგულირება. საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი ვ.მჟავანძე აღნიშნავდა: „საოლქო კომიტეტი არ ეწევა შესაბამის მუშაობას ცალკეულ ნაციონალისტურ გამოვლინებებთან საბრძოლველად, ზოგ შემთხვევაში შემრიგებლურად აფასებს აფხაზეთის ისტორიული წარსულის ფაქტების იდეალიზაციას. მხოლოდ ამგვარი მიდგომის შედეგად შეიძლებოდა გაჩენილიყო გადაწყვეტილება რეაქციონერი მმართველის კეშელ-ბეის (თურქული ორიენტაციის აფხაზი მთავარი. - ავტ.) ძეგლის სოხუმში დადგმის შესახებ“.[27]

1967 წლის მარტის შუა რიცხვებში სოხუმის პედინსტიტუტის რამდენიმე ათეულმა სტუდენტმა წერილი გაუგზავნა აფხაზეთის პარტიულ და საბჭოთა

[26] იქვე, დ.124, ლლ. 73-90.
[27] იქვე, ლლ. 84-85.

ორგანოებს მოთხოვნით, აფხაზური სახელები დაერქვათ ქართველებით დასახლებული მთელი რიგი პუნქტებისათვის. მარტის ბოლოს უცნობებმა მდ. ფსოუდან დაწყებული ბიჭვინთით დამთავრებული საგზაო ნიშნებზე ქართული წარწერები წაშალეს. პროკურატურამ ოპერატიულად დააპატიმრა ორი აფხაზი - მძღოლი და ტექნიკოსი, რომლებმაც აღიარეს ჩადენილი დანაშაული, მაგრამ მას შემდეგ, რაც დაახლოებით 150-მა აფხაზმა მიაკითხა კპ-ის საოლქო კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოს, დამნაშავენი გაანთავისუფლეს.

7 აპრილს დაახლოებით ათასამდე აფხაზი შეიკრიბა საოლქო კომიტეტთან. ისინი ითხოვდნენ პასუხს ტოპონიმიკის გარშემო დაყენებულ საკითხებზე. როდესაც ახსნა-განმარტებამ ვერ დააკმაყოფილა, მათ თვითნებურად დაიკავეს სოხუმის საზაფხულო თეატრი. შეკრებილებს ეწვია ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და დაშლა შესთავაზა, მაგრამ ისინი არ დაიშალნენ. შემდგომ იქვე წაიკითხეს წერილი სკკპ ცკ-დმი, რომელშიც ითხოვდნენ ქართული შოვინიზმისაგან დაცვას, აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფასა და საკავშირო რესპუბლიკად გარდაქმნას.

9 აპრილს შეკრება დაიშალა. მანამდე არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა მიმართვის მომზადება სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, რომლის განხილვა შედგა 10 აპრილს სოხუმის ფილარმონიის დარბაზში გამართულ შეკრებაზე. ძირითადი მოთხოვნა საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფა იყო.

აფხაზთა დელეგაციამ აღნიშნული მიმართვა მოსკოვში ჩაიტანა. თან წაიღეს ცალკეული გამოსვლები და განცხადებები. წარგზავნილები მოითხოვდნენ აგრეთვე ტოპონიმიკის საკითხის მოგვარებას, აფხაზთა პრივილეგირებულ ჩაწერას ქალაქებში, მათ პრიორიტეტულ შრომითმოწყობას და ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნას, სკოლებში აფხზური ენის სავალდებულო სწავლების შემოღებას, თურქეთიდან 200 ათასი აფხაზის გადმოსახლებას, სასამართლოებსა და სხვა დაწესებულებებში აფხაზურ ენაზე საქმისწარმოებას. ასევე წამოჭრილი იყო ეკონომიკური და ფინანსური საკითხები, საწარმოთა დაქვემდებარების პრობლემა და სხვ. საბოლოოდ, როცა ისინი მოსკოვში რამდენადმე მნიშვნელოვან ფიგურას ვერ შეხვდნენ, ცკ-ს მისაღებში ჩააბარეს დოკუმენტები და გამოემგზავრნენ საქართველოში.

აღნიშნული მოვლენები ფართო განხილვის საგანი გახდა საქართველოს ცენტრალურ და აფხაზეთის ადგილობრივ პარტიულ ორგანოებში. იმდროინდელ დოკუმენტებში საუბარია აფხაზ-ქართველთა მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე, რომელსაც საშიშროებას უქმნიან ცალკეული ნაციონალისტურად განწყობილი ელემენტები, რომლებიც არაფრად აგდებენ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას და ამით

ზიანს აყენებენ ორი ხალხის საუკუნოვან მეგობრობას. გაკრიტიკებულია პ.ინგოროყვასა და სხვა ქართველ მეცნიერთა ნაშრომები.*

50-60-იან წლებში აფხაზთათვის დაუმსახურებელ პრივილეგიების მიცემა გამაღიზიანებლად ჩანდა, რადგან, როგორც წესი, ეს ხორციელდებოდა ადგილობრივ ქართველთა და სხვა ეროვნების მოქალაქეთა უფლებების ხელყოფისა და მათი შევიწროების ხარჯზე. დაპირისპირების ინიციატორი და სულისჩამდგმელი ნაციონალისტურ ლოზუნგებს ამოფარებული აფხაზური ინტელიგენციის მცირე ჯგუფი იყო, რომელსაც მხარს უჭერდა მოსკოვი.

საქართველოს კპ ცკ ბიუროს სხდომაზე ამ მღელვარებათა ერთ-ერთი იდეოლოგი, აფხაზეთის სახალხო პოეტი ბ.შინკუბა ამბობდა: "...Научные споры не решаются митингами, сходами и прочим в этом духе. Я такие методы не одобряю... Однако, думаю, что следует прекратить выступления в печати, в которых бы снова и снова поднимался давно уже решеный вопрос."[28]

საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელთაგან ზოგიერთს საკმაოდ განსხვავებული პოზიცია ეკავა და არ ერიდებოდა პირდაპირ გამოსვლას. ამავე ბიუროზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ.ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ მომიტინგე კოლმეურნეებს ორგანიზებას ინტელიგენცია უწევს, თორემ, საკითხავია, რომელმა მათგანმა იგრძნო და განიცადა ეროვნული და სხვა უფლებების დარღვევა? მაგრამ ინტელიგენციის რიგებში არიან ისეთები, რომლებიც ხელოვნურად ცდილობენ გამოიწვიონ უკმაყოფილება აფხაზებში. გ.ჯავახიშვილის აზრით, მათ მკაცრად უნდა მოეკითხოთ. ამის გაკეთება კი საოლქო კომიტეტს შეუძლია. განსაკუთრებით მკაცრად გამოვიდა ცკ-ს მდივანი დ.სტურუა, რომელმაც განაცხადა, რომ მეცნიერული პუბლიკაციები არ შეიცავენ აფხაზთათვის არავითარ შეურაცხმყოფელ თეზისს ან დასკვნას. ეს სტატიები მხოლოდ გამოყენებულია საბაბად. დ.სტურუას სიტყვებით, ისეთი ადამიანები, როგორიცაა ტ.შაყრილი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა.ოტირბა, კულტურის მინისტრი

---

* სკკპ ცკ-ში 1957 წლის აპრილში გაგზავნილ წერილში აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა.ლაბახუა წერდა: "...В этом отношении весьма характерным является искусственно поднятая за последнее время отдельными грузинскими шовинистами шумиха по вопросам этгнической принадлежности абхазцев и об их автохтонности на территории Абхазии. Наиболее разительным примером этому служит возня вокруг книги фальсификатора П.Ингороква "Георгий Мерчуле", проникнутой духом махрового национализма... Некоторые поэты и писатели, как Д.Шенгелая, Г.Леонидзе, К.Гамсахурдиа, Б.Жгенти и др. Не упускают случаев для публичного выступления в зашиту Ингороква... У бюро ЦК КП Грузии не нашлось большевитской смелости и решительности сделать соответствующие оргвыводы и оздоровить руководство идеологическим фронтом в Грузии..." (Абхазия. Документы сводетельствуют, 1937-1953. Сухуми, 1992, с. 556-562).

[28] საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის არქივი, ფონ. 14, აღ. 72, ს. 56, ფ. 5.

ა.კვარჭელია, აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ა.ხონელია, ფაქტიურად, გამოდიან მღელვარებათა ორგანიზატორებად.[29]

ამასთან, საქართველოს კპ ცკ-ის ბიურო აფხაზთა წარმომადგენლებს დაეთანხმა მთელ რიგ საკითხებში, კერძოდ: სამართლიანად იქნა მიჩნეული მოთხოვნა ზოგიერთ დასახლებულ პუნქტს, აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის რიგ ნაწარმს დაერქვას აფხაზური სახელი; როგორც შეცდომა, ისე შეფასდა ზოგიერთი ქართული სამეცნიერო შრომისა და სტატიის გამოქვეყნება, რომლებშიც უზუსტოდ იყო გაშუქებული აფხაზთა წარმოშობის საკითხები და სხვა ისტორიული ფაქტები.

1967 წლის 7-9 აპრილის მოვლენების გამო განხორციელდა საკადრო ცვლილებები. 21 მაისს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე (ესწრებოდა საქართველოს კპ ცკ-ის მეორე მდივანი პ.როდიონოვი) საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი დ.გოგოხია და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ.ჩიქოვანი გაათავისუფლეს თანამდებობებიდან. სამწუხაროდ, ცენტრალური ხელისუფლების მიერ ქართველებზე „ჯოხის გადატეხვას“ ჩვეულებრივ და სამართლიან მოვლენად მიიჩნევდნენ.

1967 წლის აფხაზთა სეპარატისტული მასობრივი გამოსვლები, სანქცირებული იყო მოსკოვიდან გარკვეული ძალების მიერ. ამაზე მეტყველებს გამოსვლათა ორგანიზებული ხასიათი, ათასობით ადამიანის თავისუფალი მოძრაობა აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში, მრავალრიცხოვანი შეკრებების და „უსანქციო“ მიტინგების გამართვა, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებისადმი დაუმორჩილებლობა, აქტიური და შეუნიღბავი ეროვნებათაშორისო შუღლის პროპაგანდა, შოვინისტური მოწოდებები, სახელმწიფო-ადმინისტრაციული დაყოფის შეცვლის მოთხოვნა და ა.შ. ამგვარი გამოსვლები სსრკ-ს სინამდვილეში წარმოუდგენელი იყო. თავი რომ დავანებოთ გერმანიისა და უნგრეთის სადამსჯელო ოპერაციებს, თბილისის 1956 წლისა და ნოვოჩერკასკის 1961 წლის მოვლენებმაც დაადასტურეს, რომ სსრკ-ს ხელმძღვანელობა მსგავს გამოხდომებზე მკვეთრად რეაგირებდა და სისხლში ახშობდა მათ. მაგრამ ამ შემთხვევაში არ იქნა მიღებული არავითარი ზომა მასობრივი გამოსვლების არც ერთი ორგანიზატორის მიმართ. მოვლენებში აქტიურად არ ჩარეულა სუკ-ი. აფხაზი სეპარატისტები უპირისპირდებოდნენ რა ქართველებს, ითხოვდნენ რა აფხაზეთის ჩამოშორებას საქართველოსაგან, ძირითადში გამოხატავდნენ ნ.ხრუშჩოვისეულ ნეგატიურ დამოკიდებულებას საქართველოსადმი, რაც გაიგივებული იყო სტალინისა და ბერიას სახელებთან. სწორედ ეს იყო სეპარატისტებისადმი სსრკ-ს მძლავრი სადამსჯელო სტრუქტურების ლოიალობის უმთავრესი მიზეზი.

[29] იქვე, აღ. 56, ს. 61, ფ. 5.

აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენებთან პარალელურად ქართული სამეცნიერო ინტელიგენცია ცდილობდა გადაედგა კეთილი ნების ნაბიჯები. ამის ერთგვარი გამოხატულება გახდა 1968 წელს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე აფხაზური ლიტერატურის ისტორიის კურსის შემოღება. უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის კოლექტივი შეუდგა სათანადო სახელმძღვანელოების შექმნას, პირველ ყოვლისა, აფხაზური ლიტერატურის სახელმძღვანელო-ქრესტომათიის შედგენას, რაშიც უნივერსიტეტის კოლექტივთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს აფხაზმა მეცნიერებმა, მწერლებმა და კულტურის მოღვაწეებმა.

* * *

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა შემდგომი გამწვავება ემთხვევა სსრკ ახალი კონსტიტუციის მიღების პერიოდს და მისი საბაბი გახდა აფხაზეთის სტატუსის საკითხი. 1977 წლის დეკემბერს აფხაზური ელიტის ჯგუფმა ანტიქართული სულისკვეთების წერილი გაუგზავნა საკავშირო ხელმძღვანელობას, რომელშიც მოითხოვა აფხაზეთის ასსრ რუსეთის ფედერაციაში შესვლის საკითხის შესწავლა, სოხუმის პედინსტიტუტის უნივერსიტეტად გადაკეთება, აფხაზეთის ტელევიზიის შექმნა და ა.შ. ამასთან, წერილის ავტორებს ესმოდათ, რომ ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება იმდროინდელ კონსტიტუციურ ნორმებს, მაგრამ, მათი აზრით, ეს სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ ასეთი შესაძლებლობა გამოსარიცხი იყო. სკკპ ცკ-დან აღნიშნული საჩივარი გადაიგზავნა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტში, სადაც განიხილეს 1978 წლის თებერვალში. ამჯერად აფხაზეთში პარტიულმა ხელმძღვანელობამ მკაცრი პოზიცია დაიკავა წერილის ავტორ თანამდებობის პირთა მიმართ, რასაც დაეთანხმა საქართველოს კპ ცკ პლენუმი. მაგრამ სხვანაირად განსაჯა საკავშირო ხელმძღვანელობამ. შედეგად 1978 წლის 3 მაისს თანამდებობიდან განთავისუფლებულ იქნა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ.ხინთბა და არჩეულ იქნა ბ.ადლეიბა, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (ერთი თვით ადრე კი ტყვარჩელის ქალაქკომის პირველი მდივანი). აფხაზეთში გამოიგზანა პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკთა ჯგუფი სკკპ ცკ-ს მდინის ი.კაპიტონოვის ხელმძღვანელობით. ძირითადში დაეთანხმა რა აფხაზთა მოთხოვნებს, მან კატეგორიულად მიუღებლად შეაფასა საკითხის დაყენება აფხაზეთის რსფსრ-ის შემადგენლობაში შესვლის შესახებ, აგრეთვე ამგვარი უფლების სსრკ-ის ახალ

კონსტიტუციაში დაფიქსირება. ი.კაპიტონოვის სიტყვებით, სსრკ-ში 20 ავტონომიაა და არსად არ აყენებენ ამგვარად საკითხს და რომელსაც ვერ გაიზიარებს სკკპ ცკ და სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

1978 წლის 22 მაისს სოხუმში, ლენინის მოედანზე, შეგროვდა სეპარატისტული მოძრაობის ლიდერთა მიერ გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონებიდან ჩამოყვანილი რამოდენიმე ათასი კაცი. ამ დღეს გაიმართა აფხაზეთის პარტიულ და საბჭოთა მუშაკთა აქტივის კრება, სადაც ი.კაპიტონოვი უნდა გამოსულიყო. შექმნილი ვითარების გამო კაპიტონოვს და საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანს ე.შევარდნაძეს მოედანზე შეკრებილებთან შეხვედრა მოუწიათ. მოსკოველმა ხელმძღვანელმა მიმართა შეკრებილებს და მოკლედ შეეხო სკკპ ცკ პოზიციას აფხაზთა წერილთან დაკავშირებით და როცა უარყოფითად შეაფასა მოთხოვნა აფხაზეთის რუსეთის ფედერაციაში შესვლის შესახებ, მოედანი გაღიზიანებული აგუგუნდა. ე.შევარდნაძემ სცადა გამოსვლა, მაგრამ ამის საშუალება მას არ მისცეს. ამ შეკრებას მრავალი გაკვირვებული ქართველი ესწრებოდა. თვით სოხუმში მცხოვრებ აფხაზთაგან ბევრმა არ იცოდა, თუ რა ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ სხვა ეროვნების მოქალაქეები პროვოკაციას არ აყვნენ.

1978 წლის 25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე გაგრაში, გუდაუთასა და სოხუმში ადგილი ჰქონდა საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევებს. შოვინისტურად განწყობილი სეპარატისტები შეეცადნენ გაფიცვებისა და არეულობის მოწყობას.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებული საქარველოს კპ ცკ-ის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ ქვეყნდება სკკპ ცკ თითქმის ანალოგიური დადგენილება „აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ“, რომელიც საკუთარი როლის შენიღბვას უფრო ჰგავდა. ამიტომ ბუნებრივია ეჭვი, რომ ცენტრის ორმაგი სტანდარტების პოლიტიკამ გარკვეულწილად ეროვნებათაშორისი დაძაბულობის ესკალაციას დაუდო სათავე.

ე.შევარდნაძის ინიციატივით 1979 წლიდან ბორჯომში ეწყობა აფხაზ, ქართველ, ოს და სხვა ისტორიკოსთა შეხვედრები, სადაც იხილავენ იმ პრობლემებს, რომლებიც გახდნენ აფხაზთა უკმაყოფილების მიზეზი. გამოქვეყნდა რამოდენიმე ერთობლივი შრომა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ, მაგრამ ე.შევარდნაძის მოსკოვში გადასვლის შემეგ ასეთი შეხვედრები შეწყდა.

აფხაზ სეპარატისტთა ყოველი გამოსვლის შემდეგ, როგორც წესი, ხორციელდებოდა საკადრო ცვლილებები. არც ამჯერად შეცვლილა ტრადიცია. გაგრის ქალაქკომის პირველი მდივანი რ.კვანტალიანი შეცვალა გ.ნაჭყებიამ, მარამ აფხაზების პროტესტის შემდეგ ის უმალ შეიცვალა აფხაზი ა.გვარამიათი, რომელიც მანამდე გუდაუთის რაიონის პირველი ხელმძღვანელი იყო. მოგვიანებით გაგრაში

თბილისიდან გამოგზავნეს ე.კაპბა. ის საქართველოს სსრ პროფსაბჭოს მდივნად მუშაობდა. 1978 წელს ბ.შინკუბას პენსიაზე გასვლის გამო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ დაინიშნა ვ.კობახია, რომელიც ადრე, 1977 წელს, ანალოგიური გამოსვლების დროს განთავისუფლდა კპ-ის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან. განხორციელებული საკადრო გადაადგილებების შედეგად მთელ რიგ საკვანძო ადგილებზე ქართველების ნაცვლად დანიშნეს აფხაზები.

70-იანი წლების ბოლოს და 80-იანის დასაწყისში გამოჩნდა აფხაზეთის ქართველობის საპასუხო მოქმედებების ნიშნები. ქართველთა კოლექტიური წერილი (350-მდე ხელმოწერა) გაეგზავნა სკკპ XXVI ყრილობას, ლ.ბრეჟნევს, ე.შევარდნაძეს. წერილის ავტორები შეეცადნენ გაეანალიზებინათ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები.

საქართველოში იმ დროისათვის ფართოდ გავრცელებული კორუფცია განსაკუთრებულად იგრძნობოდა აფხაზეთში, რაც, წერილის ავტორთა აზრით, გადაიხლართა კადრების არსწორი შერჩევის პრინციპთან. თანამდებობებისთვის ბრძოლამ ძირითადად მიიღო ანტიქართული ხასიათი, რაც უარყოფითად დაეტყო ადმინისრაცული ორგანოების მუშაობას. ყოველივე ამან გარყვნა სამართალდამცავი ორგანოები, რამაც შეუძლებელი გახადა საქმოსნებთან და მაქინატორებთან ეფექტური ბრძოლა. - ასკვნიან ავტორები. გახმაურებული საქმე, რომელშიც პირველად გახდა შესაძლებელი აფხაზი ეროვნების მაქინატორების მხილება იყო ე.წ. თამბაქოს საქმე (ქუჩუბერია, ქვარანძია და ა.შ. იქნენ დაკავებულნი და გასამართლებულნი). წერილში ნათქვამია, რომ 1978 წლის მღელვარების ორგანიზატორები ჯერ დასაჯეს (გარიცხეს პარტიიდან და მოხსნეს სამუშაოდან), ხოლო შემდეგ რეაბილიტირებულ იქნენ. ობიექტურ პოზიციაზე მდგომი ვ.ხინთბა მოხსნეს პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან, რის შემდეგაც ანტიქართულმა მოძრაობამ გაცილებით ფართო მასშტაბები მიიღო. გაჩნდნენ ლოზუნგები: „სიკვდილი ქართველებს“, „ქართული ენა - ძაღლების ენა“, „ქართველებო, წაეთრიეთ აფხაზეთიდან“ და ა.შ.

წერილის ავტორებს აქტიური ანტიქართული მოქმედებების გაშლის დასაწყისად მიაჩნდათ ქართველებზე თავდასხმის ფაქტები გაგრასა და გუდაუთაში. გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნის აფხაზი ეროვნების მცხოვრები დ.ანშბა ჩაუსაფრდა თანასოფლელ ქართველ რ.მოდებაძეს და თოფის გასროლით დაჭრა და დააინვალიდა იგი. ამავე სოფელში წინასწარგანზრახვით აფხაზებმა მოკლეს ბ.ჩალაძე. სოფ. ახალსოფელში მძიმედ დაჭრეს ა.გოგრიჭიანი. გახშიდა თავდასხმები მოკვლის მიზნით სხვა ადგილებშიც. სამართალდამცავი ორგანოები, რომლებიც ამ

რაიონში აფხაზებით იყო დაკომპლექტებული, უმოქმედობდნენ. ქართველთა ეროვნული ღირსების შელახვის მიზნით აფხაზმა სეპარატისტებმა გაანადგურეს რუსთაველის ბიუსტი სოხუმის თეატრის შენობაში, რუსთაველის ბარელიეფი გაგრაში, მეგობრობის ძეგლი სოხუმში. მასობრივად ანადგურებდნენ ქართულ წარწერებს. წერილში საუბარია გაგრის ქალაქკომის პირველი მდივნის დანიშვნისა და ე.შევარდნაძის სოხუმში ყოფნის პერიპეტიებზე, ქართველთა მანიფესტაციების ამკრძალავი დადგენილების მიღებაზე.[30]

ქართველთა წერილში ნათქვამია, რომ ანტიქართული მოძრაობა აფხაზეთში სულ უფრო აქტიური და მასშტაბური გახდა. საკადრო პოლიტიკა მთლიანად აფხაზების სასარგებლოდ წარიმართა. მოსახლეობის ეს ნაწილი დომინირებს ავტონომიაში მცხოვრებ დანარჩენ უმრავლესობაზე. უმაღლესი და საშუალო დონის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო თანამდებობების 70% ხელში ჩაიგდო ეროვნულმა უმცირესობამ და ამის მეშვეობით ხორციელდება ისეთი სოციალური-ეკონომიკური და დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელსაც საზოგადოება თანდათან მიჰყავს საბჭოთა აპარტეიდის დამკვიდრებამდე. ხელმომწერთა შორის იყვნენ შრომის გმირები და სხვა დამსახურებული ადამიანები. წერილში გაკეთებული ანალიზის სისწორე დაადასტურა შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა.

ცენტრის ზეწოლას ვერ უმკლავდებოდა საქართველოს ხელმძღვანელობა და ამიტომაც 1979 წელს გამართული აფხაზეთის 34-ე საოლქო პარტკონფერენციამ, ფაქტიურად, ისე ჩაიარა, თითქოს არაფერი არ ხდებოდა და ავტონომიურ რესპუბლიკაში ყვაოდა ხალხთა მეგობრობა. ეს იყო სიმართლის იძულებითი მიჩქმალვის ტაქტიკა, რომელსაც არ შეეძლო დადებითი შედეგები მოეტანა.

საკავშირო ხელისუფლების ორჭოფული პოზიცია და პასიურობა სეპარატისტთა ლიდერებს კიდევ უფრო მეტ სტიმულს აძლევდა შემდგომი მოქმედებებისათვის.

1980 წლის 9 მაისს ბზიფის ხეობის გზატკეცილზე ომის ვეტერანთა მონაწილეობით გაიხსნა მემორიალური დაფა, სადაც ნახსენები იყო ქართველი გენერალი კ.ლესელიძე. ამან აფხაზ აქტივისტთა უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი ითხოვდნენ დაფის მოხსნას. შემდეგ ქართველთა დაშინების მიზნით, აფხაზმა მილიციელებმა სოფ. ბზიფის ხევის ქართველებისგან ამოიღეს დადგენილი წესით გაფორმებული სანადირო თოფები და დანები, ხოლო იმავე სოფლის აფხაზებს იარაღი დაუტოვეს. 1980 წლის ივლისში სეპარატისტებმა მიტინგები გამართეს სოფ. ბზიფსა და ოჩამჩირის რაიონში, სადაც მიიღეს რეზოლუციები სკკპ XXVI ყრილობის სახელზე აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფისა და რუსეთის შემადგენლობაში

[30] იქვე, ფონ.14, აღ.21, ს.298, ფ. 26-38, 431.

შესვლის მოთხოვნებით. ბზიფის მიტინგს ესწრებოდნენ აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელები (ბ.ადლეიბა და სხვ.), რომელთაც პროტესტი არ გამოუთქვამთ.

1980 წლის 16 აგვისტოს ე.შევარდნაძემ პარტაქტივის კრებაზე მკაცრად გააკრიტიკა აფხაზეთის რუსეთისადმი შეერთების მოთხოვნა. საქართველოს კპ ცკ-ის მიერ შესწავლილ იქნა ქართველთა წერილში მოყვანილი ფაქტები და ისინი დადასტურდნენ.

ქართველი საზოგადოებრიობა დაძაბული ადევნებდა თვალყურს მიმდინარე მოვლენებს. ისინი ითხოვდნენ ანტიქართული მოძრაობის სათანადო შეფასებას, სამართლიანი საკადრო პოლიტიკის გატარებას, აფხაზეთის მშრომელების საგანგებო შეკრების ჩატარებას, ხელისუფლების მიერ გამოყოფილ თანხებზე აფხაზური ელიტის კონროლის მოხსნას და მის სამართლიან განაწილებას სხვა ეროვნების მოსახლეობის განვითარების საჭიროებისათვის. მოთხოვნები ეხებოდა საგამომცემლო სფეროში არსებული დისკრიმინაციის აღმოფხვრას, ტელევიზიის ქართული რედაქციის ჩამოყალიბებას, მუსიკალურ და სამხატვრო სასწავლებლებში ქართული განყოფილებების შექმნას.

ქართული მოსახლეობის მოთხოვნით, საკავშირო მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უნდა მიეღოთ დადგენილება, რომლის მიხედვით აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდებოდა კადრების მომზადების ცენტრი არა მხოლოდ აფხაზეთისთვის, არამედ დაავლეთ საქართველოს იმ ხუთი რაიონისთვისაც, რომლებიც მას ესაზღვრებიან. სამეცნიერო სფეროში მოთხოვნები შემდეგი იყო: სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების თემატურ გეგმებში აფხაზეთის ქართველთა ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, დიალექტოლოგიის, ხალხური მუსიკის შესახებ სამეცნიერო თემების შეტანა; არქეოლოგიის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის და სხვა დისციპლინებში ადგილობრივი ქართველებისაგან სპეციალისტების მომზადება; აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე ქართველ მეცნიერთა პუბლიკაციებზე აკრძალვის მოხსნა; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსური ექსპედიციის განახლება აფხაზეთში; აფხაზთა მიერ განადგურებული ყველა ძეგლის აღდგენა; ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საკითხის შესწავლა; საქართველოს ისტორიისა და ქართული ენის სწავლების გაუმჯობესება და ეროვნულ საკითხში დისკუსიის მოწყობის უცილებლობა.

აღნიშნულთან ერთად აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ აფხაზური ინტელიგენციის ელიტის გარკვეული ნაწილი არ ეთანხმებოდა სეპარატისტებს, პროვოკატორებსა და მაქინატორებს. ასეთებს ისინი დევნიდნენ, ამცირებდნენ, მათ რიცხვში იყვნენ: საოლქო კომიტეტის ყოფილი მდივანი მ.ხვარცკია, მწერალი

ი.თარბა, გაზეთ “Советская Абхазия”-ს რედაქტორის მოადგილე ტ.არშბა, პროფესორები ხ.ბღაჟბა, ლ.მარშანია, და მრავალი სხვ.

2. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და სეპარატიზმი

აფხაზეთმა სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობაში, განსაკუთრებით 50-80-იან წლებში, დიდ წარმატებებს მიაღწია. ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად უსწრებდა მთლიანად საქართველოს ბიუჯეტის ზრდის ტემპს. 1990 წელს აფხაზეთში იყო 73 აფხაზური და შერეული (აფხაზური სექტორი სხვა სკოლებში) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 20 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება და უმაღლესი სასწავლებელი. სამეცნიერო კადრები ძირითადში მზადდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თბილისის კონსერვატორიაში და ა.შ. აფხაზეთში ფუნქციონირებდა აფხაზური ეროვნული თეატრი, სახელმწიფო მუზეუმი, სამხატვრო გალერეა და ბიბლიოთეკა; საქართველოს მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა და არქიტექტორთა კავშირების განყოფილებები, აფხაზური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი და ა.შ. მხოლოდ აფხაზურ და რუსულ ენებზე ხორციელდებოდა ტელე და რადიო გადაცემები, აფხაზეთის გამომცემლობებში აფხაზურ ენაზე გამოიცემოდა ჟურნალ-გაზეთები, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა.

აფხაზები, რომლებიც მოსახლეობის 17,8%-ს წარმოადგენდნენ, ფართოდ იყვნენ წარმოდგენილნი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში. მათ ეკავათ საქართველოს უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, მინისტრის, მინისტრების მოადგილეების, კომკავშირის ცკ-ს მეორე მდივნის, სხვა პასუხისმგებელი თანამდებობები; აღმასკომების თავმჯდომარეების, კპ-ის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის, მდივნების, წამყვანი განყოფილებების ხელმძღვანელების, ქალაქკომებისა და რაიკომების პირველი და მეორე მდივნების, პროფკავშირების თავმჯდომარეების და სხვა პოსტები. ამასთან, აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელ ორგანოებში ქართველები, შედარებით გაცილებით ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი. 80-იანი წლების ბოლოს ავტონომიური რესპუბლიკის 12 მინისტრიდან და 8 კომიტეტის თავმჯდომარედან 13 იყო აფხაზი და 6 ქართველი, ქალაქებისა და რაიონების 8 პროკურორიდან ხუთს ხელმძღვანელობდა აფხაზი.

ტრადიციისამებრ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის თავმჯდომარე და მდივანი, კპ საოლქო კომიტეტის პირველი და ერთ-ერთი მდივანი, კულტურისა და განათლების მინისტრები, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე და მთავარი პროკურორი იყვნენ აფხაზები. სსრკ ბოლო მოწვევის უმაღლესი საბჭოს აფხაზეთიდან არჩეული 15 დეპუტატიდან 8 აფხაზი იყო. წარმოების ხელმძღვანელთა 40% აფხაზი ეროვნების კადრებისაგან იყო დაკომპლექტებული.

მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ აფხაზები საქართველოში არა თუ განიცდიდნენ დისკრიმინაციას, არამედ მათთვის შექმნილი იყო ეროვნულ-კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ყველა პირობა. ცხოვრების დონის მაჩვენებლებითა და ერთ სულზე შემოსავლის გათვალისწინებით, აფხაზეთი პირველ ადგილზე იყო სსრკ-ს ყველა სხვა ავტონომურ-სახელმწიფოებრივ წარმონაქმნთან შედარებით.

* * *

1985 წლიდან დაწყებულმა „პერესტროიკად“ წოდებულმა პროცესებმა ქართველი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაცილებით მაღალ ხარისხში აიყვანა. აფხაზეთის ქართველობას საშუალება მიეცა, გაბედულად გამოეთქვა აზრი ზოგადქართულ პრობლემებზე, საკუთარ მდგომარეობაზე, აფხაზებთან დამოკიდებულებაზე და ა.შ. პარალელურად გააქტიურდა აფხაზთა სეპარატისტული მოძრაობაც. თავიდან საზოგადოებრივ აქტიურობას ორგანიზებულობა აკლდა. მაგრამ პოლიტიკურ ორგანიზაციათა ჩამოყალიბების შემდეგ (1988 წლის დამლევი) სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა.

ერთ-ერთი პირველი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც აფხაზეთში შეიქმნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება იყო (ინიციატორები: ვ.ვეკუა, ნ.მგალობლიშვილი, ს.ადამია, ზ.ჭავჭავაძე და სხვ.). მოკლე დროში მასში გაერთიანდა აფხაზეთის ქართველობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ორგანიზაცია გამოსცემდა არალეგალურ გაზეთს „ცხუმი“. ჩამოყალიბდა აგრეთვე საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აფხაზეთის განყოფილება. მაგრამ რეპრესიების შიშით ამ პარტიის აფხაზეთის განყოფილება. მაგრამ რეპრესიების შიშით ამ ორგანიზაციათა მრავალი წევრი და თანამგრძნობი აქტიური შემოქმედებისაგან და საკუთარი აზრის საჯაროდ გამოთქმისაგან თავს იკავებდა.

1988 წლის შემოდგომაზე საქართველოში იმართება ხალხმრავალი აქციები დამოუკიდებლობის მოთხოვნით, რაც მოსკოვისა და აფხაზ სეპარატისტთა მწვავე ნეგატიურ რეაქციას იწვევს.

1988 წლის 3 დეკემბერს სოხუმში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ეზოში ჩატარდა ქართველ „არაფორმალთა“ მიერ ორგანიზებული მიტინგი, რომელსაც 3 ათასამდე კაცი დაესწრო. მიტინგი მიეძღვნა 1988 წლის 17 ივნისს აფხაზი ინტელიგენციის ერთი ჯგუფის მიერ (მწერალ ა.გოგუას ხელმძღვანელობით) სკპ წერილს,,, რომელშიც სეპარატისტები ითხოვდნენ, განეხილათ საკითხი აფხაზეთის ასსრ საკავშირო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

წერილის პირველი ვარიანტი შეადგინა გუდაუთის რაიონული გაზეთ „ბზიფის“ რედაქტორმა ა.ბაზბამ ჯერ ჯიდევ 1985 წლის ზაფხულში ქ.ჟელეზნოვიდსკში რუს ისტორიკოს გ.ტრაპეზნიკოვთან ერთად, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გამოირჩეოდა განსაკუთრებული ანტიქართული (და პროაბხაზური) პოზიციით. შემდგომ პროცესში მონაწილეობა მიიღო ტ.შამბამ - მოსკოვში მცხოვრებმა აფხაზმა იურისტმა. საბოლოო სახე წერილს 1988 წელს მიეცა. მას ხელს აწერდა სამოცი აფხაზი ეროვნების მეცნიერი, მწერალი, მხატვარი, მსახიობი, კომპოზიტორი, პედაგოგი, კულტურის მოღვაწე. ხელმომწერთა შორის იყო ერთი სომეხი, ს.სააკიანი - აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი.

ქართველთა „არაფორმალური“ ორგანიზაციის მიერ 1988 წლის 3 დეკემბერს ჩატარებული აქცია არ ატარებდა ანტიაფხაზურ ხასიათს, ამიტომ ზემოთხსენებული „წერილი“ მოსკოვის პროვოკაციად შეფასდა. სიტყვით გამოვიდნენ ზ.ჭავჭავაძე, ვ.ვეკუა, ბ.კაკუბავა. აღსანიშნავია, რომ ამ მიტინგზე მოემართებოდნენ ზ.გამსახურდია და მისი მომხრეები, მაგრამ ისინი ბლოკირებულ იქნენ მდ. ენგურის ხიდთან. იმ დღეს სოხუმში მხოლოდ საღამოსთვის ჩამოვიდნენ მატარებლები და სამარშუტო ავტობუსები. ქართველთა არასანქცირებულმა გამოსვლამ საზოგადოებაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. მიუხედავად სწორად დასმული პოლიტიკური აქცენტებისა, სამწუხაროდ, აფხაზმა მოსახლეობამ ეს მიტინგი აღიქვა, როგორც თბილისის ანტიაფხაზური გამოხდომა.

აი, როგორ შეფასდა იმდროინდელი მოვლენები მოსკოვის ზოგიერთ წრეებში: “...Поставив перед собой задачу выхода из Союза ССР, лидеры экстремистов не могли не учитывать слабость своих позиций в Абхазии. В начале декабря 1988г. Действия “ударных” групп были напрвлены на развертывание широкой пропаганды своих идей среди грузинского населения автономной республики и зондирования возможностей привлечения абхазов под свои меньшевистские знамена. Еще звучали лозунги о братстве абхазов и грузин, призывы объеденится против “имперской России”.[31]

[31] Чумалов М.Ю. Абхазский узел. М., 1995, с. 201.

1988 წლის ნოემბერში სოხუმში შედგა აფხაზთა საინიციატივო ჯგუფის შეკრება, რომელზეც დაფუძნდა აფხაზთა სახალხო ფორუმი „აიდგილარა“ („ერთიანობა“). მასში შევიდა 11 კაცი. თავმჯდომარედ აირჩიეს მწერალი ა.გოგუა.

ამ ორგანიზაციის შექმნის რეალური ინიციატორი იყო კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი. შემუშავებულ იქნა „აიდგილარას“ წესდება და პროგრამა. კპ საოლქო კომიტეტის სანქციით 13 დეკემბერს ჩატარდა „აიდგილარას“ პირველი დამფუძნებელი ყრილობა, რომელზეც განიხილეს აფხაზეთის სტატუსის, აფხაზური ენის განვითარების, ტოპონიმიკის, მიგრაციული პროცესების დარეგულირების, საკადრო პოლიტიკისა და სხვა საკითხები. აქვე თავს დაესხნენ „ქართული ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამას“. მიაჩნდათ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ენა არ უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ენა. ერთდროულად რუსულ და აფხაზურ ენებზე 1989 წლიდან გამოვიდა გაზეთი „აიდგილარა“.

აფხაზეთის სახალხო ფორუმის საპროგრამო პოზიციები პარტიული და საბჭოთა თვალსაზრისის იდენტური იყო. ის პროპაგანდას უწევდა სოციალისტურ წყობასა და ერთიანი, ურღვევი სსრკ-ს შენარჩუნებას. ქართველი საზოგადოებრიობის „თავდასხმებისაგან“ „აიდგილარა“ თავგამოდებით იცავდა ოქტომბრის, ლენინიზმისა და ინტერნაციონალიზმის იდეებს. ორგანიზაციასთან ჩამოყალიბდა როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ასევე ნახევრად გასამხედროებული პოლიტიკური სტრუქტურები. მათ ფუნქციებში შედიოდა ქართული ორგანიზაციების, ქართველი აქტივისტების და მათი ოჯახების შესახებ ინფორმაციის შეგროვება; ქართველებთან შესაძლო შეტაკებებისათვის მზადება (სახსრების შეგროვება, იარაღის შეძენა და მისი საიდუმლო საცავების მომზადება, სპეციალური სამობილიზაციო გეგმის შემუშავება, შტაბების ორგანიზება, სამხედრო მოქმედებების ტაქტიკის განსაზღვრა და ა.შ.). სეპარატისტები ადგენდნენ იმ ქართველთა სიას, რომლებიც 1949 წლის შემდეგ გადმოსახლდნენ აფხაზეთში საქართველოს სხვა რეგიონებიდან. „აიდგილარას“ შექმნით ფაქტიურად დაიწყო მომავალი ომისათვის მზადება.[32]

1989 წლის 7 თებერვალს გუდაუთის რაიონული გაზეთ „Бзыб“-ის ფურცლებზე (№17, 20-22, 24-29) დაიწყო „აფხაზური წერილის“ ვრცელი ვარიანტის გამოქვეყნება. გაზეთს მცირე ტირაჟი ჰქონდა, ამიტომ ქართველებში ის ხელიდან ხელში გადადიოდა. მასალა იყო უაღრესად ცილისმწამებლური და ანტიქართული სულისკვეთებებით გაჟღენთილი, რომლის მსგავსი მანამდე არ გამოქვეყნებულა. ისტორიული ფაქტების გაყალბებისა და წარსულით მანიპულირებაზე უფრო მეტად, რომლებიც თავისთავად ეროვნული ღირსების შელახვა იყო, ადამიანებს ის უკვირდათ, თუ საიდან და რატომ ჰქონდათ წერილის ავტორებს ასეთი ზიზღი.

[32] „აიდგილარა“, წესდება. სოხუმი, 1989

ისტორიული „ნაშრომი“ ასე მთავრდებოდა: „ქართული შოვინიზმის მიერ აფხაზი ხალხისადმი თავსმოხვეულმა ბრძოლამ ეროვნებათაშორისი ურთიერთობები მიიყვანა აბსურდამდე და აფხაზეთის ასსრ-ის საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში შემდგომი ყოფნა შეუძლებელი გახადა. მით უმეტეს, რომ ასეთი მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს თანასწორობას აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის.“

1989 წლის 18 მარტს სოფ. ლიხნში „აიდგილარას“ ინიციატივით შეიკრიბა მრავალი ათასი აფხაზი, რათა შეემუშავებინათ, როგორც მათ განაცხადეს, წინადადებები სკკპ ცკ მომავალი პლენუმისათვის, რომელსაც უნდა განეხილა სსრკ-ში ეროვნებათაშორისო ურთიერთობების პრობლემები. სიმპტომატურია, რომ ამ მიტინგზე დასასწრებად საგანგებოდ ჩამოვიდა მოსკოვში მივლინებით მყოფი ბ.ადლეიბა, რომელიც მსგავს სიტუაციებში, როგორც წესი, სიფრთხილეს იჩენდა. მიტინგს დაესწრნენ ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები, ხოლო ქართულმა ნაწილმა (ო.ზუხბაია, მ.წულაძე, ზ.ერქვანია, გ.ცობეხია...) დაგმო აღნიშნული ღონისძიება. შეკრებაზე მიიღეს დადგენილება, რომელშიც ნათქვამია: “Собрание отметило, что в марте 1921 года была провозглошена независимая Советская Социалистическая республика Абхазия, о чем было сообщено В.И.Ленину. Однако под нажимом Сталина и в результате принятых им практических мер статус СССР Абхазии последовательно сводится от высших форм национально-государственного устройства к низшим (ССР Абхазия – 1921г. Договорная ССР Абхазия – 1925, Абхазская АССР – 1931 гг.), в это время, как изменение форм государственного развития других народов страны шло по восходяшей линии... Просить ЦК КПСС, Верховный Совет СССР, Совет министров СССР восстановить статус ССР Абхазии, каковой она была провозглашена в 1921 году при жизни В.И.Ленина. – Пересмотреть многоступенчатую систему неоднородных государственных образований подрывающую ленинские принципы равноправия народов СССР”.[33]

მიტინგზე მოწონებულ და მიღებულ იქნა „მიმართვა სკკპ ცკ გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ.გორბაჩოვისადმი“. ასლი დაგაეგზავნა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ.რიჟკოვს, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს გ.მარჩუკს, სკკპ ცკ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორს აკადემიკოს გ.სმირნოვს, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორს აკადემიკოს ვ.კუდრიავცევს, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს აკადემიკოს ი.ბრომლეის (აღსანიშნავია, რომ ამ ინსტიტუტში წლების

[33] Газ. “Советская Абхазия”, 1989, 24 марта.

მანძილზე იქმნებოდა ანტიქართული ფსევდომეცნიერული შრომები). მიმართვის მთავარი ლეიტმოტივია 1921-31 წლების აფხაზეთის სტატუსის აღდგენის მოთხოვნა, რომელიც აფხაზეთის ავტონომიის მდგომარეობას თითქოსდა განსაზღვრავდა საქართველოსგან დამოუკიდებლად. მიმართვაში გაყალბებულია ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორია; საარქივო მასალების მანიპულირების, კონტექსტიდან ტენდენციურად ამოგლეჯილი ციტატების მეშვეობით ნაჩვენებია ქართველთა მიერ აფხაზების შევიწროების და ამის წინააღმდეგ აფხაზი ხალხის საპროტესტო გამოსვლების ფართო სურათი; კომუნისტური რეჟიმის მიერ განხორციელებული რეპრესიები, რომელიც, ცხადია, აფხაზი ეროვნების ადამიანებსაც შეეხო, ბრალდება ქართველებს ი.სტალინსა და ლ.ბერიას; 30-50-იან წლებში მთელს სსრკ-ში მიმდინარე შრომითი რესურსების რაციონალურად გადანაწილების პროცესი, რომელსაც ე.წ. „პერესელენსტროი“ ახორციელებდა, მიჩნეულია ქართველთა მხრიდან აფხაზების წინააღმდეგ მიმართულ დემოგრაფიულ დივერსიად.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ 1978 წელს აფხაზი ხალხი ითხოვდა ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეეტანათ მუხლი აფხაზეთის საქართველოს სსრ-დან თავისუფალი გასვლის შესახებ. “Однако бывший во времена застоя секретарем ЦК КПСС И.В.Капитонов, выступая в Сухуми на многотысячном собрании заявил, что решение этого вопроса в какой-либо форме представляется нецелесообразным”, - აღნიშნულია დოკუმენტში. მიმართვის ავტორები იმედს გამოთქვამენ, რომ „პერესტროიკა“ დაეხმარება აფხაზებს ეროვნული პრობლემების მოგვარებაში, რაც, მათი აზრით, საქართველოსაგან გამოყოფას და ცალკე სახელმწიფოს შექმნას გულისხმობდა.

ე.წ. ლიხნის მიმართვა 1989 წ. 24 მარტს ერთდროულად გამოქვეყნდა აფხაზეთის ყველა რუსულ და აფხაზურ გაზეთში. ქართულმა მხარემ სწორად შეაფასა სიტუაცია და შეეცადა არ გაეღრმავებინა პროვოცირებული ეთნიკური წინააღმდეგობა. 1989 წ. 25 მარტს სოხუმში ჩატარებულმა მრავალათასიანმა მიტინგმა, რომელსაც აფხაზეთის რაიონების წარმომადგენლობა ესწრებოდა, სიტუაცია შეაფასა როგორც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გამწვავებით გამოწვეული პოლიტიკური ხასიათის კრიზისი და არა ქართულ-აფხაზური დაპირისპირება. ადგილობრივმა ხელისუფლებამ წინასწარ დაიკავა თადარიგი და ლენინის მოედანზე არ შეუშვა მომიტინგენი, გაუკეთა რა ბლოკირება მას ავტობუსებით. მოედანი დაეთმო სსრკ შინაგანი ჯარის ნაწილებს, რომლებიც იცავდნენ მთავრობის სახლს. თუ ეს მოედანი თავისუფლად ეთმობოდა აფხაზ მომიტინგეებს, ქართველებისათვის ის მიუწვდომელი აღმოჩნდა.

იმავე დღეს გალში (დაახლოებით 15 ათასი კაცი) და თბილისში ჩატარებულ მიტინგებზე მიიღეს რეზოლუციები, რომლებშიც დაგმობილი იყო ლიხნის 18 მარტის მიმართვა, როგორც ქართველი ერის შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური. მასში ნათქვამი იყო, რომ აფხაზეთში შეიქმნა არანორმალური სიტუაცია, რომელიც ქართველთა მასობრივ დისკრედიტაციაში, საინფორმაციო საშუალებებით ტოპონიმიკისა და ისტორიის ფალსიფიცირებაში გამოიხატება. რეზოლუციებში აღნიშნულია, რომ აფხაზეთი იყო და დარჩება საქართველოს განუყოფელ ნაწილად. საქართველოს ხელისუფლებას წინადადება ეძლეოდა, შეეწყვიტა სეპარატისტებისადმი წაყრუების პოლიტიკა და პასუხი გაეცა ლიხნის მიმართვისათვის. მაგრამ პარტიული და საბჭოთა სტრუქტურები ნეგატიურად აფასებდნენ მიმდინარე მოვლენებს.[34]

„აიდგილარამ“ იმავე დღეს დეპეშა გააგზავნა მოსკოვში მ.გორბაჩოვის სახელზე, რომელშიც „დააბეზღეს“ ქართველები. აფხაზებმა გააფრთხილეს სკკპ ცკ, რომ თუ არ იქნებოდა მიღებული შესაბამისი ზომები,ხალხი გადადგამდა საპასუხო ნაბიჯებს. დეპეშას ხელს აწერდნენ ა.გოგუა, ს.შამბა, ო.დამენია, ვ.კვარჩია.

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებაში იგრძნობოდა დაბნეულობა. მოვლენები, ფაქტიურად, თვითდინებაზე იყო მიშვებული, რაც მნიშვნელოვანწილად ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზი ხელმძღვანელების სეპარატისტული ტენდენციების გაძლიერებით იყო გამოწვეული.

ქართველთა საპროტესტო გამოსვლების გაგრძელება იყო პირველ აპრილს დაბა ლესელიძეში ჩატარებული მიტინგი, რომელმაც ხაზი გაუსვა იმას, რომ ქართულ-აფხაზური უთანხმოების ინსპირატორი გარეშე ძალებია და ხალხს მოუწოდა მშვიდობიანი დიალოგისკენ. თუმცა დეზინფორმირებულმა, ეგზალტირებულმა და გონებადაბნეულმა 500-მდე აფხაზმა უკან, სოხუმისკენ მომავალ მომიტინგეთა ავტობუსებზე მოაწყო თავდასხმა სოფ. ბზიფთან და გუდაუთასთან. როგორც შემდგომ გაირკვა, ისინი ეძებდნენ აქციის ორგანიზატორებს (მ.კოსტავას, ზ.ჭავჭავაძეს, ვ.ვეკუას, თ.ჩხეიძეს, ჯ.ლატარიას და სხვ.), რომლებიც მიტინგის შემდეგ გაგრაში დარჩნენ. აფხაზებმა წინასწარ მომარაგებული ქვები დაუშინეს მომიტინგეთა ავტობუსს, რომელშიც 50 კაცამდე იმყოფებოდა. თუ არა მძღოლის ვაჟკაცობა, მსხვერპლი გარდაუვალი იყო. იმავე ავტობუსზე თავდასხმა განმეორდა ახალ ათონთან, სადაც ქვების გარდა ცეცხლსასროლი იარაღიც გამოიყენეს. თავდასხმა განხორციელდა აგრეთვე საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტების ავტობუსზე, რომლებიც გუდაუთში მცხოვრები თანაკურსელის ოჯახიდან ბრუნდებოდნენ, სადაც სამძიმარზე იყვნენ. საბოლოო

[34] გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1989, 29 მარტი.

ჯამში იმ დღეს რამოდენიმე ათეული ქართველი დაიჭრა. მთელი სოხუმი გაოგნებული შეხვდა ფანჯრებჩალეწილ ავტობუსებში მსხდომ დასისხლიანებულ ადამიანებს. ეს იყო პირველი სისხლიანი შედეგი.

2 აპრილს სოხუმში შეკრებილ მრავალ ათას აღშფოთებულ ქართველს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ლიდერმა ზ. ჭავჭავაძემ განუმარტა, რომ იმპერიას სურს ერთმანეთს დაატაკოს ორი ხალხი და ამგვარად ჩაახშოს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ბოლო მოუღოს ქართველთა დამოუკიდებლობისაკენ სწაფვას. ამიტომ მან შეკრებილებს მოუწოდა დაშლილიყვნენ.

საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობა აღნიშნავდა, რომ აფხაზთა მოთხოვნები გამოყოფის შესახებ ეწინააღმდეგებოდა საკავშირო და საქართველოს სსრ კონსტიტუციებს, ისტორიულ ტრადიციებს, არ ითვალისწინებდა რეალურ პოლიტიკურ მდგომარეობას და აფხაზეთის აფხაზი და არააფხაზი მოსახლეობის აზრს.

საქართველოს სსრ ცკ-ის პირველი მდივანი ჯ.პატიაშვილი, მსჯელობდა რა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შეცვლის მოთხოვნის შესახებ, აღნიშნავდა: „აფხაზ ამხანაგებს მოჰყავთ მრავალი არგუმენტი ამ თავისი მიზნის დასასაბუთებლად, მაგრამ არ შეუძლიათ მოიყვანონ არც ერთი სამართლებრივი არგუმენტი, რადგან სამართლებრივი ნორმა, რომელიც ადასტურებს ამგვარი გადაწყვეტილების მართებულობას უბრალოდ არ არსებობს“. აფასებდა რა ლიხნის მოვლენებს, ჯ.პატიაშვილი 1989 წლის 28 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის რიგგარეშე სესიაზე ამბობდა: „არ შეიძლება აფხაზი ხალხი, რომელიც ქართველი ერის ცნობიერებაში ყოველთვის იყო კეთილშობილების, რაინდობის, გულადობისა და სამართლიანობის განსახიერება და რომელსაც ჩვენ მუდამ ვცემდით და ვცემთ დიდ პატივს, გავაიგივოთ აქციის ორგანიზატორებთან“.[35]

ქართულმა ეროვნულ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა დაპირისპირების შემდგომი ესკალაციისა და შესაძლო შეტაკებათა თავიდან აცილების მიზნით აქციები აფხაზეთიდან თბილისში გადაიტანეს. თბილისში აქციები 4 აპრილს დაიწყო. უკვე მეორე დღეს მოსკოვიდან ჩამოფრინდნენ სკკპ ცკ-ს პასუხისმგებელი მუშაკები (ვ.ლობკო, ვ.მიხაილოვი, ა.სელივანოვი), რომლებსაც ჯ.პატიაშვილმა დაჟინებით მოსთხოვა აფხაზეთში სასწრაფო საკადრო ცვლილებების ჩატარება, რაც, მისი აზრით, თბილისში მდგომარეობის სტაბილიზაციას შეუწყობდა ხელს (ამ აზრს მეორე მდივანი ბ.ნიკოლსკიც უჭერდა მხარს). 6 აპრილს ჯ.პატიაშვილი და ვ.მიხაილოვი გაფრინდნენ სოხუმში. იმავე დღეს ბ.ადლეიბა გაათავისუფლეს და საქართველოს კპ

[35] Газ. “Зарья Востока”, 1989, 30 марта.

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მოსკოვის თანხმობით ვ.ხიშბა გახდა, რომელიც საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა. პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმმა დაამტკიცა საკადრო ცვლილებები.*

პარტიულ მუშაკთა საკადრო გადაადგილებებმა თბილისის აქციაზე არ იმოქმედა, თუმცა მის მონაწილეებში გარკვეულწილად დადებით ნაბიჯად იქნა აღქმული. აქციის ორგანიზატორებს ესმოდათ, რომ ჩინოვნიკთა გადაადგილებაზე ნაკლებად იყო დამოკიდებული აფხაზეთის საკითხის მოგვარება. პოლიტიკური ორგანიზაციები, მათი ლიდერები ზ.გამსახურდია, გ.ჭანტურია, ი.წერეთელი, მ.კოსტავა, და სხვები თვლიდნენ, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარება მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში იყო შესაძლებელი. ამ საკითხში მათ გარკვეული უთანხმოება ჰქონდათ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებასთან, რომელმაც წამოიწყო აქცია და არ დათანხმდა აფხაზეთის საკითხის მოხსნას. ამ ორგანიზაციას მიაჩნდა, რომ აფხაზეთის საკითხში შუალედური პროგრესის მიღწევა შესაძლებელი იყო საქართველოს ადგილობრივ ხელისუფლებაზე ზეწოლით. ამიტომ ეს პარტია გაემიჯნა მასობრივ აქციებს და ორგანიზაციულად არ მონაწილეობდა 9 აპრილის მოვლენებში, თუმცა, პიროვნულად ყველა მისი წევრი ბოლომდე იქ იყო. ამგვარად ზეწოლის აქცენტი გადატანილ იქნა მოსკოვზე.

5 აპრილს თბილისში მთავრობის სახლის წინ მიტინგზე ზ.გამსახურდია ამბობდა: „აფხაზი ერი არასდროს არ არსებულა... ისინი ებრძვიან ქართველებს, საქართველოს, რათა გარუსდნენ.“ 6 აპრილს კი იქვე მერაბ კოსტავამ განაცხადა: „რუსეთს დიდი მადა აქვს აფხაზეთზე. ეს იდეა ხრუშჩოვის დროიდან მოდის... საქართველოს

---

* როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ, მათ შორის აფხაზეთში 1989 წლის 15-16 ივლისის სისხლიანმა შეტაკებებმა გვიჩვენა, ზ.ადლეიბას განთავისუფლება და ვ.ხიშბას დანიშვნა შეცდომა იყო. ვ.ხიშბამ, სამწუხაროდ, ვერ შესძლო სეპარატისტების მიერ შემუშავებული გეგმების განეიტრალება და წინააღმდეგობა გაეწია მოსკოვისა და „აიდგილარას“ ძლიერი ალიანსისათვის.

მიჩნეულია, რომ ზ.ადლეიბას მიმართ ძლიერი ზეწოლის მიუხედავად, მისი პირადი სიმტკიცე, ოჩამჩირელი ფესვები, ქართველებთან ნათესაური კავშირი შეიძლება გამხდარიყო შინაგანი მუხრუჭი „აიდგილარასა“ და არძინბას მზარდი ამბიციების შესაკავებლად. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ადლეიბასათვის კარგად იყო ცნობილი გუდაუთელი კლანების წარმომადგენელი არძინბას ფარული მიზანსწაფვა; აგრეთვე ისიც, რომ აფხაზეთში ჩამოსვლამდე ვ.არძინბა 23 წელიწადი მოღვაწეობდა მოსკოვში, ე.პრიმაკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ცნობილ ინსტიტუტში, რომელსაც თავიდანვე ჰქონდა ერთ-ერთი სადაზვერვო ცენტრის რეპუტაცია და საზოგადოებაში აღიქმებოდა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის კადრების სამჭედლოდ (აღნიშნულ ინსტიტუტში, სოხუმში ჩამოსვლამდე, ვ.არძინბამ სექტორის გამგის თანამდებობას მიაღწია).

ერთი შეხედვით პარადოქსია, რომ ამ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ არ მიიღო ვ.არძინბას სადოქტორო დისერტაცია და მან მისი დაცვა მოახერხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ავტ.).

დამოუკიდებლობისა და აფხაზეთის საკითხების გაყოფა არაა საჭირო. რუსეთის იმპერიისგან საქართველოს გამოსვლა - ყველაზე სერიოზულია იმ საკითხთა შორის, რომლებიც ოდესმე წამოუწევია ეროვნულ მოძრაობას. ამისთვის საჭიროა გადავდოთ ყველა სხვა საკითხი“...[36]

9 აპრილს სოხუმის ქუჩებში მრავალი ათასი ადამიანი გამოვიდა მიტინგში მონაწილეობის მისაღებად. იმ დღეს სოხუმმა თბილისში მომხდარი ვანდალიზმის შესახებ მწირი ინფორმაცია მიიღო. ქალაქის ცენტრალური ქუჩები სამხედრო ტექნიკამ და სსრკ შინაგანი ჯარის ნაწილებმა დაიკავეს. დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. შემდგომი გართულების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილი მიტინგის ორგანიზატორებმა შეკრებილებს დაშლისკენ მოუწოდეს, რადგან შესაძლებელი იყო თბილისური ტრაგიკული ვარიანტის განმეორება.

ანალიტიკოსთა შეფასებით, აპრილის მოვლენებმა საქართველოში ძლიერი იმპულსი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპს, რომელიც ხელისუფლების შეგნებული უკანდახევითა და მართვის სტრუქტურებში გამოუცდელი და ავანტიურისტი ადამიანების, ხშირ შემთხვევაში კი სპეცსამსახურთა საიდუმლო კვალიფიციური კადრების მოსვლით ხასიათდება. საქართველო, ფაქტიურად, მაშინ გამოვიდა სსრკ შემადგენლობიდან, ხოლო ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა ისეთი ავტორიტეტი მოიპოვეს, რომ თავისუფლად მართავდნენ საზოგადოებრივ პროცესებს საქართველოში.

აფხაზური „აიდგილარა“ არ დაეთანხმა მტკიცებას, რომ 9 აპრილი პროვოცირებულ იქნა აფხაზ სეპარატისტთა მოქმედებებით, ლიხნის მიმართვით. მ.გორბაჩოვისადმი გაგზავნილ წერილში ისინი აღნიშნავდნენ, რომ მიმართვა იყო აფხაზეთის მშრომელების გამოხმაურება სკკპ ცკ-ს მოწოდებისადმი ადგილებიდან მიეწოდებინათ წინადადებები ეროვნულ პრობლემებზე, მათ შორის, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სოციალისტური ფედერაციის სრულყოფა, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სტატუსის შემდგომი განვითარება.[37]

12 აპრილს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ შეაფასა ლიხნის წერილი და ამასთან დაკავშირებული მოვლენები. მაგრამ 9 აპრილის თბილისის ტრაგედიის შემდეგ პარტიულმა ორგანიზაციებმა სრულიად დაკარგეს გავლენა და ბიუროს მიერ მიღებულ დადგენილებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

აღნიშნულ პერიოდში აფხაზეთში შეიქმნა ანტიქართული ორგანიზაციები: „სლავიანსკი დომ“, „ალან“, „კრუნკ“, რომლებიც აფხაზური „აიდგილარას“

[36] Собчак А. Тбилисский излом 1989 года. М., 1993, с. 60.
[37] Газ. “Правда”, 1989, 2 июля.

მოკავშირეები გახდნენ და რომლებიც სსრკ-ს შენარჩუნებას უჭერდნენ მხარს. ამ ორგანიზაციების შექმნა იყო არაქართველ მოსახლეობაში ანტიქართულ განწყობილების გაღვივების მცდელობა. აღნიშნული დაჯგუფებები არ გამოხატავდნენ აფხაზეთში მცხოვრები რუსი, სომეხი და სხვა ე.წ. რუსულენოვანი მოსახლეობის უმრავლესობის აზრს. ეს ორგანიზაციები უფრო „აიდგილარას“ ფილიალების როლს ასრულებდნენ და სპეცსამსახურთა საიდუმლო კადრებით იყვნენ დაკომპლექტებულნი.

* * *

ეთნიკური დაძაბულობის გაღრმავება მოჰყვა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარშემო მიმდინარე მოვლენებს. სასწავლებელში, ფაქტიურად, ნომინალურად არსებობდა აფხაზური განყოფილება და აფხაზები პრიორიტეტს რუსულ სექტორს ანიჭებდნენ. ამას დაემატა უკანასკნელ პერიოდში ქართველი და აფხაზი სტუდენტებისა და პედაგოგების დაპირისპირება ეროვნული ნიშნის მიხედვით. შედეგად 1989 წლის აპრილის დასაწყისში ქართველმა პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა არასწორი საკადრო და სამეცნიერო პოლიტიკის მოტივით დატოვეს უნივერსიტეტის კედლები და მოითხოვეს სასწავლებლის გაყოფა. აფხაზებს არ სურდა ახალი დამოუკიდებელი ქართული უმაღლესი სასწავლებლის გახსნა. უფრო მეტიც, „აიდგილარასა“ და, საერთოდ, აფხაზი ინტელიგენციის მუდმივი თავდასხმის ობიექტები იყვნენ სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი და საქართველოს პოლიტექტიკური ინსტიტუტის სოხუმის ფილიალი. აფხაზი ინტელიგენცია მოითხოვდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის გაუქმებას, ცდილობდა დაესვა საკითხი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის აფხაზეთის ტერიტორიიდან გადატანის შესახებ. ეს სასწავლებლები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იზიდავდნენ სტუდენტთა ქართულ კონტინგენტს, რაც, მათი აზრით, უარყოფითად მოქმედებდა აფხაზეთში დემოგრაფიულ ბალანსზე. გამომდინარე აქედან, დაუშვებლად მიაჩნდათ კიდევ ერთი, მათ კონტროლს მოკლებული ქართული უმაღლესი სასწავლებლის გახსნა სოხუმში. ამასთან, ეს სრულიად უპერსპექტივოს გახდიდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარჩენილი (აფხაზური) ნაწილის ფუნქციონირების შესაძლებლობას.

გაფიცულმა პედაგოგებმა და სტუდენტებმა რამდენჯერმე გაგზავნეს დელეგაცია თბილისში საკითხის მოსაგვარებლად. 1989 წ. 2 მაისს სტუდენტების ინიციატივით სოხუმის ქართულ თეატრთან დაიწყო მჯდომარე გაფიცვა უნივერსიტეტის გაყოფის

მოთხოვნით. მას მხარი დაუჭირა საქართველოს მრავალმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ. შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტი. კომიტეტში განსაკუთრებით აქტიურობდნენ აფხაზეთის შემოქმედებითი ინტელიგენციისა და საწარმოთა წარმომადგენლები, ქართული სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები. სხდომების წაყვანა დაევალა საქართველოს დამსახურებულ არტისტს, სოხუმის კ.გამსახურდიას სახ. თეატრის მთავარ რეჟისორს, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს გ.ქავთარაძეს, კომიტეტის მიერ ჩამოყალიბებულ მოთხოვნებში უნივერსიტეტის საკითხმა მეორე პლანზე გადაინაცვლა და გაფიცვამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო. აქციას შეუერთდნენ დასავლეთ საქართველოს რაიონების საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ეფექტური იყო სოხუმის რკინიგზელთა აქტიურობა. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში ეს აქცია გახდა ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პოლიტიკური გამოსვლა. ფაქტიურად, მთელი აფხაზეთი იყო პარალიზებული. დასავლეთ საქართველოდან, თბილისიდან დაიწყო დელეგაციების ჩამოსვლა.

საგაფიცვო კომიტეტის წარმომადგენლებს კონტაქტი ჰქონდათ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებასთან და ორივე მხარის ძალისხმევის შემდეგ აქცია 13 მაისს შეწყდა. 1989 წლის 14 მაისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს №343 განკარგულებით შეიქმნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი. გადაწყდა სოხუმის ცენტრში 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალის მშენებლობა.

თსუ-ს ფილიალის გახსნასთან დაკავშირებით საკავშირო ხელისუფლებამ ირჭოფული პოზიცია დაიკვა. დაძაბულობა ვერ მოხსნა სსრკ განათლების სამინისროს წარმომადგენლების საინსპექციო ჩამოსვლამ სოხუმში, ხოლო სსრკ უმაღლესი საბჭოს კომისიამ შემდეგი დასკვნა გამოიტანა: “Группа народных депутатов СССР (ვ.არძინბა, ბ.შიკუნბა, ბ.ადლეიბა, ვ.თარბა, და ა.შ., - რედ.) настаивает на отмене указанного решения и осуществлении безотлагательных и действенных мер по восстановлению АГУ.”[38] მაგრამ საქართველოს სსრ ხელისუფლებამ იგნორირება გაუკეთა საკავშირო ორგანოს რეკომენდაციას და მდგომარეობა, ფაქტიურად, უცვლელი დატოვა.

ქართველთა გამოსვლების საპასუხოდ „აიდგილარას“ აქტივისტებმა 15 მაისს სოხუმში ლენინის პორტრეტებით, წითელი დროშებითა და სსრკ-ს შენარჩუნების შესახებ პლაკატებით გამართეს მიტინგი.

[38] Сборник документов: “Абхазское письмо. Абхазия в советскую Эпоху – 1947-1989 гг., Сух., 1994, т. 1, с.473.”

აფხაზურ-ქართული დიალოგის დაწყების მიზნით 20 და 23 მაისს სოხუმში გაიმართა ორივე მხარის ინტელიგენციის წარმომადგენელთა შეხვედრები, რომელმაც მიმდინარე პროცესებზე რაიმე სერიოზული დადებითი გავლენა ვერ მოახდინა.

23 მაისს „აიდგილარამ“ სოხუმში შემოქმედებითი კავშირების სახლში შეაგროვა თავისი წარმომადგენლები აფხაზეთის ქალაქებიდან და სოფლებიდან, სადაც მიიღეს მიმართვა სკკპ ცკ-ს სახელზე. აფხაზ სეპარატისტთა გულისწყრომა გამოიწვია საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, ქართველ ერს აღენიშნა დამოუკიდებლობის აღდგენის დღე - 26 მაისი. ის, რასაც ქართველები მიიჩნევდნენ დღესასწაულად, მათი აზრით, იყო ტრაგედია. მიუხედავად სეპარატისტთა წინააღმდეგობისა (მათ გამართეს მჯდომარე აქცია, რომელიც 1 ივლისამდე გრძელდებოდა), აფხაზეთის სხვა ქალქებში გაიმართა ხალხმრავალი გამოსვლები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღესთან დაკავშირებით. სოხუმში ერთ-ერთმა აფხაზმა ქალმა, დაახლოებით ათი ათასი მომიტინგეს თანდასწრებით ანძაზე დამაგრებული ქართული დროშა ჩამოგლიჯა. მიუხედავად ხალხის აღშფოთებისა, ფიზიკური შეურაცხყოფა პროვოკატორისთვის არავის მიუყენებია.

საზოგადოებაში იგრძნობოდა შინაგანი დაძაბულობა. აფხაზური მოსახლეობის ერთ, რადიკალურად განწყობილ ნაწილში, აშკარად შეიმჩნეოდა მზადყოფნა მოვლენების გამწვავების შემთხვევისათვის. ამასთან, „აიდგილარას“ ხელმძღვანელები გულმოდგინედ ემზადებოდნენ შეტაკებისათვის. ისინი საგანგებოდ აფრთხილებდნენ ცენტრს, რათა მიეღო ზომები მათ დასახმარებლად. 14-15 ივლისის ღამეს „აიდგილარას“ აქტივისტებმა მოშალეს სოხუმის კ.მარქსის ქუჩაზე მოწყობილი 9 აპრილს თბილისში დაღუპულთა პატივგების დროებითი სტენდი. აფხაზეთის სახალხო ფორუმმა თხოვნით მიმართა საკავშირო ხელმძღვანელობას აფხაზეთში ჯარის შემოყვანის თაობაზე.

მოვიყვანთ ციტატას აფხაზი მწერლების, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ბ.შიკუნბასა და ა.გოგუას დეპეშიდან, რომელიც მათ გაუგზავნეს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა.ლუკიანოვს და შს მინისტრს ვ.ბაკატინს: “Просим незамедлительно решить вопрос о выделении войсковых сил МВД СССР, так как 16 июля незаконно созданный филиал намеревается приступить к приемным экзаменам”.[39] აფხაზ უხუცესთა ჯგუფებმა ულტიმატუმი წაუყენა კპ საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს, რომ თუ არ იქნებოდა მიღებული გადამჭრელი ზომები, სპეციალურად მომზადებული ბრიგადები ბლოკირებას გაუკეთებდნენ საოლქო კომიტეტსა და უნივერსიტეტის ფილიალს, რომლის ხელმძღვანელობამ მისაღები

[39] იქვე, გვ. 470.

გამოცდები დანიშნა და მიმღებმა კომისიამ დროებით ბინა დაიდო სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის პირველ საშუალო სკოლაში.

1989 წ. 15 ივლისს სოხუმში ჩამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო.ჩერქეზია, შს მინისტრი შ.გორგოძე, საქართველოს კპ ცკ-ს მეორე მდივანი ა.პავშენცევი.

იმავე დღეს ქ.გუდაუთიდან და განაპირა სოფლებიდან ჩამოსვლა იწყეს აფხაზთა ჯგუფებმა. მათ ალყაში მოაქციეს სოხუმის პირველი საშუალო სკოლა, სადაც დროებით განთავსდა თსუ-ს ფილიალის მიმღები კომისია და სასტიკად სცემეს კომისიის წევრებს, მთლიანად დაარბიეს შენობა. 15 ივლისს, დაახლოებით 17^{00} საათისთვის სოხუმის რუსთაველის სახელობის პარკში შეკრებილ ქართველებს თავს დაესხნენ ქვებით, რკინის საგნებითა და ლურსმნიანი ხელკეტებით შეიარაღებული აფხაზები. მოგვიანებით გაისმა სროლის ხმაც. იმ საღამოს დაიღუპა 11 ქართველი და 5 აფხაზი - ასობით დაიჭრა. ვერაგულად მოკლეს ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ვოვა ვეკუა. 16 ივლისს ქართველობა და „არაფორმალები“ აკონტროლებდნენ სოხუმს. ჩამოაყალიბეს შტაბი, რომელიც განთავსდა კინოთეატრ „აფსნის“ შენობაში.

16-17 ივლისის განმავლობაში გუდაუთიდან ოჩამჩირეში კატარღებით გაიგზავნა სხვადასხვა ცივი და ცეცხლსასროლი იარღით შეიარაღებული ათასამდე აფხაზი, ნაწილი გადაიგზავნა ტყვარჩელში.

გალიდან ავტობუსებით მომავალ მშობლებს, რომლებსაც სოხუმში მყოფი სტუდენტი და აბიტურიენტი შვილების ბედი აღელვებდათ, მდ. ღალიძგასთან აფხაზმა ბოევიკებმა გზა გადაუკეტეს და ცეცხლი გაუხსნეს. მძიმედ დაიჭრა ავტობუსის მძღოლი ნ.შამათავა, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. მოკლულ იქნა რ.ეხვაია და ნ.შენგელია. შექმნილი ვითარების მსხვეპრლი გახდა „სოხუმხელსაწყოს“ გალის ფილიალის დირექტორი ი.მოლაშხია. ამ ფაქტების გამო აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მასალები ინახება საქართველოს პროკურატურაში.

სეპარატისტთა ვანდალიზმით აღშფოთებული ათასობით ქართველი დაიძრა სამეგრელოდან სოხუმისაკენ. მათ დაემატა ზუგდიდის ციხიდან გაქცეული 180 პატიმარი. დიდი მსხვერპლისაგან თავის აცილება მოხერხდა მთელი ქართული საზოგადოებრიობის გააზრებული მოქმედების შედეგად. ეროვნული მოძრაობის ლიდერები, ასევე საქართველოს მაშინდელი უმაღლესი ხელმძღვანელობა, ჩამოვიდნენ გალში და ადგილობრივ ხელმძღვანელებთან ერთად შეძლეს მოვლენების ნეგატიური მიმართულებით ესკალაციის შეჩერება. ათასობით ქართველი, რომლებიც სოხუმისკენ მიიწევდნენ, შეჩერებული იქნა მდ. ღალიძგასთან

(ოჩამჩირის რაიონი). ფაქტიურად, ამან ჩაშალა „აიდგილარას“ გეგმა, რომლის მიხედვით შეიარაღებული დაპირისპრება საშუალებას მისცემდა ცენტრს ავტონომიის ტერიტორიაზე შემოეღო საგანგებო მდგომარეობა, რითაც საქართველო დაკარგავდა ამ რეგიონზე კონტროლის შესაძლებლობას. ეს კი სეპარატისტებს გზას უხსნიდა ხელისუფლების მონოეთნიკური სტრუქტურების ჩამოყალიბებისა და საქარველოსაგან აფხაზეთის მოსაწყვეტად. ამჯერად ძალები არ ეყოთ, მაგრამ ივლისის მოვლენები სეპარატისტების მიერ გამოყენებული იქნა მომავალი ბრძოლებისათვის უკეთ მოსამზადებლად.

კონფლიქტის სწრაფად დარეგულირებაში ადგილობრივმა ხელისუფლებამ, სამხედროებმა, კრიმინალურმა ავტორიტეტებმა - ყველამ თავის თავზე მიიწერა დამსახურება. 18 ივლისს შემოღებულ იქნა „მოქალაქეთა ქცევის განსაკურებული რეჟიმი“. 25 ივლისი საქართველოს ხელისუფლებამ გლოვის დღედ გამოაცხადა. საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ 1989 წლის სექტემბერში სკკპ ცკ პლენუმს მოახსენა, რომ აფხაზეთის მოვლენების გამოძიება, რომელსაც აფხაზთა პროტეტის მიუხედავად, საქართველოს პროკურატურა აწარმოებდა, წარმატებით მიმდინარეობს და იქ დაწყებული ეროვნებათაშორისი დიალოგი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

ამის საპირისპიროდ აფხაზები ცდილობდნენ როგორმე დაერწმუნებინათ ცენტრი კეთილგანწყობაში, აფხაზები წარმოეჩინათ დაჩაგრულ ხალხად და მოსკოვს სთავაზობდნენ ქართველთა წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა სხვადასხვა ვარიანტებს.

20 ივლისს „აიდგილარამ“ სსრკ შსს შინაგანი ჯარების სარდალს გენერალ-პოლკოვნიკ ი.შატალინს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც სთავაზობდა აფხაზთა დროებითი ნებაყოფლობითი მობილიზაციის ორგანიზებას და მოხალისეთაგან მონოეთნიკური ნაწილების ფორმირებას, რომელთაც რუსი ოფიცრები უხელმძღვანელებდნენ. მიმართვას ხელს აწერდნენ: ა.გოგუა, ს.შამბა, ი.მარხოლია და სხვ.[40]

ქართველი ინტელიგენციის აზრით, რომელიც გამოიხატა აფხაზეთის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის განცხადებაში, ივლისის ტრაგედიაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა აფხაზ სეპარატისტებს. მწერლები მიიჩნევდნენ, რომ ნეგატიური პროცესების განვითარებაში კატალიზატორის როლი შეასრულა ხელისუფლების მიერ მოვლენების ობიექტური შეფასებისაგან თავის არიდებამ, მისმა მოუქნელობამ

[40] Чумалов М.Ю., там же, с. 67.

და, რაც მთავარია, ცენტრის პოლიტიკამ, რომლის მოქმედების მთავარი პრინციპი „გათიშე და იბატონე“ იყო.[41]

სსრკ უმაღლესმა სასამართლომ ოჩამჩირის პროკურორს ვ.გურჯუას და ოჩამჩირის შს რაიგანყოფილების არასაუწყებო დაცვის უფროს ნ.შლარბას მოსახლეობისათვის იარაღის უკანონოდ დარიგებისა და ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივებისათვის შესაბამისად 2 და 1,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

1989 წლის ივლისის მოვლენებმა მოსკოვსა და სეპარატისტებს უჩვენა, რომ საქართველოს ცენტრიდანული ძალების ნეიტრალიზებისა და ქართველთა დასჯისათვის გაცილებით უფრო ფუნდამენტური მომზადება იყო საჭირო. მათ გამოიტანეს შესაბამისი დასკვნები და მომავალი ბრძოლებისთვის დაისახეს სამი უმთავრესი ამოცანა: 1. „აიდგილარას“ აქტივისტების ავტონომური რესპუბლიკის ხელისუფლებაში მოსვლა; 2. საქართველოს დაქუცმაცების პროცესებში ჩრდილოეთ კავკასიის აფხაზებთან ეთნიკურად მონათესავე ხალხების ჩართვა; 3. სამეგრელოს განეიტრალება, რომელიც ისტორიული, გეოგრაფიული, დემოგრაფიული თუ სხვა პარამეტრებით, აფხაზეთის ქარველობასთან ერთად, ამ რეგიონში საქართველოს ინტერესების უპირველეს დამცველად დარჩებოდა.

* * *

1989 წლის 15-16 ივლისის მოვლენების შემდეგ აფხაზები მოითხოვდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე სსრკ უმაღლესი საბჭოს განსაკუთრებული მმართველობის შემოღებას, ამასთან ერთად ისინი აქტიურად ამყარებდნენ კონტაქტებს ჩრდილოეთ კავკასიასთან, სადაც იმ პერიოდში დაიწყო მოძრაობა საერთო კავკსიური ორგანიზაციის შესაქმნელად, რომელიც დაიცავდა კავკსიის მთიელ ხალხთა ინტერესებს, ხელს შეუწყობდა მათ კონსოლიდაციას. აფხაზები, ყაბარდოელები და ჩეჩნები გამოვიდნენ ინიციატივით კავკასიელი ხალხების წარმომადგენელთა შეხვედრის ორგანიზების თაობზე ერთიანი პლატფორმის ჩამოსაყალიბებლად. ამ პროცესებს გარკვეულწილად მართავდნენ რუსეთის სპეცსამსახურები.

1989 წლის 25-26 აგვისტოს აფხაზების, აბაზების, ადიღეელების, ყაბარდოელების წარმომადგენლები შეიკრიბნენ ქ.სოხუმში. არ ჩამოსულან ოსები და კავკასიელი თურქული მოდგმის ხალხები. ღონისძიებას დაერქვა „ჩრდილოეთ კავკასიის, აფხაზეთისა და დაღესტნის ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობისა და პარტიების კრება“. მიიღეს გადაწყვეტილება კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის შექმნის

[41] გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, 21 ივნისი.

შესახებ. ასამბლეაში არ გაერთიანდნენ ბალყარები და ყარაჩაელები; მიზეზი: ყარაჩაელებსა და ჩერქეზებს, ბალყარებსა და ყაბარდოელებს შორის არსებული დაპირისპირება. ასამბლეის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ყაბარდოელი მუსა მუჰამედის ძე შანიბოვი (ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, ნალჩიკის უნივერსიტეტის მეცნიერული კომუნიზმის დოცენტი). პირველმა ყრილობამ მიზნად დაისახა „დიდი ჩერქეზეთის“ - კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის აღდგენა, რომლის დედაქალაქად სოხუმი გამოცხადდა. მიიღეს მიმართვა „აფხაზი და ქართველი ხალხებისადმი“, რომელშიც გამოითქვა სინანული ივლისის მოვლენების გამო და იყო მოწოდება შერიგებისაკენ. ასამბლეის მეორე ლიდერმა ჩეჩენმა იუსუფ სოსლანბეკოვმა განაცხადა: „ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მთიელ ხალხთა ფედერაციის აღდგენა. იგი საქართველოს რესპუბლიკაზე ადრე გამოცხადდა და საერთაშორისო აღიარება ჰპოვა... იგი ანექსირებული იყო რუსი და ქართველი გენერლების გარიგების შედეგად. ამის გამო აფხაზეთი, კავკასიის ოდითგანდელი დედაქალაქითურთ, საქართველომ მიიტაცა; დანარჩენი ჩვენი ტერიტორიები რუსებმა დაიპყრეს“.[42]

თავიდან მთიელ ხალხთა ასამბლეის შექმნა გათვალისწინებული იყო როგორც კავკასიის გაერო, მაგრამ 1990 წლის 4 ნოემბერს, ნალჩიკში გამართულ ასამბლეის III სესიაზე გადაწყდა, რომ შექმნილიყო კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია, რომლის პროექტი მოამზადა აფხაზმა მწერალმა გ.ალამიამ. მასში გაერთიანდა 16 კავკასიელი ხალხი. მიწვეული იყვნენ საქართველოს სახალხო ფრონტის წარმომადგენლები, მაგრამ აფხაზური დელეგაციის დესტრუქციული და პროვოკაციული გამოხდომების გამო მას არ მიეცა ნორმალური მუშაობის საშუალება. პრეზიდენტად აირჩიეს მ.შანიბოვი და 16 ვიცე-პრეზიდენტი (მათ შორის კ.ოზგანი - შემდგომში სეპარატისტული აფხაზეთის მთავრობის ვიცე-პრემიერი). ჩამოაყალიბეს კავკასიის ხალხთა გაერთიანების აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც, ფაქტიურად, იყო კმხკ-ის მინისტრთა საბჭო (განაგებდა ეკონომიკის, თავდაცვის, საგარეო ურთიერთობათა, ჯანდაცვის, კულტურის და ა.შ. საკითხებს). საკანონმდებლო ფუნქციები მიენიჭა კავკასიის პარლამენტს, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ი.სოსლანბეკოვი, ხოლო კმხკ-ის სასამართლოს თავმჯდომარედ - აფხაზი ზ.აჩბა. კონფედერაციის პრეზიდენტმა მ.შანიბოვმა განაცხადა: “Мы, горские народы и с Арменией, и с Азербайджаном, и с Грузией, и с Россией будем иметь дело, как отдельное образование. Со временем от Конфедерации народов мы перейдем к Конфедерации государств”.[43]

---

[42] Газ. “Кавказ”, 1990, №1.

[43] Газ. “Независимая газета”, 1992, 2 сентября.

ერთის მხრივ, კონფედერაციის პრეზიდენტი მ.შანიბოვი ამბობდა: “Как только казаки начнут стрелять, все противоречия свои Кавказ забудет. Они получат здесь второй Афганистан, который долго будут помнить”,[44] მეორეს მხრივ, კონფედერაცია უხეშად ერეოდა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში და მოუწოდებდა რუსეთის ფედერაციას, „პოლიტიკური შეფასება მისცეს აფხაზეთში შექმნილი სიტუაციისთვის“, რაც, ფაქტიურად, სადამსჯელო ოპერაციის მოწყობისაკენ მოწოდება იყო.

1992 წლის აგვისტოს ბოლოს გროზნოში გაიმართა კმხკ-ის პარლამენტის მე-11 სესია, რომელიც მთლიანად მიეძღვნა აფხაზეთის საკითხს. სწორედ ამ შეკრებაზე გამოჩნდა სრულად, თუ რისთვის იყო შექმნილი კონფედერაცია. სესიამ თვალთმაქცურად დაადანაშაულა რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთთან მიმართებაში უმოქმედობაში. ამიტომ მათ თავის თავზე აიღეს აფხაზეთის დაცვა. სესიაზე მიღებული დოკუმენტები გამოხატავდნენ აფხაზი სეპარატისტებისადმი უცვლელ პოლიტიკურ სიმპატიებს, რაც პრაქტიკულად საქართველოში საომრად დაქირავებულთა და „მოხალისეთა“ რაზმების ფორმირებაში გამოიხატა. სესიის დადგენილებაში არაორაზროვნადაა გამოხატული მტრული დამოკიდებულება საქართველოსა და მისი ხელმძღვანელების მიმართ: „ქალაქ თბილისი და მთელი საქართველო ჩაითვალოს აქტიური მოქმედების ზონად... ქართველ ოკუპანტთა შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ბრძოლის ყველა მეთოდი“.[45]

აფხაზი ხალხის „მტრების“ წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკული ორგანიზება დაევალა კონფედერაციის ცენტრალურ შტაბს ი.სოსლანბეკოვის ხელმძღვანელობით.

ამ ფონზე კონტექსტიდან ამოვარდნილივით გაჟღერდა რუსეთის იუსტიციის მინისტრის მ.ფიოდოროვის (რომელიც 1995 წელს ბაშკირეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა) განცხადება, რომლის საფუძველზე გენერალურმა პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ზემოთ ხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით და პატიმრობაში აყვანილ იქნა მ.შანიბოვი (რომელიც შემდეგ „გაურკვეველ პირობებში“ გაიქცა). ამას კონფედერაციის ლიდერების მწვავე განცხადება მოჰყვა, რომელშიც კმხკ რუსეთის ხელმძღვანელობის ამ ნაბიჯს აფასებს, როგორც „სადამსჯელო აქციების დაწყებას კავკასიის ხალხების პოლიტიკური ორგანოს წინააღმდეგ.“[46] საბოლოო ჯამში ეს კონფედერატებისა და მოსკოვის დაპირისპირების იმიტაციის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა და, ცხადია, ამას

[44] იქვე.
[45] იქვე.
[46] იქვე.

საქართველოსთვის სასარგებლო არც ერთი ნაბიჯი არ მოჰყოლია და ემსახურებოდა აფხაზეთის მოვლენებში რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების როლის შენიღბვას.

* * *

ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში ეთნიკური დაპირისპირების პროვოცირების პარალელურად მოსკოვი ცდილობდა უთანხმოება ჩამოეგდო ქართველებსა და საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხებს შორის. 1989 წ. ივნისში ბოლნისსა და მარნეულში პროვოცირებულ იქნა აზერბაიჯანელთა გამოსვლები, რომელთა დარეგულირება შესაძლებელი გახდა. დროებით მოხერხდა მდგომარეობის სტაბილიზირება ცხინვალშიც. ცდილობდნენ ე.წ. მეგრელთა საკითხითაც სპეკულირებას. 1989 წ. 4 ივლისს აფხაზურმა ტელევიზიამ გააკეთა გადაცემა მეგრელთა უფლებების აღდგენის შესახებ (გამოიყვანეს გუდაუთელი თითქოსდა მეგრელი ქალი, რომელმაც მეგრელთა შელახულ ნაციონალურ უფლებებზე ილაპარაკა და ყოველვე თბილისსა და ქართველ დამპყრობლებს გადააბრალა). ეს იყო იაფფასიანი, მაგრამ სიმპტომატური პროვოკაცია, რომელსაც წამოეგო ქართული საზოგადოებრიობის ნაწილი და პრესა.

1989 წ. სექტემბერს „აიდგილარამ“ მოაწყო ანტიქართული გაფიცვები, რომელშიც მონაწილეობდნენ სომეხი და რუსი აქტივისტები.

1989 წ. 23 სექტემბერს აფხაზეთში შეიქმნა საქართველოს სახალხო ფრონტის რეგიონული ორგანიზაცია, რომლის ამოცანად და მიზნად დაისახა მოქმედი სხვადსხვა ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციების გაერთიანება და მართვა.

1989 წლის ოქტომბერს საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა ეროვნული მოძრაობის აღიარებული ლიდერი მერაბ კოსტავა. მაშინ მძიმედ დაშავდა ზურაბ ჭავჭავძე, რომელიც შემდგომ გარდაიცვალა.

1989 წ. თებერვალში თბილისში საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ძლიერების სიმბლოს - დავით აღმაშენებლის ძეგლს. მოსკოვში საქართველოს დაქუცმაცების გეგმა იხვეწებოდა. ამ დროს კი სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ყრილობებზე პოლიტიკურ გამოცდილებას ღებულობდა აფხაზ სეპარატისტთა მომავალი ლიდერი, №486 გუდაუთის საქალაქო საარჩევნო ოლქში დეპუტატად არჩეული ვ.არძინბა, რომელიც ბლოკ „სოიუზის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო და საკავშირო უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ლუკიანოვის განსაკუთრებული სიმპათიებით სარგებლობდა. აღსანიშნავია სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიაზე ვ.არძინბას ანტიქართული გამოსვლები 1989 წლის 19 აპრილსა და 3 ივნისს, რომლებსაც დეპუტატთა უმრავლესობა ტაშით შეხვდა.

* * *

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება ესწრაფოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების განვითარებისთვის აება მხარი და ეროვნული მოძრაობის რადიკალიზმის დაბალანსებას ცდილობდა. 1990 წლის 21 იანვარს საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმმა მოიწონა „საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფცია“, ხლო 9 მარტს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიამ მიიღო დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“, რომელშიც უარყოფითადაა შეფასებული სსრკ კონსტიტუციის კანონპროექტის 127-ე მუხლი პრეზიდენტის უფლებამოსილების შესახებ სსრკ მოქმედი კონსტიტუციის 70-ე მუხლის თანახმად. ეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავტორიტეტისა და გავლენის ზრდაზე მეტყველებდა.

1990 წ. 13 მარტს თბილისის ფილარმონიაში გაიხსნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის I კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთიდან წარგზავნილებიც. კონფერენციამ ქართველ ხალხს მოუწოდა ბოიკოტი გამოეცხადებინა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 25 მარტისთვის დანიშნული არჩევნებისთვის. ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციების ავტორიტეტი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ არჩევნებს ჩაშლის რეალური პერსპექტივა დაემუქრა. შედეგად ხელისუფლებამ დააკმაყოფილა ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მოთხოვნები და გადადო არჩევნები. მიღებულ იქნა საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-6, მე-7 და 49-ე მუხლების ახალი რედაქცია. დაკანონდა მრავალპარტიული სისტემა. კერძოდ, 49-ე მუხლში აღინიშნა: „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ პოლიტიკურ პარტიებად, საზოგადოებრივ ორგანიზაციებად, მონაწილეობდნენ მასობრივ მოძრაობებში... საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გარანტირებული აქვთ პირობები თავიანთი საწესდებო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის“.[47]

კონფერენციაზე შეიქმნა ეროვნული ფორუმი, რომელშიც გაერთიანდნენ საქართველოს ჰელსინკის კავშირი, ეროვნულ-დემოკრატული და ეროვნული-დამოუკიდებლობის პარტიები და ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი. დელეგატებს აფხაზეთიდან დაევალათ თვითონ გადაეწყვიტათ ფორუმში მათი წარმომადგენლობის დელეგირების საკითხი.

[47] საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია. 1991, გვ. 20.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის I კონფერენციის შემდეგ გადწყდა აფხაზეთში პოლიტიკური ორგანიზაციების გაერთიანება. ამიტომ ეროვნული გაერთიანებების აფხაზეთის ფილიალებმა პარიტეტულ საფუძველზე აირჩიეს ეროვნული ფორუმის სამი წევრი. აღნიშნულის ლოგიკური გაგრძელება იყო მოქმედების კოორდინაციის მიზნით 1990 წლის მარტში ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტის (ცაეკ) დაფუძნება, რომელშიც გაერთიანდა ყველა ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაცია გარდა სახალხო ფრონტისა (ედპ - IV დასი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რუსთაველის საზოგადოება, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, სადროშო „ლემი“, სედპ, ექიმთა ასოციაცია, საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება, მერაბ კოსტავას საზოგადოება, მონარქისტულ-კონსერვატიული პარტია). ცაეკ-ში შემავალმა თითოეულმა ორგანიზაციამ აღიარა აფხაზეთში განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის შექმნილი განსაკუთრებული პირობები, რაც რუსეთის მიერ ეთნიკური ომის პროვოცირების შესაძლებლობას გულისხმობდა და რაც საქართველოს დაქუცმაცებას უქადდა.

1990 წლის აპრილში სოხუმთან, სოფ. აჩადარაში გაიხსნა თბილისის 9 აპრილის ტრაგედიის დროს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი, რომლის მშენებლობაში მთელმა საზოგადოებამ მიიღო მონაწილეობა. გახსნისას გაიმართა მიტინგი. 9 აპრილთან დაკავშირებით მასობრივი აქციები მოეწყო გალში, ოჩამჩირეში, გულრიფშსა და გაგრაში. „აიდგილარას“ ლიდერები ამ მოვლენებთან დაკავშირებით თვლიდნენ, რომ ქართველთა თავდადების აღსანიშნავი მემორიალური ძეგლის აფხაზეთში დადგმა მიუღებელი იყო. ამის გამო სოფ. აჩადარის სოფლსაბჭოს ეროვნებით აფხაზმა თავმჯდომარემ (ოტირბა), რომელმაც მიღო გადაწყვეტილება აღნიშნული მემორიალისათვის მიწის გამოყოფის შესახებ, სეპარატისტთა მხრიდან ზეწოლისა და ობსტრუქციის შედეგად სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

* * *

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თანდათან გამოიკვეთა მკვეთრი დაპირისპირება. ამ განხეთქილების მიზეზების კვლევა განსაკუთრებული თემაა და აქ ვრცლად ვერ შევეხებით. ცხადია, რომ ეს გამოწვეული იყო მრავალი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით, რომელთაგან უმთავრესი ეროვნული მოძრაობის ლიდერთა დაპირისპირება და საკავშირო სპეცსამსახურთა ძირგამომთხრელი საქმიანობა იყო. საბოლოო განხეთქილების მიზეზი არჩევნებში მონაწილეობის საკითხი გახდა. ზ.გამსახურდია და მისი მომხრეები მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და საარჩევნო კანონში გარკვეული

ცვლილებების შეტანის შემდეგ შესაძლებელი იყო არჩევნებში მონაწილეობის მიღება და ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოსვლა. განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ფრთა მიიჩნევდა, რომ საქართველოს სსრ და მისი მარიონეტული ხელისუფლება რუსეთის საბჭოთა იმპერიის საოკუპაციო რეჟიმის პირმშო იყო და მის მიერ დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობის მიღება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეობის უარყოფას ნიშნავდა. რამდენიმეჯერ იყო ეროვნული მოძრაობის ორი დაპისრისპირებული ფრთის შერიგების მცდელობა, მაგრამ უშედეგოდ.

ეროვნული მოძრაობის ორად გახლეჩამ აფხაზეთშიც იჩინა თავი. 1990 წლის მაისში ჩამოყალიბდა „მრგვალი მაგიდის“ აფხაზეთის განყოფილება, რომელმაც გამოიყენა რა ზ.გამსახურდიას დიდი პიროვნული ავტორიტეტი, მოითხოვა დანარჩენი ორგანიზაციების მათთან გაერთიანება. მიუხედავად შეთანხმებისა, საერთო სტრატეგიული ინტერესების იგნორირებითა და დამაჯერებელი არგუმენტაციის გარეშე „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა (საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება, მერაბ კოსტავას საზოგადოება, მონარქისტულ-კონსერვატიული პარტიის აფხაზეთის განყოფილება) ცაეკ-ი დატოვეს. ცაეკ-ის განცხადებაში ნათქვამია: „ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები, მით უფრო აფხაზეთში, ყოველგვარ ჯგუფურ ინტერესებზე და ზოგიერთების „უბრალო ჯიუტობის“ კონსტატაციაზე მაღლა უნდა დადგნენ. ურთიერთკომპრომისების ძიებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ აფხაზეთი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის განსაკუთრებული რეგიონია და ამიტომ შესაბამისი ძალისხმევა მართებს ყველას, რათა აქ ეროვნულ ძალთა ერთიანობა შენარჩუნებულ იქნეს. კატეგორიულად ვაცხადებთ: თბილისში მომხდარი კონფრონტაციის საფუძველზე ოპოზიციური პოლიტიკური სტრუქტურების კალკირება აფხაზეთის რეგიონისათვის ამ შემთხვევაში დაუშვებელია. შექმნილი ვითარება ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტისა და მრგვალი მაგიდის კოორდინირებულ მოქმედებას მოითხოვს“.[48]

ცაეკ-ს რადიკალური პოზიცია ეკავა საზოგადოებრივი განვითარების მრავალ საკითხში. მისი ინიციატივით სოხუმში იმართებოდა პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებები და აქციები (ანტისაბჭოთა და ანტიიმპერიული გამოსვლები, მსვლელობები რუსეთის ჯარში ქართველ ახალგაზრდათა მიერ სამსახურის გავლის შეწყვეტის მოთხოვნით და ა.შ.), რაც პოლიტიკურ ძალთა მაშინდელი განლაგების პირობებში არაადექვატურად აღიქმებოდა საზოგადოებაში, განსაკუთრებით მმართველ წრეებში. მაგალითად, 1990 წლის ივნისში სოხუმის ხელმძღვანელობის

[48] გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1990, 16 ივნისი.

კატეგორიული მოთხოვნით ცაეკ-ის ლიდერთა მიმართ ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის კვალიფიკაციით.

აფხაზეთში მაშინ ჯერ კიდევ ძლიერი იყო კომუნისტურ-საბჭოური მმართველობა, რადგან აფხაზთა ელიტა და „აიდგილარა“ სსრკ-ს შენარჩუნებასა და ლენინური ინტერნაციონალიზმის პოზიციებს იზიარებდნენ და, რადგან ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი ნომენკლატურის დიდი უმრავლესობა სეპარატისტთა ხელში იყო მოქცეული, მათ საშუალება ჰქონდათ აქტიური წინააღმდეგობა გაეწიათ ქართველი ეროვნების ხელმძღვანელებისათვის.

1990 წლის 26 მაისს აფხაზეთში ფართოდ აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. ინციდენტი მოხდა გაგრაში, სადაც სეპარატისტები თავს დაესხნენ დემონსტრანტებს. ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს კპ ქალაქკომის მეორე მდივანს თ.ნადარეიშვილს, რომელსაც აფხაზთა მიმართ აქტიური ნეგატიური პოზიცია ეკავა.

1990 წლის 28 მაის გაიმართა აფხაზი ეროვნების საზოგადოებრიობის კრება, რომელმაც მოითხოვა აფხაზეთის კომუნისტური და საბჭოთა ხელმძღვანელობის სრული შემადგენლობის შეცვლა. აფხაზეთის სახალხო ფორუმ „აიდგილარას“ თავმჯდომარემ ს.შამბამ თავის ინტერვიუში განაცხადა, რომ მათ აქვთ კონტაქტი ქართულ ოპოზიციურ ორგანიზაციებთან აფხაზეთში და ამ ორგანიზაციათა მხრიდან მხარდაჭერის შესაძლებლობა არ გამორიცხა.[49] ამას მოჰყვა „მრგვალი მაგიდის“ ნეგატიური რექცია, რომელიც არსებითად შესაძლო დიალოგზე უარის თქმას ნიშნავდა,[50] რაც არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში ხელს უწყობდა აფხაზეთში ეთნიკური დაპირისპირებულობის ესკალაციას. ამის შესახებ ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტის განცხადებაში ნათქვამია: „აფხაზი საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრების დადგენილებისადმი დამოკიდებულების გასარკვევად კომიტეტისთვის ან მასში გაერთიანებული რომელიმე ორგანიზაციისათვის აფხაზთა მხრიდან არავის მიუმართავს... ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი გამოთქვამს მზადყოფნას, აწარმოოს პოლიტიკური ხასიათის კონსულტაციები აფხაზი ხალხის ნებისმიერ წარმომადგენლობასთან“.[51]

* * *

[49] Газ. “Зарья Востока”, 1990, мая.
[50] там же, 1990, 8 июля.
[51] გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1990, 15 ივნისი.

1990 წლის ივნისს შეიქმნა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის აფხაზეთის ორგანიზაცია, რომლის ლიდერი გახდა თსუ-ს სოხუმის ფილიალის დოცენტი ელგუჯა გვაზავა.

1991 წლის აგვისტოს სპეცსამსახურებმა მორიგი პროვოკაციული კომპანია წამოიწყეს, რომელიც ე.წ. თურქი-მესხების აფხაზეთის გავლით „მშობლიურ“ ადგილებში დაბრუნებას ითვალისწინებდა. შეიქმნა დესტაბილიზაციის ახალი საშიშროება. გაგრის ზონისკენ დაიძრნენ ეროვნული მოძრაობის აქტივისტები, რომელთაც შეუერთდა ქართული საზოგადოებრიობა. შეიქმნა შტაბი, რომელმაც დიდი მოცულობის ორგანიზაციული სამუშაო ჩაატარა. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა საკმაოდ აქტიური პოზიცია დაიკავეს და ნაყოფიერად მონაწილეობდნენ რუსეთის მიერ ორგანიზებული საშიში პროვოკაციის აღკვეთაში. ე.წ. თურქ-მესხთა აფხაზეთის ტერიტორიაზე გავლის წინააღმდეგ აფხაზებიც გამოვიდნენ. ისინი შიშობდნენ, რომ ხალხის ეს მასა ავტონომიურ რესპუბლიკაში დარჩებოდა. პროვოკაციის ორგანიზატორებმა მიზანს მაინც მიაღწიეს: კიდევ ერთხელ დაიძაბა სიტუაცია აფხაზეთში, ხოლო ფერღანიდან გამოყრილი ხალხის ბედის საკითხში დაპირისპირებულ ქართულ ორგანიზაციათა შორის კიდევ უფრო გაღრმავდა განხეთქილება.

3. საქართველოში ხელისუფლების ცვლის პროცესი და აფხაზეთი

„აიდგილარა“ ცდილობდა ავტონომიური რესპუბლკის ხელისუფლების ოფიციალური სტრუქტურები მაქსიმალურად ჩაერთო სეპარატისტულ მოძრაობაში. ქართველთა განხეთქილებისა და მოსკოვის მხარდაჭერის ფონზე ეს არც ისე ძნელად განსახორციელებელ ამოცანად ჩანდა.

1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ აფაზეთში საზოგადოება ორად - ქართულ და აფხაზურ ნაწილებად გაიხლიჩა. ოფიციალურ სტრუქტურებს ეს თითქოსდა ნაკლებად შეეხო, მაგრამ სინამდვილეში ქართველ და აფხაზ ხელმძღვანელებს შორის დაძაბულობამ მაღალ ხარისხს მიაღწია და არსებული ურთიერთთანხმობა მოჩვენებითი გახდა. შედეგად, ამ ხნის განმავლობაში არ ჩატარებულა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არც ერთი სხდომა, კპ-ის პლენუმი და სხვა ღონისძიებები. ამასთან, თბილისს ნაკლებად ეცალა ავტონომიური რესპუბლიკისათვის და აქ განვითარებული მოვლენები, ფაქტიურად, თვითდინებაზე იყო მიშვებული.

ამ ფონზე აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს აფხაზურმა დეპუტაციამ წამოაყენა წინადადება სესიის ჩატარების შესახებ და წარმოადგინა ქართული მხარისათვის მიუღებელი დღის წესრიგი, რომელიც ითვალისწინებდა დადგენილებისა და დეკლარაციის მიღებას აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიებისა და აფხზეთის ასსრ სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ.

3 აგვისტოს გაიმართა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც ქართველმა დეპუტატებმა პროტესტი გამოთქვეს ამ ორგანოს არანორმალური მუშაობის გამო. აფხაზური მხარე, არ დაეთანხმა წინადადებას - 25 აგვისტოს სხვა დღის წესრიგით ჩაეტარებინათ სესია. კერძოდ, უნდა განხილულიყო კანონპროექტები ავტონომიის უმაღლესი და ადგილობრივი არჩევნების შესახებ. რ.სალუქვაძის (სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი) თქმით, მათ აფხაზმა დეპუტატებმა შესთავაზეს აფხაზეთში მცხოვრები ყველა ხალხის ინტერესების გათვალიწინებით ერთობლივად შეემუშავებინათ სხვა დოკუმენტებიც, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ დემოკრატიული პროცესების დაჩქარებას, მოხსნიდნენ არსებულ დაძაბულობას საზოგადოებაში.

1990 წლის 21 აგვისტოს ქარხანა „სოხუმხელსაწყოში“ გაიმართა ქალაქის შრომითი კოლექტივების გაერთიანებული საბჭოს კრება, რომელმაც მოუწოდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, არ მიეღოთ მონაწილეობა 25 აგვისტოს დანიშნული სესიის მუშაობაში, რომელზეც უმაღლესი საბჭოს აფხაზური ნაწილი გეგმავდა აფხაზეთის სუვერენიტეტის შესახებ დეკლარაციისა და სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების თაობაზე დადგენილების მიღებას.

23 აგვისტოს ქართულმა მხარემ მოაწყო აფხაზეთის ყველა საფეხურის საბჭოების 582 დეპუტატის შეკრება. მასზე მიღებულ დეკლარაციაში უმაღლესი საბჭოს აფხაზურ მხარეს მოუწოდეს, უარი ეთქვათ 25 აგვისტოს სესიის დაგეგმილი დღის წესრიგით ჩატარებაზე. მით უფრო, რომ 1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს საქმიანობა პრაქტიკულად ჩაშლილი იყო.

მიუხედავად ამისა, აფხზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა აფხაზურმა ნაწილმა 1990 წლის 25 აგვისტოს უმრავლესობის აზრის იგნორირებითა და ქვორუმის გარეშე მაინც ჩაატარა შეკრება, რომელსაც 138-დან დაესწრო 68 დეპუტატი.

აღსანიშნავია, თუ რა პირობებში ჩატარდა ე.წ. შეკრება. მისი მომზადების დღეებში დეპუტატებზე ხორციელდებოდა უხეში ზეწოლა. მაგალითად, დეპუტატი კ.ს.ფიტიზოვი წინასწარ იქნა იზოლირებული და ძალის გამოყენებით მიიყვანეს სესიაზე. კენჭისყრაში მას მონაწილეობა არ მიუღია, რაც ხმათა დათვლის დროს არ

იქნა გათვალისწინებული. კენჭისყრაში არ მიუღია მონაწილეობა არც მძიმედ ავადმყოფ დეპუტატ ნ.პ.კუზნეცოვას, რომელიც აგრეთვე ძალით იქნა მოყვანილი სესიაზე, ხოლო დეპუტატმა ე.ლ.ქვარანძიამ თავი შეიკავა, მაგრამ ესეც არ იქნა გათვალისწინებული. კ.ფიტიზოვმა მიმართა აფხაზეთის პროკურატურას, მაგრამ მისი განცხადება რეაგირების გარეშე დარჩა. იყო სხვა ფაქტებიც, კერძოდ, ქვორუმის დასაფიქსირებლად შეკრებაზე მოიყვანეს, უფრო სწორად, საკაცით შემოიტანეს მძიმედ ავადმყოფი სსრკ სახალხო არტისტი ა.აგრბა და მაშინვე გაიყვანეს.

ისე, რომ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ, რომელსაც არ ესწრებოდნენ ქართველი და სხვა ეროვნების დეპუტატები, ქვორუმისა და რეგლამენტის უხეში დარღვევით მიიღო დადგენილება „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ“ და დეკლარაცია „აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“, რომელთა მიხედვით იურიდიულ-სამართლებლივი ურთიერთობები საქართველოს სსრ-სა და სსრკ-სან ხორციელდებოდა ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო მიწის, წიაღისეულთა და ბუნებრივი სიმდიდრეების ერთადერთ განმკარგულებლად ცხადდებოდა აფხაზეთის ასსრ. ფაქტიურად, გამოცხადდა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. სესიას თავმჯდომარეობდა კ.ოზგანი (უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, კპ-ის გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი), ხოლო მოხსენება გააკეთა აფხზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვ.კობახიამ.

აფხაზური დეპუტაციის ინიციატივით ჩატარებულ სესიას იურიდიული ძალა არ ჰქონდა. ამდენად, იურიდიული ძალის არ მქონე იყო იქ მიღებული დოკუმენტები და გადაწყვეტილებებიც, მათ შორის, ორი დეპუტატის - გ.უ.ბანდურიანისა და ს.მ.სმოლნიკოვის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ.

26 აგვისტოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილების შესახებ“ (პრეზიდიუმის თავმჯდომარის გ.გუმბარიძის ხელმოწერით), რომლის მიხედვით აღნიშნული დოკუმენტები გაუქმდა. შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა აფხაზეთის ასსრ მიერ დაყენებული ა.რ. სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივ გარანტიებთან დაკავშირებული საკითხები სპეციალისტების, მეცნიერების, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით.[52]

26 აგვისტოს „მრგვალი მაგიდის“ აფხაზეთის ორგანიზაციამ საპასუხო საპროტესტო მიტინგი გამართა სოხუმში.

[52] საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებები, ‘8, გვ. 15.

სიტუაცია იძაბებოდა და მოსალოდნელი იყო 1989 წლის მსგავსი მოვლენების პროვოცირება. 31 აგვისტოს ქართველ დეპუტატთა ინიციატივით ჩატარდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს საგანგებო შეკრება, რომელსაც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს 72 დეპუტატი (სიით 138-დან) დაესწრო (შემადგენლობის 50%-ზე მეტი). საერთო გადაწყვეტილებით შეკრება გამოცხადდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს XI მოწვევის საგანგებო სესიად. სხდომას თავმჯდომარეობდა ლ.კვიტატიანი (დეპუტატი სოხუმის რაიონიდან). გამომსვლეთა შორის იყვნენ აფხაზი, ქართველი, სომეხი, უკრაინელი, ესტონელი ეროვნების დეპუტატები (ე.ქვარანძია, ა.მოსკალენკო, ვ.ზებელიანი, ე.იუგანსონი).

დეპუტატთა დავალებით მოხსენება გააკეთა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ.ყოლბაიამ. მოვიყვანთ მოხსენების ძირითად ნაწილს.

“Черезвычайно трудная и ответственная миссия выпала на нас – депутатов Верховного Совета Абхазской АССР нынешнего созыва. От нас с вами, от нашей гражданской позиции, принципиальности, политической мудрости и прозорливости зависит установление мира и спокойствия на территоии Абхазии, да и во всей Грузии. Автономная республика еще не вышла из того шокового состояние, в которое ввергли ее пока не выявленные и не наказанные инспираторы и организаторы июльской трагедии 1989 года. В этих условиях определенные силы открыто стремятся к дальнейшему нагнетанию политической обстановки, углублению противостояния двух коренных народов, что может привести, если не остановится вовремя, к непредсказуемым губительным последствиям. Во имя спасения автономной Абхазии, сохранения ее целосности, во имя настоящего и будущего всего населения мы должны принять сегодня взвешенные, всесторонные решения. Вот почему большая группа депутатов разных национальностей объявила бойкот сессии, назначенной на 25 августа 1990 года. (...)

С основным докладом на сессии, как известно, выступил Председатель Президиума Верховного Совета Абхазской АССР В.Кобахия. Прежде чем перейти к анализу его доклада, хочу заявить, что мы не только не против выработки правовых гарантий защиты государственности Абхазии, но и готовы принять в ней самое активное участие. Вместе с тем давайте все вместе задумаемся, а может ли государственность автономной Абхазии иметь каие-либо гарантии без поддержки коренного грузинского населения, составляющего около половины всех ее жителей, без поддержки других народов, населяющих Абхазию? Ответ ясен, но как раз это и проигнорировали наши коллеги, когда приняли неприемлемые решения, фактически выводящие Абхазию из состава Грузии.

Вместе с тем, положения принятой на сессии Декларации логически вытекают из постановления сессии, а последнее опирается на спорное, мягко говоря, толкование исторических фактов и произвольное их понимание. Верховный Совет, разумеется, не самое лучшее место для научных дискуссии по историческим проблемам. На сессии 25 августа 1990 года предпринималась попытка доказать недоказуемое – что Абхазия не является составной частью Грузии, что она якобы всегда имела свою самостоятельную государственность и т.д. Удивляет также то, почему исторические события излагаются лишь с начала XX века? Опираясь только на труды видных абхазских историков, посмотрим, как обстояло дело в действительности. Поэтому я по требованию ученных, историков зачитаю короткую историческую справку, подготовленную специалистами.

Племена, считающиеся предками современных абхазов, впервые упоминаются в письменных источниках с I и II веков нашей эры. Однако территория сегодняшней Абхазии входила в состав знаменитого Колхидского царства, образованного еще в VI веке до нашей эры, т.е. за 5-6 веков до упоминания предков абхазов. С IV века нашей эры данная территория входит в состав Лазского (Эгрисского) царства, возникшего на месте Колхидского царства. В VI веке возникает Абхазское княжество в составе Лазики, но все они вместе находятся под игом Византии.

Примерно к середине VIII в. Усилившееся Абхазское кнаяжество выходит из состава обессиленной в борьбе с внешними врагами Лазики и начинает объединение западно-грузинских земель. К концу VIII в. Возникает абхазское царство, включающее всю Западную Грузию. Посмотрим, что из себя представляла территория современной Абхазии в период существования Абхазского царства. Южная часть (сегодняшние Гальский и Очамчирский районы) занимало Бедийское эриставство (княжество), нынешний Сухумский, Гульрипшский и частично Гудаутский районы составляли Цхумское эриставство, а дальше к северо-западу по Никопсии (сегодняшнее Туапсе) простиралось Абхазское эриставство. Таким образом, Абхазское царство включало Абхазское княжество, которое считается этнической Абхазией, а само царство являлось грузинским государством с центром в Кутаиси.

Абхазсое царство сыграло очень большую роль в создании единого Грузинского государства, в составе которого да конца XV в. входила и Абхазия, ставшая к тому времени частью менгрельско-абхазского княжества Сабедиано (от р. Цхенис Цкали до р. Бзыбь). С распадом единого Грузинского государства Абхазия, как и все Сабедиано, оказывается в составе Имеретинского царства. Причем Абхазия начинает обособляться от Сабедиано, и в начале XVII в. она составила отдельное княжество с юго-восточной

границей по р. Кодори. В результате междоусобных войн граница Абхазии к концу XVII в. достигла р. Ингури.

На рубеже XVII и XVIII вв. Неоднородное по составу население Абхазское княжество распалось на три мелких княжеств. Здесь же следует пояснить, что в XVI-XVIII вв. Грузия находилась под игом Турции.

Таким образом, до конца XVIII в. история не знает самостоятельного Абхазского государства, а существовавщее княжество, с постоянно меняющимися границами, всегда входило в состав Грузии.

В упомянутом докладе В.Кобахия на сессии утверждается, что 17 февраля 1810 г. Абхазия вступила под покровительство Российской империи как самостоятельная государственная единица. Это не совсем так. Во-первых, к России присоединилось Абхазское княжество без сегодняшней Гагрской зоны (Джикети), Цебельды и территории южнее от Галидзги (Самурзакано). Во-вторых, Абхазское княжество в составе России не имело государственности, а имело лишь, как свидетельствовал князь П.Л.Шервашидзе, “особую форму правления”.

С введением Российской системы управления в Имерети в том же 1810 г. власть его военного начальника (правителя) фактически распространилась и на Абхазское царство, а после создания через некоторое время Черноморской береговой линии в административно-военном отношении оно было подчинено управлению сначала второго, а затем и третьего отделения этой линии. Начальники Черноморской линии и ее третьего отделения, в всою очередь подчиненные Имеретинскому правлению, “были обязаны иметь политический надзор за Абхазией”, а в случае необходимости имели “право употребления... силы оружия”. Они не только имели такое право, но и довольно часто „употребляли силу оружия против свободолюбивого абхазского народа, который почти непрерывно вел освободительную борьбу против колонизаторской политики царизма. Об этих фактах ни слова нет в докладе, ибо они начисто опровергают домыслы о государственной самостоятельности Абхазии в составе Рссийской империи. С утверждением о том, что после 10 февраля 1810 г. Абхазия была абсолютно независима от царства и княжеств Восточной и Западной Грузии, можно согласится, но составители доклада забыли одну деталь – таких царств и княжеств в Грузии 1810 года больше не существовало. Все они вместе с Абхазией были анексированы.

Абхазское княжество было ликвидировано в июле 1864 г., переименовано в Сухумский округ и причислено к составу Кутаисского генерал-губернаторства. Такое положение фактически продолжалось до 1917 г., хотя формы правления менялись и за

эти годы. В период от февраля до октября 1917 года Абхазия также входит в ведение Закавказской администрации, созданной Временным правительством (...)

В упомянутом докладе также сказано, что Абхазский национальный Совет, созданный 8 ноября 1917 года, организационно был связан с союзом объедененных горцев Кавказа, которых в свою очередь входил в Юго-восточный Союз казачьих войск – горцев Кавказа и вольных народов степей, созданный 20 октября 1917 года. Что здесь можно сказать?

В соотстветствии с договором от 20 октября 1917 года в состав Юго-восточного союза входил, среди прочих народов (далее цитирую):

"Горский народ Сухумского округа абхазии". А другие народы округа в этот союз не входили. Например, самурзаканцы (грузины) решительно отвергали приглашение, войти в союз горцев. Нужно подчеркнуть, что Народный совет Абхазии, несмотря на связь с горцами Северного Кавказа, признавал власть Закавказской администрации. В декрете №1 Временного правительства союз горцев от 4 декабря 1917 года перечисляются территории, на которые распространялась полностью его государственная власть. Во втором параграфе декрета читаем: "В отношении Закатальского и Сухумского округов Временное горское правительство имеет власть по вопросам национального и политического характера, распространение теперь же и полностью государственной власти горского правительства на эти округа представить на разрешение Закатальского и Сухумского народных Советов". Последний никогда не принимал решение о распространении полностью государственной власти горского правительства на Сухумский округ. Таким образом, в союз горцев и в Юго-восточный Союз входил абхазский народ, но не территория Сухумского округа, которая подчинялась закавказским властям.

9 февраля 1918 года между грузинским и абхазским национальными Советами был заключен договор. В нем есть такой пункт: "Воссоздать единую нераздельную Абхазию в пределах от р. Ингур до р. Мзымта, в состав которой войдут собственно Абхазия и Самурзакан..." Обратите внимание на последнюю фразу: "Собственно Абхазия и Самурзакан", смысл которой ясен. По договору от 9 февраля 1918 г. форма политического устройства Абхазии должна была разрешится в будущем на Учредительном собрании Абхазии, созванном на демократических началах.

Весной 1918 г. на большой части территории Абхазии при решающем участии большевистских сил России была установлена Советская власть. Абхазский народ, еще с 1905-1907 гг. в большинстве своей массы враждебно относился к социализму и

входивший с конца 1917 г. в антибольшевистский союз горцев, не принял новую власть. Это облегчило Красной гвардии Закавказского сейма подавить большевистский мятеж.

26 мая 1918 года распался Закавказский сейм. В тот же день объявлена независимость Грузии. Между Грузией и Абхазией с июня 1918 г. заключен новый договор, который предоставлял Абхазии широкие автономные права, но вопрос об их взаимоотношениях окончательно должен был разрешить избранный демократическим путем законодательных орган.

В соответствии с договором, в Абхазию прибыли дополнительние воинские части, которые восстановили власть Абхазского Народного Совета над всей Абхазией. Вот этот и называют оккупацией?!. А мы с вами уже видели, что территория современной Абхазии как минимум с VI в. До н. э. Являлось составной частью Грузии. А составную часть собственной страны не оккупируют и не аннексируют, а освобождают и возвращяют себя, что и произошло в июне 1918 года. (...)

Несмотря на то, что Абхазия с древнейший времен была частью Грузии, последняя не стремилась силой навязать абхазскому народу свою власть. В марте 1919 г. Абхазия самоопроеделилась. Демократическим путем избранный Абхазский Народный Совет 20 марта 1919 года принял “Акт об автономии Абхазии”, в силу которого она вошла в состав Грузинской Демократической Республики, как ее автономная единица.

Абхазия фактический пользовалась довольно широкими правами, но ее Конституция так и не была утверждена. Правительство Грузии мотивировали это тем, что сначала следовало утвердить Конституцию страны, а затем ее части – Абхазии. 29 декабря 1920 г. Малая конституционная комиссия разработала проект “Положения об автономной управлении Абхазией”, который за четыре дня до прихода частей Красной Армии в Грузию – 21 февраля 1921 г. – был утвержден Учредительным собранием Грузии вместе с Конституцией республики.

Политическая ситуация в Абхазии в 1918-1921 годах была очень сложной и противоречивой. Довольно активно действовали протурецкие силы, от них не отставали сторонники белогвардейских генералов Алексеева и Деникина, пользовались влиянием и большевики. Все эти силы целенаправлено выступали против Грузинской Демократической республики, накаляя обстановку в крае для достижения своих политических целей. Правительству приходилось принимать иногда решительные меры против них, чем умело пользовались противники Грузии, разжигая недовольство населения против нее. При этом и правительство совершало немало ошибок.

Особенно острая ситуация создавалась в отношениях с Деникиным, который опираясь на своих сторонников, предъявил территориальные претензии к Грузии и захватил в начале 1919 г. Гагру.

Территориальные и другие вопросы между Россией и Грузией разрешил договор от 7 мая 1920 года. Советская Россия признала Сухумский округ бесспорной территорией Грузии. Абхазский Народный Совет приветствовал заключениен договора от 7 мая 1920 года.

После советизации Абхазии (4 марта 1921 г.) она объявляется в конце марта временно Советской Социалистической Республикой.

ССР Абхазия была искусственно созданной единицей, обособленное существование которой экономический, культурно-исторический и исходя из сложившейся ситуации было совершенно противоестественным и неоправданным.

Необходимо отметить, что после утверждения Советской власти в 20-х годах имело место объявление ряда самостоятельных республик, как, например: Ставропольская, Туапсинская, Черноморская и т.д., которые в скором времени превратились в области Российской Федерации.

Тем не менее считаю небезинтересным ознакомить вас с точкой зрения создателя и руководителя Абхазской республики Н.А.Лакоба по этому вопросу. На первой Всеабхазской партийной конференции в январе 1922 г. он говорил: “Когда компартии сказали – для того, чтобы среди этнографических народностей, как например, абхазской, сохранить идею Советской власти, нужно на минутку объявить Абхазию независимой республикой, Коммунистическая партия сказала, - сделайте... Советская республика Абхазия, просуществовав 10 месяцев, говорит, - вы должны считаться с трудовыми массами, исторические и экономические условия говорят за то, чтобы Абхазия и Грузия составляли одно целое...”

Приведу еще одно высказывание Н.А.Лакоба уже на II Всесоюзной партконференции (апрель 1922г.): “Компартия с самого начала знала, что она имеет дело прежде всего с крестьянами, и перед ней стояли две простые задачи – сохранить идею Советской власти среди трудящихся Абхазии, каждому крестьянину вбить в голову, что кроме Советской власти другой для него быть не может... Была еще и другая простейшая задача – это изживание национальной ненависти между грузинским и абхазским народами.

Эти два народа, всегда жившие одной исторической жизнью, всегда крепко связанные экономическими узами..., стали враждовать, и нужно было во что бы то ни стало вытравить и выжить эту ненависть... и для того, чтобы сделать это и сохранить

идею Советской власти, была образована Абхазская независимая республика... Мы сказали, - “мы суверенное государство”... В этом отношении нам надо было не забываться, мы должны были сказать, что эти политические формы, объявление независимости и т. д. – чепуха, этим соблазняться не надо было. Нам нужна была вывеска, мы ее вывесили, но преклонятся перед этой вывеской не надо было...”

Провозглашение независимости Абхазии действительно произошло “на минутку”, хотя она и в течение даже этой “минутки” не была на самом деле независимой, находясь по государственной линии в полной зависимости от правительства РСФСФ и частично – ГССР (финансы, внешняя торговля, морской транспорт и т. д.), а по партийной линии – от Кавбюро ЦК РКП (б). Последнее 5 июля 1921 г. постановило вести партийную работу “в направлении объединения Абхазии и Грузии в форме автономной республики, входящей в состав Грузии”.

Независимость Абхазии 1921 году была чисто формальной, в том числе и для Москвы. Этой формальности был положен конец 16 декабря 1921 года, когда Грузия и Абхазия заключили союзный договор. Откуда пришла идея заключения союзного договора, вместо прямого вхождения в качестве автономии? 16 ноября 1921 г. Президиум кавбюро ЦК РКП (б), рассмотрев вопрос о взаимоотношениях между Абхазией и Грузией, вероятно, имея в виду заявление Е.Эшба от 14 ноября 1921 года, в котором он просит Кавбюро разрешить Абхазии вступление в Закавказскую федерацию непосредственно, минуя Грузию, постановил: “1. Считать экономически и политически нецелесообразным существование независимой Абхазии. 2. Предложить т. Эшба представить свое окончательное заключение о вхождении Абхазии в состав федерации Грузии на договорных началах или на началах автономной области РСФСР”.

Кажется все ясно. По советским критериям Абхазии пологался статус автономной области, но для того, чтобы она вошла в Грузию, чему сопротивлялись определенные силы, статус Абхазии несколько был завышен. Абхазия формально стала договорной республикой, а на деле пользовалась правами автономной республики, что нашло отражение и в Конституции СССР 1924 года, в которой читаем: “Автономные республики Аджария и Абхазия и автономные области Юго-Осетия, Нагорный Карабах и Нахичеванская посылают в Совет Национальностей по одному представителю от каждого...” В феврале 1931 года XI съезд Советов Абхазии, а затем VI съезд Советов Грузии, в соответствии с Конституцией СССР, приняли решение о преобразовании договорной Абхазии в автономную республику в составе Грузинской ССР. Так что в 1931 г. не было никакого понижения статуса Абхазии.

В докладе Грузия обвиняется во всех бедах, что выпали на долю Абхазии в 30-40-х годах, но замалчивается, что не менее пострадал сам грузинский народ, пострадали все народы без исключения. В докладе нет ни одного доброго слова о Грузии, о грузинском народе, о нашей подлинной дружбе и братстве в прошлом. (...) В докладе нет ничего, что нас объединяет, в нем содержатся одни необоснованные обвинения. Его цель – окончательное разделение наших родственных народов. Организаторы сессии попытались возвести развязанную в Абхазии за последние годы определенными кругами антигрузинскую истерию в ранг официальной политики. (...)

Будем откровенны и скажем прямо, - во всех сферах общественной жизни преимущество отдавалось у нас лицам абхазской национальности, очень часто за счет ущемления прав представителей других народов. (...) В чем же тогда дело? Дело в том, что идет борьба отдельных амбициозных и карьеристски настроенных групп должностных лиц за элитарное положение в автономной республике. Издержки административно-командной системы при подборе и расстановке кадров позволяли назначение на руководящие должности не по заслугам и деловым качествам, а чисто по национальным признакам, принципам кумовства и по другой порочной практике, зачастую по клановым признакам. (...)

Мы с вами вот уже около двух лет не проводим сессию. В этот период произошли глубокие политические изминения и в нашей Абхазии. (...) Верховный Совет в этот переломный и противоречивый период не оказался на высоте положения, им не дана оценка тому, что произошло, почти не контролировалась деятельность правительства. Весь состав ВС Абхазской АССР во главе с председателем, несет полную политическую ответственность за июльскую трагедию и не имеет морального права руководить автономной республикой, тем более, что Президиум расколот на две части. Депутаты должны высказать свои суждения и по данному вопросу.

Рассмотрим только один пункт из Декларации о государственном суверенитете Абхазской АССР. “В ВС Абхазской АССР обеспечивается институционное представительство нации, давшей название республике”. Это означает, что абхазский народ, состовляющий чуть более 17 процентов населения, по своему усмотрению будет формировать будущий парламент республики, у него будет там забронировано больше половины мест. Остальные народы – около 83 процентов населения – будут занимать уже менее половины мест. Это преподносится как большое благо для всех народов, как демократия и равенство! Такая “демократия” и такое “равенство” нам не нужны, ибо грубо нарушаются права человека, узаконивается таким путем диктат одного народа над другим, что противоречит международному праву. Организаторов и вдохновителей

сессии от 25 августа интересуют не столько правовые гарантии защиты государственности Абхазии, сколько неправовые гарантии защиты собственных кресел.

У абхазского народа есть свои национальные проблемы, которые должны быть разрешены, но, конечно, не за счет других народов. Мы готовы оказать им максимальную помощ и поддержку в осуществлении справедливых требований, в расширении социально-экономических и культурных прав, при этом не должно быть никаких иллюзий относительно изменения статуса Абхазии, выхода ее из состава Грузии.

Практическая несостоятельность принятых X сессией документов подтверждены решением исполкомов Гальского и Гульрипшского районов об объявлении недоверия и неповиновения в отношении нынешнего состава Президиума и правительства Абхазии. Эти решения поддержаны абсолютным большинством населения Грузии.

Нам представляется необходимым в целях нормализации обстановки в автономной республике создать Комитет национального согласия с участием представителей всех национальностей и регионов Абхазии, общественных и политических движений. Считаю также обязательным участие наших депутатов в работе комиссии Президиума ВС Грузинской ССР по разработке правовых гарантии защиты государственности Абхазии. Сегодня, когда впереди впервые проводимые подлинно демократические выборы в ВС Грузии, нам необходимо сделать все для проведения таких же выборов в Абхазии. С этой целью предлагаем провести очередную сессию и утвердить на ней Закон о выборах в ВС Абхазии. В крайнем случае, если не достигнем консенсуса в этом вопросе, вынуждены будем провести выборы по существующему Закону о выборах в автономной республике.

У нас нет другого пути, кроме как найти общий язык и вернуться к диалогу между нашими народами. И чем раньше мы это сделаем, тем раньше решим те вопросы, которые мешают взаимопониманию, нормализации отношении между абхазами и грузинами. (...)

Считаю необходимым, без амбиций и необоснованных обвинений друг к другу, без всяких обид, уважая интерсы всех народов Абхазии, сесть за стол переговоров и решить эти вопросы. Иначе нас никто не поймет, и нам этого не простят."[53]

სესიის დადგენილების პროექტი წარადგინა დეპუტატმა გ.ნაჭყებიამ, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული. სესიამ გააუქმა 25 აგვისტოს მიღებული დადგენილება და დეკლარაცია. გადაწყდა, შექმნილიყო ეროვნული თანხმობის კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ ყველა ეროვნების, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების,

[53] Заседание Верховного Совета Абхазской АССР. Стенографический отчет. 1990, с.3-35.

რეგიონების წარმომადგენლები. მიღებული იქნა მიმართვა აფხაზი დეპუტატებისადმი, რომელშიც მოუწოდეს მათ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებისაკენ.

* * *

სსრ კავშირის დაშლის პროცესი, ცხადია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საქართველოს, კერძოდ, აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. 1990 წლის 22 სექტემბერს მოსკოვში სსრკ უმაღლესი საბჭოს ეგიდით გაიმართა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, ეროვნულ-ტერიტორიული წარმონაქმნებისა და საკუთარი სახელმწიფოებრიობის არმქონე ხალხების წარმომადგენელთა ყრილობა. მისი მთავარი ამოცანა იყო ამ ხალხების „განსაკურებული აზრის“ შემუშავება იმ შემთხვევისათვის, თუ რომელმე მოკავშირე რესპუბლიკა უარს იტყოდა სსრკ-ში დარჩენაზე.

1990 წლის 18 აგვისტოს გამოქვეყნდა საქართველოს სსრ კანონი „საქართველოს უმღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ.“[54]

1990 წლის 19 სექტემბერს ეროვნული მოძრაობის ლიდერები შეხვდნენ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ორივე მხარე ყველაფერს გააკეთებდა არჩევნების ნორმალურად ჩატარებისათვის.

1990 წლის 30 სექტემბერს „მრგვალი მაგიდისათვის“ ოპოზიციურმა ძალებმა ჩაატარეს საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნები. აფხაზეთში მას ხელმძღვანელობდა ცაეკ-ი. აფხაზურ მხარეს ხელი არ შეუშლია ამ ღონისძიებისათვის, რადგან ქართველ პოლიტიკოსთა დაპისრისპირება მათ აწყობდათ. აღსანიშნავია, რომ, როგორც მთლიანად საქართველოში, აფხაზეთშიც კონგრესის არჩევნებში მოსახლეობის მცირე რაოდენობამ მიიღო მონაწილეობა.

1990 წლის 18 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია, რომელმაც მიიღო ახალი საარჩევნო კანონი, ხოლო 28 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პირველი მრავალპარტიული არჩევნები. მასში მონაწილეობდა 11 პარტია და საარჩევნო ბლოკი. გაიმარჯვა „მრგვალმა მაგიდამ“, შემდეგ მოდიოდა კომუნისტური პარტია. არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 67% და ჩატარდა შერეული - მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემით.

სეპარატისტთა ხემძღვანელობა აფხაზეთში ამ არჩევნების ჩატარების წინააღმდეგი იყო, მაგრამ ბოიკოტის ორგანიზება მათ მოახერხეს მხოლოდ აფხაზებით

[54] გაზ. „კომუნისტი“, 1990, 22 აგვისტო.

კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში, ამიტომ გუდაუთასა და ტყვარჩელში არჩევნები ჩაიშალა. დანარჩენ ადგილებში მოვლენები საკმაოდ მშვიდად განვითარდა, თუმცა დაფიქსირდა დარღვევები, რომლებმაც გავლენა იქონიეს საბოლოო შედეგებზე (სოხუმში, გალში). „მრგვალი მაგიდა“ გარკვეულ ზეწოლას ახდენდა სხვა პარტიების კანდიდატებზე. აფხაზეთიდან საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში არჩეულ იქნა 14 დეპუტატი. მათ შორის, მაჟორიტარული წესით: გაგრიდან - თ.ნადარეიშვილი, ვ.ჯოლოგუა; ქ. სოხუმიდან - ნ.მგალობლიშვილი, თ.ლორთქიფანიძე, დ.ქებურია; სოხუმის რაიონიდან - ჯ.საჯაია; გულრიფშის რაიონიდან - ვ.მირცხულავა; ოჩამჩირის რაიონიდან - გ.სუბელიანი; გალის რაიონიდან - ე.ჯანჯულია, ჯ.შონია. პროპორციული წესით არჩეულ იქნა: მ.ძოძუაშვილი, რ.კემულარია, თ.მჟავია, ზ.ნადარეიშვილი (ბლოკი „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“).

* * *

1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ზ.გამსახურდია. დადგენილების თანახმად საქართველოს სსრ-ს დაერქვა საქართველოს რესპუბლიკა. გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი, რომლის განმავლობაში უნდა მომზადებულიყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლები. შესაბამისი ცვლილებები შეიტანეს კონსტიტუციაში.

ცენტრალურმა ხელისუფლებამ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის საბჭოთა სისტემის ნაცვლად შემოიღო პრეფექტის ინსტიტუტი, რომლის მიმართ ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ ყოფილა საზოგადოებაში. მმართველობის ეს ფორმა აფხაზეთში მხოლოდ გალის რაიონში იქნა განხორციელებული. გალის რაიონის პრეფექტის დანიშვნა არამარტო მოულოდნელი იყო მისი მოსახლეობისა და აფხაზეთის ხელისუფლებისათვის, არამედ ავტონომიური რესპუბლიკის სინამდვილისთვის უპრეცენდენტოც თავისი ფორმითა და შინაარსით. კერძოდ, ქ. ზუგდიდის პრეფექტმა თ.ჟორჟოლიანმა რამდენიმე ათეული შეიარაღებული პიროვნების, საქართველოს უზენაესი საბჭოს ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარის გ.თაქთაქიშვილის თანხლებით ჩამოიყვანა და რაიონის პრეფექტად დანიშნულად გამოაცხადა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ე.ჯანჯულია, რითაც, როგორც ეს ჩაითვალა აფხაზეთში დაირღვა ავტონომიურ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მოქმედი 1978 წლის კონსტიტუციის 74-ე მუხლი.

ძალის დემონსტრირებით განხორციელებული ეს აქტი, ექსპერტთა აზრით, მიჩნეულია სერიოზულ პოლიტიკურ და სამართლებლივ შეცდომად, რომელმაც მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში ცენტრალური ხელისუფლების მიმართ გაღიზიანება, ეჭვი და უნდობლობა გამოიწვია. ავტონომიურ რესპუბლიკაში ოპოზიციური ეროვნული ძალების ერთი ნაწილის აზრით, იგნორირებულ და ხელყოფილ იქნა აფხაზეთის კონსტიტუცია, ადგილობრივი მმართველობის მოწყობის, კადრების შერჩევისა და დანიშვნის ტრადიცია. აღნიშნულმა ფაქტორებმა აფხაზეთის სეპარატისტულად განწყობილ ძალებს მისცა საბაბი ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებასთან გაეგრძელებინა კონფრონტაცია, დაეჩქარებინა მისთვის სასურველი საკადრო როტაცია. ამაზე მეტყველებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 4 თებერვლის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი კანონის შეფასების შესახებ აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 74-ე და 75-ე მუხლების საფუძველზე“. თავის მხრივ, ერთგვარად შეილახა გალის რაიონის საზოგადოების თავმოყვარეობა, რამაც შემდგომ განვითარებულ პროცესებშიც იჩინა თავი.

მიუხედავად ქართული მხარის კონსტრუქციული პოზიციისა და ცალმხრივი დათმობებისა, სეპარატისტული ძალები აგრძელებდნენ ანტიქართულ მოქმედებებს, რაშიც მათ აქტიურად უწყობდა ხელს საკავშირო ხელმძღვანელობა. მაგალითად, 1991 წლის 22-23 თებერვალს აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონში სსრკ შსს სანატორიუმში თითქოსდა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საქართველოს ფარგლებს გარედან შემოვიდა 250 ჯარისკაცი სრული საბრძოლო აღჭურვილობით. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 27 თებერვლის განცხადებაში მოითხოვა აღნიშნული კონტინგენტის გაყვანა.

1991 წლის 17 მარტს მოეწყო რეფერენდუმი სსრ კავშირის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ აფხაზებით დასახლებულ რაიონებში ჩატარდა. ამასთან, აფხაზი ექსტრემისტები ქართველებს და სხვა ეროვნების მოქალაქეებს სახლებში უვარდებოდნენ და აშინებდნენ იმის გამო, რომ ისინი მხარს არ უჭერდნენ სსრკ შენარჩუნებას. მაგალითად, 19 მარტს აფხაზეთის ასსრ პროკურატურაში განცხადებით შემოვიდნენ გუდაუთის რაიონ სოფ. აბგარხუკში მცხოვრები მ. და ო. ბზიკაძეები 17 მარტს მათი ფიზიკური შეურაცხყოფის შესახებ, რომელიც მიაყენეს ამავე სოფლის მცხოვრებლებმა ა.ბაგბამ და ზ.ზუხბამ. გამოძიებამ დაადასტურა, რომ აფხაზთა ჯგუფი სახლში მიუვარდა მათ და სცემა. 26 მარტს აფხაზეთის ასსრ შსს-ში შემოვიდა ქ. გუდაუთაში მცხოვრები დ.კუხალაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ მას შეურაცხყოფა მიაყენეს რ.არგუნმა და რ.გუნბამ. გაგრის პროკურორის თ.წაბრიას ცნობით, ბიჭვინთის

მილიციის განყოფილებას განცხადებით მიმართეს ნ.ბენიამ და ბ.დარცმელიამ, იმის შესახებ, რომ მათ აფხაზები დაშინების გზით რეფერენდუმში მონაწილეობის მიღებას აძალებდნენ. აფხაზეთის ასსრ სუკ-ის თავმჯდომარის მოადგილე 19 მარტის ცნობაში აღნიშნავდა, რომ გაგრაში ერთ-ერთ საარჩევნო უბნის ყუთში აღმოაჩინეს 630 ბიულეტენი, მაშინ, როცა სიით რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 624 კაცმა.[55] გუდაუთის რაიონში (სოფ. აბგარხუკი, ოთხარა, ორჯონიკიძე) ადგილი ჰქონდა შეტაკებას აფხაზებსა და ქართველებს შორის და ქართული მოსახლეობა აიძულეს, დაეტოვებინათ მშობლიური სოფლები. გამოყრილმა მოსახლეობამ დროებითი ბინა დაიდეს გულრიფშის რაიონის პანსიონატებში. სწორედ ამ პერიოდიდან წამოვიდა აფხაზეთიდან დევნილთა პირველი ტალღა და ბიძგი მიეცა ძალადობისა და განუკითხაობას (თბილისს რეალური ხელისუფლება არ ჰქონდა აფხაზეთში, ხოლო მოსკოვს ასეთი მგდომარეობა აწყობდა).

გარდა აფხაზებისა, საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის სომეხმა და რუსმა მოსახლეობამ. ამისი ერთ-ერთი მიზეზი ქართული მხარის, ეროვნული მოძრაობის სისუსტე იყო, რადგან არ წარმოებდა სათანადო მუშაობა აფხაზეთის არაქართველ მოსახლეობასთან. ხშირ შემთხვევაში განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები აკეთებდნენ ისეთ საჯარო განცხადებებს, რომლებიც, პირიქით, ნეგატიურად განაწყობდნენ რუსებს, სომხებს, ბერძნებსა და სხვა ეროვნების მოქალაქეებს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეისადმი. ამით, ცხადია, სათანადოდ სარგებლობდა გარეშე და ადგილობრივი ანტიქართული ძალა. აფხაზეთის დამოუკიდებლობის მომხრე ძალთა კონსოლიდაციის საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა ბლოკმა „სოიუზმა“, რომელშიც გაერთიანდნენ რუსი, სომეხი, ბერძენი, აფხაზი, ოსი აქტივისტები. ქართველები აქტიურ წინააღმდეგობას არ უწევდნენ რეფერენდუმში მონაწილეობის მსურველთ და ყველას საშუალება ჰქონდა, თავისუფლად გამოეხატა საკუთარი დამოკიდებულება პრობლემისადმი.

რეფერენდუმის შედეგები მთლიანად იქნა ფალსიფიცირებული, რამაც იმის საფუძველი შექმნა, დაფიქსირებულიყო, რომ თითქოსდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა სსრ კავშირის შენარჩუნებას უჭერდა მხარს (რეფერენდუმში მონაწილეთა 50,3% მომხრეთა ხმებით). სინამდვილეში, გალის რაიონის ხელმძღვანელობამ ბოიკოტი გამოუცხადა რეფერენდუმს, რითაც ისარგებლა სეპარატისტულმა ხელისუფლებამ და აღნიშნული რაიონის 52 ათას ამომრჩეველს არ მიეცა საშუალება დაეფიქსირებინა წინასწარ ცნობილი უარყოფითი დამოკიდებულება სსრკ-ს შენარჩუნების მიმართ. ამ მანიპულაციით ხელოვნურად

[55] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მონაცემები.

გაიზარდა სსრკ-ს შენარჩუნების მომხრეთა ხმების ხვედრითი წილი. რეფერენდუმთან დაკავშირებული დარღვევების გამო შეიქმნა ოფიციალური დოკუმენტაცია, რომელიც მოამზადეს სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ო.ზუხბაიამ, რ.სალუქვაძემ და თ.ბუაჩიძემ. ის წარედგინა სსრკ-ს შესაბამის ინსტანციებს. ბუნებრივია, რომ შედეგებში რაიმე ცვლილება ცენტრს არ შეუტანია. საბოლოო ჯამში, ეს გახდა აფხაზეთში ეროვნული ძალების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეუთანხმებელი და გაუთვლელი ნაბიჯების პირველი ნეგატიური შედეგი.

* * *

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა სახალხო რეფერენდუმი, რომელმაც დაადასტურა ქართველი ერის სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. შედეგად 1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. აშშ-ს სენატმა 102-ე კონგრესის პირველ სესიაზე მიიღო საქართველოს ამ გადაწყვეტილების მხარდამჭერი 94-ე რეზოლუცია. 1991 წლის 14 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ზ.გამსახურდია აირჩია საქართველოს პრეზიდენტად.

1991 წლის 15 აპრილს საქართველოს ხელისუფლებამ გამოაცხადა რუსეთისადმი საყოველთაო ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობა. ეს აქცია ითვალისწინებდა რკინიგზის სამტრედიის კვანძის ბლოკირებას და სავაჭრო-ეკონომიკური და საფინანსო ურთიერთობების გაწყვეტას. საბოლოო ჯამში ამ ზომებმა ძალზე ნეგატიურად იმოქმედა საქართველოს ეკონომიკაზე. აქცია უარყოფითად იქნა აღქმული მოსახლეობაში. გარდა ამისა, ის უკმაყოფილებას იწვევდა მეზობელ სომხეთში, რომელსაც მხოლოდ საქართველოს გავლით ჰქონდა რუსეთთან სარკინიგზო და საავტომობილო ურთიერთობების საშუალება.

1991 წლის 26 მაისს საყოველთაო არჩევნების შედეგად საქართველოს პრეზიდენტად არჩეულ იქნა ზვიად გამსახურდია (საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ სპიკერი, საქართველოს ჰელსინკის კავშირისა და წმიდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარე). კენჭს იყრიდნენ აგრეთვე: ვ.ადვაძე, ი.შენგელაია, ჯ.მიქელაძე, თ.კვაჭანტირაძე, ნ.ნათაძე. ამით დასრულდა ახალი ხელისუფლების ცენტრალური სტრუქტურების ფორმირება.

* * *

1990 წლის ოქტომბერში საქართველოში პოლიტიკური წყობილების შეცვლისა და სცენიდან კომუნისტური პარტიის წასვლის შემდეგ ახალი პოლიტიკური ძალები, - როგორც ქართული, ისე აფხაზური, - აფხაზეთში კომუნისტური ნომენკლატურის მმართველობას, ცხადია, ვერ შეეგუებოდნენ.

აფხაზთა მხრიდან საზოგადოებრივ ცხოვრებაში დომინირებდა სახალხო ფორუმი - „აიდგილარა"; ქართულიდან - საქართველოს პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას მომხრეთა „მრგვალი მაგიდის" აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციები, რომლებმაც იმ დროისთვის ვერ მოიპოვეს პოლიტიკური ავტორიტეტი და გავლენა.

რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში აღნიშნული ძალები გაერთიანდნენ ძველი პარტიულ-კლანური ეთნოკრატიის წინააღმდეგ. „აიდგილარას" ლიდერებმა, ვ.არძინბას ანტიკომუნიზმზე სპეკულირებით, შეძლეს საქართველოს პრეზიდენტის დარწმუნება იმაში, რომ ვ.არძინბას კანდიდატურა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე სავსებით მისაღებად ჩაეთვალა.

ამ მოლაპარაკებების მონაწილე ქართული მხარე თვლიდა, რომ მოსკოვის რეაქციული ძალებისაგან ვ.არძინბას ჩამოშორება და უმაღლესი თანამდებობით სოხუმში ჩამოყვანა ერთგვარად გაანეიტრალებდა და შეასუსტებდა რუსეთის ანტიქართული წრეების აგრესიულობას. არძინბამ და მისმა გარემოცვამ ასევე მიიღეს გარანტიები, რომ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ახალ შემადგენლობაში აფხაზი ეროვნების დეპუტატებს ექნებოდათ მანდატთა უმრავლესობა. ეს დაპირება ეფუძნებოდა იმ ვარაუდს, რომ „აიდგილარას" წევრები ვერ შეძლებდნენ არჩევნებში გამარჯვებას გარდა იმ რეგიონებისა, რომლებშიც აფხაზები კომპაქტურად იყვნენ დასახლებულნი, ასევე ქ.სოხუმისა და ტყვარჩელის რიგ საარჩევნო უბნებში. სანაცვლოდ ვ.არძინბა ქართულ მხარეს დაპირდა აფხაზეთის კომუნისტური ორგანიზაციის გაუქმებას, კომპარტიის რიგებიდან „ხმაურიან" გასვლას, პარტიული ნომენკლატურის დაშლას, დემოკრატიული რეფორმების განხორცლიელებას, ხალხებს შორის მშვიდობისა და თანხმობის ხელშეწყობას.

სამწუხაროდ, აფხაზეთში მოვლენები სულ სხვა მიმართულებით განვითარდა; განვითარდა ისე, როგორც ეს დაგეგმილი ჰქონდათ სცენარის ავტორებს და რაც მთავარია, რეჟისორს.

1990 წლის 4 დეკემბერს კულისებსმიღმა მოლაპარაკებების შედეგად აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სსრკ სახალხო დეპუტატი, ბლოკ „სოიუზის" ერთ-ერთი ლიდერი ვ.არძინბა, რომელიც მაშინ სოხუმში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ.გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორად მუშაობდა. ასე, რომ თავისი ანტიქართულობითა და სუბიექტივისტური პოზიციით ცნობილი ადამიანი

ოფიციალური თბილისის თანხმობითა და ხელშეწყობით აფხაზეთის ხელმძღვანელი გახდა.

აღნიშნული მოლაპარაკებების დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება არსებულ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ. კერძოდ: აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ადრე არსებული 140 მანდატი შემცირდებოდა 90-მდე (რაც, აფხაზების აზრით, უფრო რეალურს გახდიდა მათ კანდიდატთა არჩევის შესაძლებლობას); უმაღლეს საბჭოში გაუქმდებოდა საბჭოური პრეზიდიუმი და მის თავმჯდომარეს ეყოლებოდა ორი მოადგილე, მ.შ. პირველი მოადგილე - ქართველი და ერთი სხვა ეროვნების; აგრეთვე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნებოდა ქართველი (რომლის მავალეობას წელიწადნახევარი ასრულებდა ვ.მიქანბა). თბილისმა თავის დროზე წაიყრუა ამ თანამდებობიდან გ.ანჩაბაძის წასვლა და, ფაქტიურად, უყურადღებოდ დატოვა ამ ძალზე მნიშვნელოვან პოსტზე ქართველის დანიშვნის საკითხი, რომელსაც ლიდერის როლის შესრულება შეეძლო აფხაზეთის ქართულ საზოგადოებაში.

არძინბამ საკუთარი არჩევნების დღეს (1990 წლის 4 დეკემბერი) შეძლო შეთანხმებით განესაზღვრა ყველა სხვა საკითხის გადადება (როგორც შემდგომ აღმოჩნდა - საბოლოოდ) გარდა ერთისა - მასთან ერთად არჩეულ იქნა უმაღლესი საბჭოს პირველი მოადგილე - ქართველი.

არც ერთი წინასწარი შეთანხმება აფხაზურმა მხარემ არ შეასრულა, რამაც გამოიწვია ქართული მხარის სერიოზული ეჭვი და ფართო საზოგადოების განგაში სეპარატისტთა შორსგამიზნული ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი მიზნების თაობაზე. განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურეს, რომ ვ.არძინბა და „აიდგილარას“ ლიდერები მორიგებათა შესრულებას არც ფიქრობდნენ და სიტუაცია გეგმაზომიერად კონფრონტაციამდე მიჰყავდათ. ამას მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო აფხაზეთში მოქმედ და აფხაზებთან მოლაპარაკებაზე გასული ეროვნული ძალების დაქსაქსულობამ და ურთიერთდაპირისპირებამ.

საქართველოში უკვე მიმდინარე დემოკრატიული პროცესებისა და ერთიანი სახელმწიფოს განმტკიცების მიზნით მხარეთა კეთილი ნების საფუძველზე დაიწყო „აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში არჩევნების შესახებ“ კანონზე ერთობლივი მუშაობა, თუმცა, აქ თავი იჩინეს უთანხმოებებმა. აფხაზური მხარე მოითხოვდა, როგორც თვითონ ამტკიცებდა, „თბილისთან შეთანხმების საფუძველზე რესპუბლიკისთვის სახელის მიმცემი ხალხისთვის პარლამენტში ინსტიტუციონალური წარმომადგენლობის გარანტირებას“, ე.ი. აფხაზი ეროვნების დეპუტატთათვის ადგილთა აბსოლუტურ უმრავლესობას. მაგრამ სერიოზულ ტექნიკურ წინააღმდეგობას წააწყდა. შეუძლებელი გახდა საარჩევნო ოლქების, უბნების

იმგვარად ჩამოყალიბება, რომ იქ ამომრჩეველთა გარანტირებული უმრავლესობა ეყოლებოდა „აიდგილარას“. ამან მოლაპარაკებები ჩიხში შეიყვანა და სიტუაცია დაძაბა. ამავე პერიოდში, როცა მხარეები დაკავებულნი არიან საარჩევნო კანონზე მუშაობით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ინიშნება უმაღლესი საბჭოს ახალი არჩევნები (ბოლო არჩევნები ჩატარდა 1985 წლის შემოდგომაზე). ამასთან დაკავშირებით არძინბამ კანონის დარღვევით რეალურად დაითხოვა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელშიც მას უმრავლესობა არ ჰქონდა და გადაწყვეტილებების მიღება დაიწყო ერთპიროვნულად. ისარგებლა რა მოსკოვის 1991 წლის 19-21 აგვისტოს მოვლენებით (გკჩპ-ს პუტჩით), ვ.არძინბა შეუდგა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან კანონების ომის ესკალაციას, სამართლებლივი განუკითხაობის პრაქტიკის დამკვიდრებას.

1991 წლის 10 და 27 სექტემბერს არძინბამ უკანონოდ შექმნა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა, სახელმწიფო საკუთრების მართვისა და პრივატიზაციის კომიტეტები, აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო. ეს სტუქტურები დაექვემდებარა უშუალოდ არ არსებულ უმაღლეს საბჭოს. იმისთვის, რომ საქონელი გაეტანათ აფხაზეთის საზღვრებს გარეთ, მათ შორის, თბილისში, სავალდებულო გახდა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტში ლიცენზიის მიღება.

აფხაზეთის იურისდიქციაში გადაიყვანა აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ყველა საწარმო და ორგანიზაცია. აფხაზეთში დისლოცირებული სამხედრო და მილიციის ნაწილები დაუქვემდებარა რა უმაღლეს საბჭოს, მოახდინა მონონაციონალური უკანონო სამხედრო ფორმირებების ლეგალიზაცია.

1991 წლის 29 დეკემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „საჯარისო ნაწილების, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების დაწესებულებათა, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალების დისლოკაციისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე მათი ფუნქციონირების წესებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“. იმავე დღეს მიღებულ იქნა დადგენილება „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან დროებითი საბჭოს შექმნის შესახებ აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჯარისო და მილიციის ნაწილების საქმიანობის კოორდინაციისა და ხელახალი დაქვემდებარების ხაზით“. საბჭოს თავმჯდომარე გახდა ვ.არძინბა. მის შემადგენლობაში შევიდა 8 კაცი, მათ შორის, №3697 ყოფილი საბჭოთა საჯარისო ნაწილის მეთაური მილიციის მაიორი ა.კლიმოვი. ამ დადგენილებებით მათ მოახდინეს ყოფილი სსრკ შეიარაღებული ძალების ნაწილების მეშვეობით მართვის იმ სისტემის უზურპაცია, რომელიც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე 15 საკავშირო რესპუბლიკის, მ.შ. საქართველოს კომპეტენციას შეადგენდა. სოხუმში დისლოცირებული №5482 ნაწილი

გარდაქმნეს შინაგანი ჯარის პოლკად და დაუქვემდებარეს აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს.

ამგვარად, აფხაზეთის სეპარატისტული უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აფხაზური მხარის ხელში მოექცა ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი თითქმის ყველა რგოლი. ამას საფუძვლად დაუდეს 1992 წლის 5 მარტს კონსტიტუციის დარღვევით მიღებული კანონი „რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ზოგიერთი ორგანოს დაქვემდებარების შესახებ“. ამ კანონის მიხედვით მართვის ძალისმიერი, საფინანსო და სხვა სტრუქტურები გადადიოდა რამდენიმე ადამიანის ხელში.

უეჭველია, რომ ყველა ეს და სხვა მოქმედება მიმართული იყო ანტიქართული ტენდენციების ხელოვნური გაღვივებისაკენ, ხაზს უსვამდა უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის სეპარატისტულ მისწრაფებებს და ააშკარავებდა საქართველოსაგან აფხაზეთის მოწყვეტისაკენ მიმართულ კურსს.

სეპარატისტები ცდილობდნენ ნებისმიერი საშუალებებით შეენარჩუნებინათ ეთნიკური პრივილეგიები: არ დაეშვათ დემოკრატიული ნორმების გატარება საკანონმდებლო სფეროსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მიეღწიათ ისეთი იურიდიული სტრუქტურების შექმნა, რომელიც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ზეწოლისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების წინაპირობას შექმნიდა.

სეპარატისტთა მხრიდან ნაციონალისტური ლოზუნგებით ჟანგლიორობით, საქართველოსაგან გამოყოფის საკითხის დასმითა და მოსალოდნელი ეთნოპოლიტიკური გართულებებით მუდმივი შანტაჟირების ქვეშ ჰყავდა ქართული მხარე და ამით საზოგადოებრივ პოლიტიკურ დაძაბულობას ამწვავებდა.

მშვიდობის, ეროვნებათაშორისო თანხმობის შენარჩუნებისა და აფხაზი ხალხის ინტერესების გარანტირებული დაცვისათვის ქართული მხარე ისევ წავიდა ცალმხრივ დათმობებზე - უმრავლესობა აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში აფხაზურ უმცირესობას დაუთმო. მოსახლეობის თითქმის 47 პროცენტისაგან პარლამენტში დელეგირებულ იქნა 26 დეპუტატი, 17 პროცენტისაგან - 28, დანარჩენი 35 პროცენტისაგან - 11.

აფხაზეთის ახალი საარჩევნო კანონი მიღებულ იქნა 1991 წლის 9 ივლისს*

---

* მაშინაც და, განსაკუთრებით აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ, პოლიტიკოსთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ახალი საარჩევნო კანონის მიღება (26-28-11), იყო მიუტევებელი შეცდომა. პოლიტიკოსთა მეორე ჯგუფი კი მიუთითებდა იმ პერიოდში საქართველოში და ქვეყნის გარეთ რეალურად არსებულ ვითარებაზე, კერძოდ: სსრ კავშირის დაშლისწინა აგონიას და რეაქციული ძალების მცდელობას ყოველგვარი საშუალებებით, მათ შორის, სისხლიანი კონფლიქტების გათამაშებით არ დაეშვათ საქართველოს დამოუკიდებლობა; მყიფე სტაბილურობა

სეპარატისტებმა სწორედ ამგვარად განახორციელეს თავიანთი „დემოკრატიული“ პრინციპები. აფხაზეთში ქართველთა და აფხაზთა გარდა აფხაზეთში მცხოვრები 84 ეროვნების მოსახლეობამ (რუსები, უკრაინელები, სომხები, ბერძნები, ებრაელები, ოსები, ესტონელები...) პარლამენტში მიიღო ორნახევარჯერ ნაკლები ადგილი, ვიდრე 17 პროცენტმა აფხაზებმა. ეს იყო კონსტიტუციური გადატრიალება აპარტეიდის დამკვიდრებით.

აპარტეიდული საარჩევნო კანონის დაბალანსების, პოზიციათა დაახლოებისა და პრობლემათა თანდათანობით დარეგულირების მიზნით, ორივე მხარის ძალისხმევით, შეიქმნა შემთანხმებლური კომისია, რომელშიც შევიდნენ: ს.შამბა, კ.ოზგანი, ს.ბაგაფში, დ.ფილია, ა.ჯგერენაია - აფხაზური მხრიდან და ნ.მესხია, გ.ლომინაძე, ნ.მგალობლიშვილი, თ.მჟავია, ვ.ყოლბაია - ქართული მხრიდან. მათი და თბილისელი ექსპერტების მონაწილეობით აფხაზეთის კონსტიტუციაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლებსაც ერთგვარი დამცავი მექანიზმების ფუნქცია უნდა შეესრულებინათ შემდგომში. კერძოდ, ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება (ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შეცვლა; ამ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება; მთავრობის ფორმირება, ასევე კანონები, რომლებიც ითვალისწინებდნენ კონსტიტუციურ ცვლილებებს და ა.შ.) პარლამენტს უნდა მიეღო დეპუტატთა სიითი შემადგენლობის ორი მესამედით.

ხოლო ხმათა ამ რაოდენობას აფხაზური მხარე ვერ აგროვებდა სხვა ეროვნების დეპუტატთა მხარდაჭერის გარეშე. როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, ეს დამცავი მექანიზმი უძლური აღმოჩნდა სეპარატისტთა თვითნებობისა და უცერემონიო თავხედობის წინაშე.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები 1991 წლის 31 ოქტომბერს ჩატარდა. რამოდენიმე საარჩევნო ოლქში საჭირო გახდა მეორე ტურის ჩატარება, რომელიც 1 დეკემბერს შედგა. რადგან აფხაზი და ქართველი

საქართველოში თანმდევი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური კატაკლიზმებით; ძმათამკვლელი კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში; არძინბას პროკომუნისტური განწყობილება, აქ უკვე გაჩაღებული ე.წ. კანონების ომი და ღია კონფრონტაცია თბილისთან, რაც ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ავტონომიურ რესპუბლიკაში ახალი შესაძლებელი შეტაკებების პროვოცირებისათვის განუჭვრეტელი შედეგებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, პოლიტიკოსთა გარკვეული ჯგუფის მიერ გათვალისწინებული არ არის ისიც, რომ ახალ საარჩევნო კანონს ჰქონდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით გარანტირებული დამცავი მექანიზმები, რომლებიც მოიაზრებოდა სამართლებლივ გარანტად აფხაზეთის საქართველოდან გასვლის დაუშვებლობისათვის.

სხვა საქმეა, რომ მოვლენები სულ სხვა სქემით განვითარდა და იმდროინდელი წარმოდგენები ახალ საარჩევნო კანონთან დაკავშირებით გაზვიადებული აღმოჩნდა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება შეეცადა, როგორც იტყვიან, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, შეენარჩუნებინა სტაბილურობა აფხაზეთში, არ დაეშვა ის, რაც შემდგომში მოხდა (ავტ.).

კანდიდატების ზუსტი რაოდენობა წინასწარ იყო ცნობილი, ძირითადი ბრძოლა გაიმართა იმ 11 ადგილისათვის, რომელიც განკუთვნილი იყო სხვა ეროვნების წარმომადგენელთათვის.

ოპოზიციურმა ძალებმა (ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი) აღნიშნული საარჩევნო კანონი უარყოფითად შეაფასეს და ამომრჩევლებს მოუწოდეს არჩევნების ბოიკოტისაკენ. თუმცა, ქართველთა არაორგანიზებულობასა და დაქსაქსულობაზე მეტყველებდა ისიც, რომ ე.წ. ქართულ ოლქებში გაჩაღდა უკომპრომისო წინასაარჩევნო ბრძოლა. შედეგად ქართველებმა პირველ ტურში 26-დან მხოლოდ 7 დეპუტატის არჩევა მოახერხეს. ქ. სოხუმის ერთ-ერთ ოლქში საერთოდ ვერ მოხერხდა გამოყოფილი ადგილის „ათვისება“, ხოლო აფხაზებმა მკაცრი შიდა დისციპლინის საშუალებით პირველივე ტურში შეძლეს მათთვის განკუთვნილ 28-ე ადგილზე აფხაზი ეროვნების დეპუტატების არჩევა.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ქართველი დეპუტატები გახდნენ ქ. სოხუმიდან: ე.გვაზავა, თ.ლორთქიფანიძე; სოხუმის რაიონიდან: თ.კალანდია, თ.მჟავია; ქ. გაგრიდან: ა.გასვიანი, თ.ნადარეიშვილი, რ.უბილავა, მ.ჯინჭარაძე; გულრიფშის რაიონიდან: დ.გვაძაბია, კ.ჯაჭვლიანი, ვ.კაჭარავა, ნ.მგალობლიშვილი, რ.ქარაია; ოჩამჩირის რაიონიდან: თ.გოგოხია, მ.კვარაცხელია, შ.ხეცურიანი; გალის რაიონიდან: ჯ.გამახარია, რ.დგებუაძე, ო.ზუხბაია, ნ.მესხია, თ.ხუბუა, ზ.ჯგუბურია, რ.ცატავა, რ.შამუგია, ვ.ყოლბაია.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს აფხაზური დეპუტაცია: ქ. სოხუმის საარჩევნო ოლქიდან: რ.ქარჩაა, დ.ბარგანჯია, ნ.აკაბა; ქ. გაგრიდან: ვ.ბგანბა, ლ.ლაკერბაია, ა.გვარამია; ქ. ტყვარჩელიდან: ე.კაპბა, ვ.კვარჭია, დ.ჩ.ფილია, ო.დამენია, ვ.ღურჯუა, ს.ჯინჯოლია, კ.ჯინჯოლია; გუდაუთის რაიონიდან: ს.თარკილი, ს.ლაკობა, ვ.არძინბა, ი.ლაკობა, ა.ანქვაბი, გ.ლომია, კ.ოზგანი, ს.შამბა; ოჩამჩირის რაიონიდან: ვ.ზანთარაია, ს.ბაგაფში, დ.თარბა, ზ.აჩბა, ვ.აშხაწავა; სოხუმის რაიონიდან: ე.ავიძბა.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სხვა ეროვნების დეპუტატები გახდნენ: ე.ასტემიროვა, ო.ნაგარნინა, ვ.ვასილევი, მ.ჯალოვიანი, ა.გომკციანი, ა.ზებელიანი, რომლებიც ქართული მხარის პოზიციებს იზიარებდნენ (შემდგომ ისინი გაერთიანდნენ ქართულ ფრაქციაში „დემოკრატიული აფხაზეთი“) და ა.ტოპოლიანი, მ.დეპელიანი ა.კაკუევი, ვ.ლოგინოვი, ი.ვორონოვი, რომლებიც სეპარატისტთა აქტიურობითა და კანონის დარღვევით იქნენ არჩეულნი და, ცხადია, მათ ინტერესებს ემსახურებოდნენ.

საინტერესოა ერთი გარემოება, კერძოდ, საოლქო საარჩევნო სისტემების განსაზღვრა. მაგალითად, 14 ათასმა ტყვარჩელელმა აირჩია 8 აფხაზი დეპუტატი, ხოლო 22 ათასმა ქართველმა ქალაქ გაგრაში - 3 ქართველი დეპუტატი; 14 ათას

გუდაუთის ქართველ ამომრჩეველს აეკრძალა თავისი წარმომადგენლის არჩევა, ხოლო ქალაქ სოხუმის 42 ათასმა ქართველმა აირჩია მხოლოდ 2 დეპუტატი მაშინ, როცა 13 ათასმა აფხაზმა - 3 დეპუტატი.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ვ.არძინბა, მოადგილეებად თ.ნადარეიშვილი და ა.ტოპოლიანი. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მათ გარდა შევიდნენ: კ.ოზგანი, ს.შამბა, ვ.ყოლბაია, ე.გვაზავა, ე.ასტემიროვა, ვ.ვორონოვი. ფალსიფიკაციის, სხვადასხვა მანიპულირებისა და შეთანხმებათა დარღვევის გზით აფხაზებმა შეძლეს პრეზიდიუმში ფაქტიური უმრავლესობის მიღება. საბოლოოდ გაფორმდა მოსახლეობის უმცირესობის უპირატესი წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოში.

საბოლოოდ ჩამოყალიბდა ძალთა ასეთი განლაგება: ქართული დეპუტაცია 25 (ერთის ვერ არჩეულის გამოკლებით) პლუს 6 სხვა ეროვნების პარლამენტარი და 28 აფხაზი ეროვნების დეპუტატი პლუს 5 სხვა ეროვნების წარმომადგენელი, რაც ხმათა ორ მესამედს არცერთ მხარეს არ ანიჭებდა.

აფხაზეთის ახალი პარლამენტის მუშაობის დაწყება დაემთხვა თბილისის 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ტრაგიკულ მოვლენებს.

ისარგებლა რა ქვეყანში შექმნილი ვითარებით, ვ.არძინბა შეგენებულად დაადგა აფაზეთის კონსტიტუციისა და ქართულ მხარესთან დადებული საოქმო შეთანხმებების დარღვევის გზას, რითაც აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოს პრაქტიკაში ნორმად აქცია სამართლებლივი განუკითხაობა.

აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 103-ე მუხლის თანახმად, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ნორმატიული აქტების მიღების უფლება არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომლითაც იურიდიული ძალის არმქონედ და აფხაზეთის ტერიტორიაზე გაუქმებულად გამოაცხადა საქართველოს კანონები, კერძოდ, „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“. 1992 წლის 25 იანვარს კი აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის არსებობის შეწყვეტის გამო აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე კანონებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მოქმედების შესახებ“, რომლითაც აფხაზეთში დისკრიმინაციულად შეიზღუდა საქართველოს რესპუბლიკის კანონების მოქმედება. ეს მაშინ, როცა აფხაზეთის კონსტიტუციის 71-ე მუხლის მიხედვით საქართველოს რესპუბლიკის კანონების შესრულება სავალდებულო იყო აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე.

1992 წლის თებერვალში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „აფხაზეთის ასსრ მოქალაქეთა ჩაწერის შესახებ“. პრეზიდიუმთან შეიქმნა მოქალაქეთა ჩაწერის ცენტრალური კომისია. დადგენილება ზღუდავდა მოქალაქეების გადაადგილებას (მიგრაციას) აფხაზეთის ტერიტორიაზე. აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 28-ე მუხლის თანახმად საქართველოს მოქალაქეები ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებით მსგავსად აფხაზეთში მცხოვრები მოქალაქეებისა. მიუხედავად ამ კონსტიტუციური ნორმისა, დადგენილება ითვალისწინებდა, რომ აფხაზეთის საზღვრებს გარედან თუნდაც სამუშაოდ მოწვეული სპეციალისტისათვის მომწვევი ორგანიზაცია ვალდებული იყო გადაეხადა მინიმალური ხელფასის ასმაგი ოდენობა. აღნიშნული რაოდენობის თანხას იხდიდა მოწვეული მუშაკის ოჯახის თითოეული წევრი. ამ პირობების შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ამასთან, უკვე იმ დროს აქტიურად მიმდინარეობდა სირიიდან, თურქეთიდან, იორდანიიდან და სხვა ქვეყნებიდან იმ ადამიანთა ჩამოსახლება და ჩაწერა, რომლებიც აცხადებენ, რომ მათი ისტორიული სამშობლო აფხაზეთი იყო.

აფხაზთა ხელმძღვანელობას არ აღელვებდა ისიც, რომ მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა არღვევდა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, ვენის კონვენციას, პარიზის 1990 წლის ქარტიას „ახალი ევროპისათვის“.

„თანამდებობის პირთა არჩევისა და დანიშვნის შესახებ“ აფხაზეთის ასსრ კანონის დარღვევით, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ნიშნავდა და ათავისუფლებდა მინისტრებსა და მათ მოადგილეებს; შექმნა რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა ინსტიტუტი, რომელიც აერთიანებდა რაიკომის პირველი მდივნისა და აღმასკომის თავმჯდომარის სახელისუფლებო უფლებამოსილებებს.

პრეზიდიუმმა, ასევე, ბანკები, საბაჟო, საგარეო ურთიერთობათა, პრივატიზაციისა და სახელმწიფო ქონების კომიტეტები გამოიყვანა მინისტრთა საბჭოს იურისდიქციიდან და დაუქვემდებარა უმაღლეს საბჭოს.

ხდებოდა ავტონომიური რესპუბლიკის მინსტრთა საბჭოს როლისა და მნიშვნელობის ნიველირება, უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციების დაკნინება. ეს იმიტომ კეთდებოდა, რომ ქართულ და აფხაზურ მხარეთა შორის მიღწეულ საოქმო შეთანხმების თანახმად, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ქართველს უნდა დაეკავებინა. ამიტომ, სეპარატისტები არ იშურებდნენ ძალისხმევას, მათ შორის ანტიკონსტიტუციურს, რათა აღნიშნული სტრუქტურა პრაქტიკულად უუფლებო ორგანოდ ექციათ. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა,

რომ ესეც არ ჩაითვალა საკმარისად. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ინიშნებოდა ქართული მხარის თანხმობით, ქართველ პარლამენტართა აზრის იგნორირებით აღნიშნულ თანამდებობაზე გაყვანილ იქნა პიროვნება (ვ.ზარანდია), რომელიც არ სარგებლობდა არავითარი ავტორიტეტით მოსახლეობის ქართულ ნაწილში, არც აფხაზებს შორისაც, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. პროტესტის ნიშნად ფრაქცია „დემოკრატიულმა აფხაზეთმა“, რომლის შემადგენლობაში ქართული უმრავლესობის გარდა შედიოდნენ ყაბარდოელი, რუსი, უკრაინელი, სომეხი დეპუტატები, დატოვა სხდომათა დარბაზი. დღემდე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე, თუ რამდენად გამართლებული იყო ეს ნაბიჯი ქართველი დეპუტატების მხრიდან. თუმცა, უმრავლესობა თვლის, რომ დარჩენისა და კენჭისყრის შემთხვევაშიც „აიდგილარა“ ხმათა უმრავლესობით მაინც გაიყვანდა ი.ზარანდიას, რადგან ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთი“ იყო უმცირესობაში, ამასთან, როგორც იტყვიან, „გაყვანილი იქნებოდა საქმეში“, ე.ი. კენჭისყრის მონაწილედ.

აფხაზეთში ყალიბდებოდა ავტორიტარული მმართველობის რეჟიმი. ხდებოდა ხელისუფლების სტრუქტურების უზურპაცია ერთი ადამიანის - ვ.არძინბას ხელში. აშკარად ითრგუნებოდა საზოგადოების დემოკრატიული განვითარების ინტერესები.

თავის მხრივ ქართული დეპუტაცია მწვავედ აყენებდა და პრინციპულად მოითხოვდა ანტიკონსტიტუციური კანონშემოქმედების პრაქტიკის შეწყვეტას საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონების შესაბამისად.*

---

* აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი კომისიის დასკვნა

Верховному Совету Абхазской АССР. Заключение.

“О несоответствии с Конституцией Абхазской АССР решении, принятых президиумом и Верховным Советом Абхазской АССР”.

Комиссия по правовым вопросам Верховного Совета Абхазской АССР изучила по собственной инициативе акты, принятые Президиумом Верховного Совета Абхазской АССР и Верховным Советом Абхазской АССР в 1991 г. и в январе текущего года и установила, что некоторые из них являются незаконными и находятся в противоречии с Конституцией Абхазской АССР.

В соответствии со ст. 102 и 103 Конституции Абхазской АССР Президиум не наделен полномочиями издавать правовые акты нормативного характера.

Статья 163 Основного закона автономной республики устанавливает, что закон или иной акт конституционного характера принимается большинством в 2/3 голосов от общего числа депутатов.

Согласно ст. 71 данной Конституции на территории Абхазской АССР объязательны для исполнения законы Республики Грузия.

Вопреки этим конституционным положениям Президиум Верховного Совета Абхазской АССР издавал постановления и Указы нормативного характера вне предлогов своей компетенции. Ограничивая верховенство Законов Республики Грузия, президиумах Верховного Совета Абхазской АССР приняли решения об условиях действия этих законов на территории Абхазской АССР. Под видом обычных законов приняты по существу конституционные законы, для принятия которых необходимо согласие

ამასთან, დეპუტაცია აქტიურად მოქმედებდა კანონშემოქმედებით საქმიანობაში, შეჰქონდა შენიშვნები და წინადადებები იმ პროექტების მიმართ, რომლებიც განიხილებოდა პრეზიდიუმში და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ინტერესებს და მიმართული იყო ქვეყნის იურისდიქციიდან თანმიმდევრული გასვლისაკენ. („რეფერენდუმის შესახებ“, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, „იმიგრაციის შესახებ“, „საკუთრების შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ და ასე შემდეგ).

1992 წლის 24 ივნისს თბილისში შეიარაღებულმა ჯგუფმა ხელში ჩაიგდო ტელეცენტრი. ადგილი ჰქონდა შეიარაღებული ამბოხის მცდელობას.

იმავე დღეს ვ.არძინბას ხელისუფლება შეიარაღებული ძალის გამოყენებით იკავებს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობას და თანამდებობიდან „ათავისუფლებს“ ამ უწყების ხელმძღვანელს გ.ლომინაძეს, რომელიც თავისი აქტიური მოქმედებით, რაც ძირითადად სიტუაციის სტაბილიზაციისაკენ იყო მიმართული და ამიტომ მიუღებელი გახდა აფხაზებისათვის. ამან სიტუაცია უკიდურესობამდე დაძაბა.

სეპარატისტთა სამართლებრივმა განუკითხაობამ თავის კულმინაციას მიაღწია 1992 წლის 23 ივნისს, როცა ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთის“ მონაწილეობის

двух третей депутатов. Учитывая вышеизложенное и руководствуясь статей 105 Конституции Абхазской АССР правовая комиссия пришла к следующему заключению;

1. Указы и постановления Президиума Верховного Совета Абхазской АССР, постановления и Законы Абхазской АССР; от 27.09.91 г. “Об обеспечении экономической основы суверенитета Абхазии”, от 30.09.91 г. “О законах Республики Грузия “О денежно-кредитном регулировании в Республике Грузия”, “О национальном банке Республики Грузия” и “О банках и банковской деятельности”, от 27.02.91 г.

“О создании Абхазской республиканской таможенной службы” и “О создании государственного комитета Абхазии по управлению госимуществом и приватизации”, от 29.12.91. “О создании при председателе Верховного Совета Абхазии временного Совета по координации деятельности и переподчинении войнских и милицейских частей, дислоцированных на территории Абхазии”. Закон Абхазии от 25 января 1992 г. “О действиях Законов и иных актов на территории Абхазии в связи с прекращением существования Союза ССР”, от 13.01.92 г. “О переподчинении Сухумских природоохранной и транспортной прокуратур Прокурору Абхазской АССР”, от 24.01.91 г. “О переводе в юрисдикцию Абхазии прокуратуры и органов МВД”, от 20.01.92 года. “О внесении дополнений в перечень к постановлению Президиума Верховного Совета Абхазской АССР” “Об обеспечении экономической основы суверенитета Абхазии”, от 30.01.92 г. “Об освобождении Прокурора Абхазской АССР” является незаконными с момента их принятия и не влекут за собой юридических последствии, поскольку приняты в нарушение Конституции Абхазской АССР и противоречат основным ее положениям.

2. Незаконность и несоответствие названных актов должны быть устраненны в процессе их рассмотрения на сессиях Верховного Совета Абхазской АССР (кроме вопроса о Временном Совете т.к. по настоянию депутатской группы настоящий вопрос рассмотрен сессией ВС Абхазии и большинством голосов по нему принято соответствующее решение).
3. Рекомендовать Верховному Совету Абхазской АССР принять по настоящему заключению соответствующее решение.

გარეშე, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდა, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის უხეში დარღვევითა და, საერთოდ, პარლამენტარიზმის ელემენტარული ნორმების იგნორირებით, 65-დან მხოლოდ 36 დეპუტატის მონაწილეობით, უბრალო უმრავლესობით და არა ორი მესამედით, უმაღლესმა საბჭომ გააუქმა 1978 წლის აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია და ძალაში შეიყვანა 1925 წლის კონსტიტუცია. ამავე სესიაზე დამტკიცებულ იქნა ახალი ღერბი და დროშა. აღსანიშნავია, რომ ეს კონსტიტუცია აფხაზეთის საბჭოების III ყრილობამ 1925 წელს კი მიიღო, მაგრამ შემდეგი შენიშვნით: „მოყვანილ იქნას შესაბამისობაში ყრილობისათვის წარდგენილი პროექტი საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის ფედერაციის კონსტიტუციებთან“. ეს იმას ნიშნავდა, რომ მაშინაც თვით აფხაზები აფხაზეთს განიხილავდნენ ერთიანი საქართველოს შემადგენელ ნაწილად. ამასთან, 1925 წლის აფხაზეთის კონსტიტუცია არ გამოქვეყნებულა, რის გამოც დოკუმენტმა კანონის ძალა ვერ შეიძინა. ამიერკავკასიის ფედერაციის კონსტიტუცია მიიღეს მხოლოდ ორი კვირის შემდეგ საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის პრინციპზე დაფუძნებით.

ასე, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობის ნების სრული უგულვებელყოფით აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, ეს იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მცდელობის დასაწყისი. ფაქტიურად, ადგილი ჰქონდა სახელმწიფო გადატრიალებას, სეპატარისტთა ამბოხს, რომელმაც საბოლოო ჯამში სამოქალაქო მშვიდობის დარღვევა გამოიწვია, მშვიდობისა, რომელიც ასე უპასუხისმგებლოდ შეეწირა სეპარატისტთა ამბიციურ მისწრაფებებს.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში სიტუაციის დესტაბილიზაციისა და ქართული მოსახლეობის პროვოკაციაზე წამოგების მცდელობებს სეპარატისტთა მხრიდან სისტემატიური ფორმა ჰქონდა. „აიდგილარას“ ხელმძღვანელობას არაერთხელ განუცხადებია: „ჩვენ (აფხაზები) გაიძულებთ თქვენ (ქართველებს), გვესროლოთ“. ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა ქართველი ინტელიგენციისა და თანამდებობის პირთა დევნას, რომლებსაც სხვადასხვა მეთოდებით აიძულებდნენ დაეტოვებინათ პოსტები (აფხაზეთის სამხედრო კომისარი, შინაგან საქმეთა მინისტრი, ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი და ა.შ.). შემდგომ ყველა ისინი იცვლებოდა აფხაზებით.

პარალელურად ამისა საქართველოს ფარგლებს გარედან სისტემატიურად შემოჰყავდათ „ბოევიკები“. მაგალითად, აფხაზეთში ადიღეს დღეების ჩატარების პერიოდში მოწვეულ სტუმრებთან ერთად შემოვიდნენ რუსეთის ფედერაციის

მოქალაქეების შეიარაღებული ჯგუფები, რომელთა ერთი ნაწილი გუდაუთაში, ხოლო მეორე - სოხუმის რაიონში (სპორტული ბაზა „ეშერა“) დაბანაკდნენ.

ვ.არძინბა თავის საყვარელ გამოთქმას - „თავისუფლებას თეთრი ხელთათმანებით ვერ მოიპოვებ“, - რეალიზაციას უკეთებდა არა მხოლოდ იურიდიული-სამართლებრივი და პოლიტიკური განუკითხაობით, არამედ სერიოზულად ემზადებოდა სისხლისღვრისათვის.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან არალეგალური გზებით მიმდინარეობდა ყველაფრის შესყიდვა, რაც გამოსადეგი იქნებოდა მომავალი ომისათვის: საველე რადიოსადგურ: „მაიაკიდან“ დაწყებული, მძიმე სამხედრო ტექნიკით დამთავრებული. მოვიყვანთ ერთ დოკუმენტს. „ანგარიში. 1992 წლის 20 მაისი. ქ. სოხუმი. მე, რამაზ გიორგის ძე ტაბაღუამ, აფხაზეთის სახალხო ფორუმ „აიდგილარასგან“ მივიღე 400 ათასი მანეთი სამხედრო ფორმის შესაძენად. ამ მიზნით მე გავემგზავრე უკრაინის ლუგანსკის ოლქში, სადაც შევიძინე 497 კომფლექტი კომუფლაჟის ფორმა „1 („ავღანკა“) 388 ათას მანეთად. დანარჩენი 12 ათასი მანეთი დაიხარჯა ტრანსპორტირებაზე“.[56] ხელწერილი დაწერილია კონფლიქტამდე სამი თვით ადრე, თუმცა ანალოგიური დოკუმენტები „აიდგილარას“ შტაბ-ბინაში სამხედრო კონფლიქტამდე ერთი და ორი წლით ადრეც ხვდებოდა.

სეპარატისტები ემზადებოდნენ გულმოდგინედ. აფხაზი ლიდერების მიზანმიმართულმა ანტიქართულმა პოლიტიკამ, მისმა ანტიკონსტიტუციურმა არსმა, რუსეთის ხელისუფლების ღია და ფარულმა მხარდაჭერამ აფხაზეთის პარლამენტი, ფაქტიურად, გახლეჩამდე მიიყვანა.

ყოველივე ეს ხდებოდა საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის უკიდურესი დაძაბვის, სამეგრელოსა და მთელს დასავლეთ საქართველოში ქვეყნის ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ ექსპრეზიდენტის მომხრეთა მუდმივი სამხედრო გამოსვლების ფონზე.

III. ომისწინა აფხაზეთი

1. 1991-1992 დეკემბერ-იანვრის მოვლენები

თბილისის 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ტრაგიკულ მოვლენების შედეგად საქართველოში ლეგიტიმური ხელისუფლება არ არსებობდა.

[56] ავტორთა პირადი არქივიდან.

ხელისუფლებაში შექმნილი ვაკუუმის შედეგად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს თბილისიდან, ფაქტიურად, არავითარი მხარდაჭერა არ ჰქონდათ, რის გამოც ქართული დეპუტაცია ობიექტურად ვერ უმკლავდებოდა აფხაზ ტეპუტატთა შემოტევებს. პირიქით, მრავალ მათგანს დედაქალაქიდან ეჭვის თვალითაც უყურებდნენ. გაურკვეველი და ნაკლებად პროგნოზირებადი სიტუაცია მრავალი შეცდომის საფუძველი ხდებოდა.

ქართველ დეპუტატთა დიდი უმრავლესობის მდგომარეობა კარგად გამოიყენა ვ.არძინბამ და მისმა გუნდმა. ეს ძირითადად საკანონმდებლო განუკითხაობაში გამოიხატა, რაც ხორციელდებოდა საქართველოსა და თვით აფხაზეთის კონსტიტუციების უხეში დარღვევითა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის სრული იგნორირებით.

სეპარატისტები თავის სასარგებლოდ კითხულობდნენ კანონებს, არასწორ და მიუღებელ ინტერპრეტაციას უკეთებდნენ მათ. ხმათა ორი მესამედით მისაღებ საკითხებს უბრალო უმრავლესობით, ანდა პრეზიდიუმის დადგენილებით ღებულობდნენ, სადაც მათ უმრავლესობა (ვ.არძინბა, ა.ტოპოლიანი, ი.ვორონოვი, ს.შამბა, კ.ოზგანი) ჰყავდათ. უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა ახორციელებდა აშკარა ანტიქართულ საკადრო პოლიტიკას.

სოხუმში პერმანენტულად იმართებოდა დამხობილი ხელისუფლების მომხრეთა მიტინგები, რომელთაც ვ.არძინბა აქეზებდა და მხარსაც უჭერდა. ამ აქციებზე ხშირად სტუმრობდნენ სეპარატისტთა ხელმძღვანელობის წარმომადგენლები ზ.აჩბა, ს.შამბა, ი.ვორონოვი და სხვ. მიტინგებზე საჯაროდ წვავდნენ ე.შევარდნაძის ფიტულებს, შეურაცხყოფდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პორტრეტს, აფრიალებდნენ ჩეჩნეთის დროშასა და ეთაყვანებოდნენ ჯ.დუდაევის სურათს. ქართული საზოგადოებრიობა ორ დაპირისპირებულ ნაწილად გაიხლიჩა.

ცხადი გახდა სეპარატისტთა და ყოფილი ხელისუფლების მომხრეთა ალიანსი. აფხაზეთი გახდა დამხობილი ხელისუფლების მომხრეთა ერთ-ერთი ძირითადი თავშესაფარი. სეპარატისტებს ხელს აძლევდა აფხაზეთში ქართველთა შეტაკების პროვოცირება, რაც აადვილებდა საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოშორების დაწყებულ პროცესს.

აფხაზეთში ქართველთა დაპირისპირებულობის მაგალითი გახდა 1992 წლის 7 იანვარს სოხუმში განდევნილი ხელისუფლების მომხრეთა ჯგუფის (დაახლოებით 150 კაცამდე) მიერ ოპოზიციური ძალების შტაბ-ბინაზე (ლაკობას ქუჩაზე) მოწყობილი თავდასხმა, სადაც იმყოფებოდნენ ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტის წევრები და მსჯელობდნენ ექსცესების თავიდან აცილების გზებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანიზაციიდან არავის მიუღია მონაწილეობა

თბილისის ტრაგიკულ მოვლენებში, ეგზალტირებულმა ჯგუფმა შტაბი დაარბია და ზოგიერთს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. გაანადგურეს აფხაზეთში ეროვნული მოძრაობის ამსახველი უამრავი დოკუმენტური მასალა, ხოლო ბ.კაკუბავა დაატყვევეს და „მრგვალი მაგიდის“ შტაბში წაიყვანეს (სოხუმის ვაგზლის მოედანი). ეს აქცია მისმა ორგანიზატორებმა დააფიქსირეს ვიდეო ფირზე, რომელიც შემდგომ ეროვნული ერთიანობის საბჭოს ხელმძღვანელობას ჩაუვარდა ხელში და ერთგვარი შურისძიების საგნად იქნა გამოყენებული, რაც თავდასხმის ზოგიერთი მონაწილის დაპატიმრებასა და მათზე ფსიქოლოგიურ ზეწოლაში გამოიხატა.

1992 წლის თებერვალში აფხაზეთში შემოვიდა სამხედრო საბჭოს შეიარაღებული რაზმი გვარდიის ოფიცრის გ.ყარყარაშვილის მეთაურობით, რომელიც განლაგდა სოხუმის ტურბაზის ტერიტორიაზე. ოფიციალური ვერსიით ამ აქციის მიზანი იყო ყოფილი ხელისუფლების მომხრეთა დაშოშმინება და კომუნიკაციების გაკონტროლება, რომლებზეც ძარცვასა და ყაჩაღობას უკვე საშიში მასშტაბები ჰქონდა მიღებული. ავტონომიის ხელმძღვანელობის აფხაზური ნაწილი ამ რაზმის სოხუმში გამოჩენას დუმილით შეხვდა. ისინი ოცნებობდნენ, რომ ეს შენაერთი დაარბევდა ქართველთა მიტინგებს, რაც კიდევ უფრო დაქსაქსავდა ისედაც დაპირისპირებულ ქართველობას. მაგრამ, საბედნიეროდ, ასეთ ნაბიჯებს ადგილი არ ჰქონია. თუმცა, ყოფილი ხელისუფლების მომხრე ქართველთა ნაწილმა კი შენაერთის გამოჩენას „მურვან ყრუს შემოსევა“ უწოდა.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ქართველი მოსახლეობა ძირითადში კმაყოფილებით შეხვდა ქართული შენაერთის გამოჩენას. იმდროინდელი სამხედრო საბჭოს დავალებით, დაგეგმილი იყო რუსეთ-საქართველოს საზღვრამდე გასვლა და რკინიგზის მთელ მონაკვეთზე წესრიგის აღდგენა, რომელზეც სატვირთო შემადგენლობების ძარცვა უკვე დაწყებული იყო. აფხაზური მხარე ამის წინააღმდეგი იყო, მაგრამ მოლაპარაკების შემდეგ 50 კაციანი რაზმი ერთი ჯავშანმანქნით საავტომობილო ტრასით დაიძრა გაგრის მიმართულებით. გუდაუთასთან ავტოინსპექციის პოსტზე რაზმს შეხვდნენ აფხაზი ეროვნების ინსპექტორები და მილიციის მანქანით მიაცილეს გაგრის ერთ-ერთ პანსიონატამდე. მეორე დღეს ქართული რაზმი გავიდა მდ. ფსოუზე, სადაც საქართველოს დროშა აღმართა. გადაწყდა, რომ ეს რაზმი დარჩენილიყო ლესელიძეში, მაგრამ შემდგომ ის აფხაზური მხარის თხოვნის საფუძველზე საქართველოს ხელისუფლებამ სოხუმში დისლოცირებულ შენაერთებთან ერთად გაიყვანა ავტონომიური რესპუბლიკიდან. მოსახლეობამ ეს ლაშქრობა არაერთგვაროვნად აღიქვა, ხოლო სეპარატისტ-ექსტრემისტებს აფხაზ მოსახლეობაში პოზიციები გაუმყარა.

1992 წლის 21 თებერვალს საქართველოს ხელისუფლებამ აღადგინა 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. ამასთან დაკავშირებით მიღებულ დეკლარაციაში ნათქვამია: „1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის მოქმედება განისაზღვრა „მუდმივ და შეუწყვეტლივ“ (თავი პირველი, ზოგადი დებულებანი, მუხლი 10). მისი მიღების შემდეგ საქართველოს პარლამენტს არ დაუდგენია საკანონმდებლო აქტით კონსტიტუციის გაუქმება ან შეჩერება“. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება, რომელიც „დაემხო 1992 წლის 2 იანვარს, წარმოადგენდა 1921 წლის 25 თებერვალს გამოცხადებული საქართველოს სსრ-ს სამართალმემკვიდრეს“, რითაც „იგი აღიარებდა არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, არმედ იცავდა საქართველოს სსრ 1922, 1927, 1937 და 1978 წლების კონსტიტუციების ტოტალიტარულ პრინციპებს“. დეკლარაციით გამოცხადდა, რომ ხელისუფლება „საქართველოს რესპუბლიკის დღეს არსებული საზღვრებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის (აფხაზეთისა და აჭარის დღევანდელი სტატუსის) შეუცვლელად აღიარებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის უზენაესობას და მის ამოქმედებას დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით“. სამხედრო საბჭომ 1992 წლის 24 თებერვალს მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამია: „მოქმედი კანონმდებლობის საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანამდე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს არსებული კანონმდებლობა.“[1]

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენას სეპარატისტები და ზოგი ექსპერტი ქვეყანაში სამართლებრივი ვაკუუმის დამკვიდრებად მიიჩნევს, რომელმაც თითქოსდა კაზუსური ვითარება შექმნა. არადა, ობიექტური მიდგომის შემთხვევაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას არ შეუცვლია ქვეყნის საზღვრები და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობა, აფხაზეთის ასსრ სტატუსი. ეს ცხადადაა ჩამოყალიბებული დეკლარაციაში, რაც მისი სხვაგვარად წაკითხვის საშუალებას გამორიცხავს.

1992 წლის 3 აპრილს სეპარატისტთა „გვარდია“ იკავებს პოზიციებს მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე. 7 აპრილს ვ.არძინბა შეხვდა შინაგანი ჯარების სარდალს გ.ლანჩავას და უშიშროების მინისტრის მოადგილეს ვ.ჩხეიძეს. მიღწეულ იქნა კომპრომისი: სამთავრობო ჯარები არ შევიდოდნენ აფხაზეთში, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფდა სატრანსპორტო მაგისტრალების

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 25 თებერვალი.

შეუფერხებელ მუშაობას და სოხუმში მიმდინარე დამხობილი ხელისუფლების მომხრეთა მიტინგებს აღკვეთდა. აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებების გასაგრძელებლად 13 აპრილს სოხუმში ჩავიდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან შარაშენიძე.

2. დემოკრატიულ ძალთა კონსოლიდაციის მცდელობა

აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს, სეპარატისტთა ანტიკონსტიტუციურ, ანტიქართულ ქმედებებს, მათ უკომპრომისობას საქმე მიჰყავდა ეთნიკური მონოპოლიზმის, ავტორიტარიზმისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისაკენ. ამასთან, ქართული ეროვნული მოძრაობის ერთი ნაწილის მოქმედებებში სჭარბობდა ემოციები, დაუფარავი გაღიზიანება და ანტიაფხაზური სულისკვეთება, რაც, საბოლოო ჯამში, აფხაზთა და ქართველთა საერთო მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს, ხელს უწყობდა ეთნიკური დაძაბულობის გაღრმავებას. ამიტომ საზოგადოებრიობამ გამოსავალის ძებნა დაიწყო.

აფხაზეთის მწერალთა კავშირის რეზიდენციაში ერთმანეთს შეხვდნენ დაპირისპირებული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ინტელიგენციისა და საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლები. ამ შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ მოეწვიათ ყრილობა, სადაც იმსჯელებდნენ აფხაზეთში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე, პროცესების განვითარების პერსპექტივაზე, დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციაზე.

„მრგვალმა მაგიდამ“ მოითხოვა ყრილობაზე სახელმწიფო გადატრიალების შეფასება. წამოიწია სხვა პრობლემებმაც. ამ საკითხებში მიღწეულ იქნა გარკვეული კომპრომისული შეთანხმებები. 29 აპრილს, ყრილობის დღეს, ყოფილი ხელისუფლების მომხრე ორგანიზაციათა წარმომადგენლები არ გამოცხადნენ ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტში, სადაც უნდა დაზუსტებულიყო მისაღები დოკუმენტების პროექტების საბოლოო ვარიანტები. უფრო მეტიც, ყრილობის დელეგატებსა და მოწვეულებს თეატრის წინ დახვდათ ეგზალტირებული (ძირითადად ქალები) მასა. მათ მოახდინეს შენობის შესასვლელების ბლოკირება ლოზუნგებით: „არ შემოვუშვებთ მკვლელებს“, „აღდგეს პრეზიდენტის ხელისუფლება“ და ა.შ. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა დაპირისპირებული მხარე ძალისმიერ მეთოდებს მიმართავდა. ჯერ კიდევ 1991 წლის სექტემბერში სოხუმში დარბეულ იქნა მერაბ კოსტავასა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოებები.

საბოლოოდ ყრილობა ჩაიშალა. ერთობლივ განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერდა 14 ორგანიზაციის წარმომადგენელი (ილია ჭავჭავაძის საზოგადოება -

დ.ლაცუზბაია; ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - ა.ჯიქია; ქართველ მაშველთა კორპუსი - ბ.კაკუბავა; რუსთაველის საზოგადოება - მ.პატარაია; მწვანეთა მოძრაობა - თ.ჩილაჩავა; აფხაზეთის პროგრესულ-დემოკრატიული კავშირი - ა.ლომინაშვილი; მონარქისტულ-კონსერვატიული პარტია - ვ.ჯორჯიკია; მერაბ კოსტავას საზოგადოება - თ.სანაია; ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია - ზ.ნაროუშვილი; ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი - დ.როგავა; საქველმოქმედო საზოგადოება „ქომაგი“ - ა.მიქაძე; ახალგაზრდა ეკონომისტთა ორგანიზაცია - თ.შენგელია; მწერალთა კავშირი და დემოგრაფიული საზოგადოება - გ.კალანდია, ჯ.ჯანელიძე; ექიმთა ასოციაცია - დ.გულორდავა), ნათქვამია: „აფხაზეთში ეროვნული ძალების გამაერთიანებელი ყრილობის ჩაშლის ფაქტს ვაფასებთ ქართული მოსახლეობის ინტერესების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვისათვის ლახვარის ჩაცემად... ყოფილი ხელისუფლების მომხრეთა ეს ქმედება უნდა განვიხილოთ აფხაზეთის სეპარატისტულ წრეებთან მათი პოლიტიკური ალიანსის კიდევ ერთ გამოხატულებად... დღეს უკვე აშკარად გაცხადდა, თუ ვინ ამღვრევს წყალს აფხაზეთში: ისინი, ვინც მოუწოდებენ საერთო ქართული კონსოლიდაციისაკენ, თუ ისინი, ვინც აყენებს მდ. ენგურზე „საერთო აფხაზურ-ქართული ფრონტის“ ორგანიზების ლოზუნგს.“[2]

1992 წლის 9 მაისს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ყრილობა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ქალქებისა და რაიონების, ინტელიგენციის, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმო-დაწესებულებების წარმომადგენლები. გამომსვლელებმა გააანალიზეს აფხაზეთში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია. მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნული იყო: „...ყრილობა განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ (...) აფხაზეთის ასსრ ხელისუფლება კონსტიტუციური და სამართლებლივი ნორმების იგნორირების გზით ახორციელებს აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოშორების პოლიტიკას“. ყრილობამ მოითხოვა საარჩევნო კანონისა და კონსტიტუციის დარღვევით მიღებული საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების გაუქმება, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თვითდაშლა და ახალი არჩევნების დანიშვნა. ყრილობამ მიმართა აფხაზეთის მოსახლეობას, წინ აღუდგეს ხელისუფლების უზურპაციასა და კანონების დარღვევას, მოუწოდა დემოკრატიულ ძალებს გაერთიანებისაკენ.[3]

---

[2] გაზ. „აფხაზეთის ხმა“, 1992, 29 აპრილი.
[3] იქვე, 11 მაისი.

ყრილობის რეზოლუციის თანახმად, შეიქმნა ეროვნული ერთიანობის საბჭო, რომელშიც გაერთიანდა აფხაზეთში არსებული ყველა პოლიტიკური, საზოგადოებრივი, პროფესიული და შემოქმედებითი ორგანიზაცია, გარდა „მრგვალი მაგიდისა“. საბჭოში შევიდნენ პოლიტიკური მოძრაობის ლიდერები, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, მსხვილი საწარმოების ხელმძღვანელები (გ.გვაზავა, დ.გულორდავა, ჯ.ეზუგბაია, ვ.ვეკუა, რ.თორდინავა, ვ.კადენეცი, ბ.კაკუბავა, თ.კილანავა, გ.კალანდია, ზ.კოკაია, ჯ.ლატარია, დ.ლაცუზბაია, ა.ლომინაშვილი, ა.მასკალენკო, ა.მიქაძე, გ.მეშველიანი, ნ.მესხია, თ.ნადარეიშვილი, ზ.ნაროუშვილი, მ.პატარაია, ზ.პაპასქირი, ვ.ჟორდანია, დ.როგავა, თ.სანაია, ვ.ფრუიძე, თ.შენგელია, ო.ჩარკვიანი, თ.ჩილაჩავა, შ.წულეისკირი, შ.ცხვედიანი, გ.ჭანტურია, ჟ.ჭელიძე, დ.ჯაიანი, ჯ.ჯანელიძე, ვ.ჯორჯიკია, ა.ჯიქია, კ.ჯაჭვლიანი, მ.ჯღამაძე).

ეროვნული ერთიანობის საბჭომ აირჩია აღმასკომი (ბ.კაკუბავა, თ.ნადარეიშვილი, მ.პატარაია, გ.მეშველიანი, გ.გაბისკირია, ს.ჯიქია, მ.სხულუხია), რომელიც წარმართავდა მიმდინარე საქმიანობას. ამასთან, ბ.კაკუბავა ოფიციალურად ითავსებდა აფხაზეთში საქართველოს სამხედრო საბჭოს წარმომადგენლის როლს. იმართებოდა საბჭოს დახურული და ღია სხდომები, რომლებზეც იხილებოდა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და სამხედრო საკითხები. ამ ორგანომ, ფაქტიურად, აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას სამოქალაქო დაუმორჩილებლობა გამოუცხადა და დაიწყო პოლიტიკური და სამეურნეო მმართველობის პარალელური სტრუქტურების ჩამოყალიბებისათვის მზადება.

პირველი პრაქტიკული შედეგი, რაც ეროვნული ერთიანობის საბჭოს მოღვაწეობას მოჰყვა, სოხუმის მექანიზირებული ბატალიონის ჩამოყალიბება იყო. 19 მაისიდან ეს ბატალიონი სოხუმში იქნა დისლოცირებული. საბჭოს დაექვემდებარა ახლადშექმნილი სოხუმისა და გაგრის მხედრიონი. საბჭოს რეკომენდაციით თბილისმა დანიშნა აფხაზეთის სამხედრო კომისარი (პოლკოვნიკი ვახტანგ ვეკუა), რომელმაც აქტიური მუშაობა დაიწყო სამხედრო კომისარიატების სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად.

აფხაზეთში პოლიტიკური სიტუაციის დარეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები მწვავე კამათს იწვევდა. ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით, საბჭო ხელს უწყობდა სიტუაციის დაძაბვას, სეპარატისტების წისქვილზე ასხამდა წყალს და, ფაქტიურად, კონფლიქტის ესკალაციის კატალიზატორი გახდა.

ქართულმა ისტორიოგრაფიამ ჯერ-ჯერობით სათანადოდ ვერ შეაფასა ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისა და, საერთოდ, აფხაზეთში ვითარების აღნიშნული პერიოდი, რასაც პუბლიცისტიკაზე ვერ ვიტყვით. ამის ობიექტური მიზეზები

უთუოდ არსებობს, მაგრამ, უეჭველია, რომ 1992 წელს საქართველოს არ ჰყავდა ერთიანი და მყარი მმართველი ძალა. ხელისუფლებაში ძირითადად დაკავებულნი იყვნენ პოლიტიკური თუ სამხედრო გავლენის სფეროთა განაწილებით. თბილისში მრავალი პოლიტიკური ორგანიზაცია და პოლიტიკოსი სწორად ვერ აფასებდა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების ტრაგიკულ პერსპექტივას. ამასთან, რეალური ნაბიჯებისათვის შესაბამისი პოლიტიკური ნება და საჭირო საერთაშორისო კლიმატი არ არსებობდა.

საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი მთავარი იმ დროინდელი გარემოება იყო ის, რომ აფხაზეთის გარდა დანარჩენი საქართველო უკვე რეალურად ცხოვრობდა სხვა პოლიტიკურ სისტემაში. კომუნისტური წყობა დაემხო, მაგრამ ადამიანთა დიდი ნაწილის ცნობიერება და მენტალიტეტი ძნელად ეგუებოდნენ ასეთ მეტამორფოზას. მით უმეტეს, რომ პროცესი დასრულებული არ იყო ყოფილი სსრკ-ს სივრცეში. ეს მომენტი არძინბას და მის მომხრეებს საბჭოურ-კომუნისტური სისტემის შენარჩუნების ილუზიას უქმნიდნენ, ხოლო ქართულ მხარეს რადიკალურობისა და ხშირ შემთხვევაში ექსტრემიზმისკენაც უბიძგებდა.

1992 წლის 9 ივლისს გაზეთში "Республика Абхазия" გამოქვეყნდა აფხაზეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრების რეზოლუცია. ხელმომწერი ორგანიზაციები („აიდგილარა", „კრუნკი", სახალხო პარტია, „სლავიანსკი დომ" და ა.შ.), რომლებიც ადრე გაერთიანებულნი იყვნენ სსრკ უმაღლესი საბჭოს ბლოკ „სოიუზში" და წარმოადგენდნენ საბჭოური იმპერიის ერთ-ერთ ყველაზე საიმედო დასაყრდენს საქართველოში. ისინი ნეგატიურ შეფასებას აძლევდნენ ეროვნული ერთიანობის საბჭოს საქმიანობას, რომლის საპასუხო განცხადებაში ნათქვამია: „ჩვენი საქმიანობა მიმართულია აფხაზეთის ასსრ (...) ნეოტოტალიტარული ხელისუფლების წინააღმდეგ, რომლის პოლიტიკა ერთნაირად მიუღებელი და საზიანოა აფხაზეთის ყველა მცხოვრებისათვის. (...) ამ პოლიტიკის მიზანია ეროვნებათაშორისი დაპირისპირებულობის შემდგომი ესკალაციის გზით ფართო საზოგადოებრივი მოძრაობის ილუზია შექმნას პროიმპერიული, დიქტატორული მმართველობის შენარჩუნებისათვის... პრობლემას უნდა შევხედოთ როგორც დრომოჭმულ კომუნისტურ და მზარდ დემოკრატიულ ძალებს შორის წამოჭრილ კონფლიქტს და მოვეშვათ არსებული კრიზისის ეთნიკური პრიზმით განხილვას."[4]

1992 წლის 13 ივნისის გაზეთ „აფხაზეთის ხმაში" ერთმანეთის გვერდით გამოქვეყნდა ქართველ და აფხაზ დეპუტატთა მიმართვები. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს აფხაზ დეპუტატთა მიმართვაში ნათქვამია: „ჩვენმა შეხვედრამ

[4] იქვე, 14 ივნისი.

გვიჩვენა პარლამენტის ერთიანობა (...) მშვიდობის შენარჩუნების სწრაფვაში“, ხოლო ქართული ფრაქციის მიმართვაში აღნიშნულია, რომ „უმაღლესი საბჭოს უმეტესობა ასეთ სურვილს ვერ იჩენს, იგი კვლავ მოქმედებს ერთმხრივ, ვერ ითვალისწინებს საპარლამენტო უმცირესობის აზრს“ (...) და თუ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო არ გააუქმებს მის მიერ მიღებულ ანტიკონსტიტუციურ გადაწყვეტილებებს, „იძულებული იქნება იმუშაოს დამოუკიდებლად, რათა დაიცვას თავისი ამომრჩევლების ინტერესები“.

ქართული მხარის ყრილობებსა და სხვა შეკრებებზე მიღებულ რეზოლუციებსა და განცხადებებს ცვლიდა აფხაზთა საპასუხო დიამეტრიულად განსხვავებული დოკუმენტები, რაც, ჯამში, ქართველთა და აფხაზთა საერთო მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს.

* * *

საქართველოს ირგვლივ სიტუაცია თანდათან კრიტიკული ხდებოდა. რუსეთის ხელისუფლებამ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევისათვის ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი უმალვე გამოიყენა. რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ რ.ხაზბულატოვმა, ვიცე-პრეზიდენტმა ა.რუცკოიმ და რუსეთის მთავრობამ 1992 წლის 21 ივნისს მუქარით აღსავსე განცხადებები გაავრცელეს, რომლებშიც ქართული მხარე დადანაშაულებულია გენოციდში, რუსეთის სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ ორგანიზებულ პროვოკაციებში და ა.შ. ა.რუცკოის განცხადებაში ნათქვამია: “Правительство Российской Федерации считает себя вправе и обязанным со всей серьезностью предупредить: силового решения (...) конфликтов Россия не допустит... Наши войска уже приняли первые решения по необходимой обороне и будут впредь реагировать адекватно”. რუსეთის ფედერაციის მთავრობის განცხადებაში ნათქვამია: “Мы отвергаем адресованные России обвинения в акте агресии против Грузии. Вперипод согласованного с руководством Грузии пребывания в Цхинвале заместителя министра обороны Российской Федерации Г.Г.Кондратьева по расположению Вертолетного полка, где он находился, был открыт огонь из танковых орудий... Росийская Федерация предпримет все необходимые меры по защите прав человека, жизни и достоинства населения региона, восстановлению мира и правопорядка (Дипломатический вестник. 1992, 13-14, с. 28-30).[5] რეაქციამ არ დააყოვნა

[5] Дипломатический вестник. 1992, №13-14, с. 28-30

და ცხინვალთან განლაგებული ვერტმფრენთა პოლკი, ფაქტიურად, ჩაერთო საომარ მოქმედებებში.

1992 წლის 24 ივნისს დაგომისში ე.შევარდნაძემ და ბ.ელცინმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცხინვალის რეგიონში ცეცხლის შეწყვეტისა და დაპირისპირებულ მხარეთა დასაშოშმინებლად სამშვიდობო ძალების შეყვანის შესახებ. საერთო შეთანხმების თანახმად, აღნიშნული ძალები სამმხრივი უნდა ყოფილიყო. 7 ივლისს სოხუმში ჩამოვიდნენ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების ოთხმხრივი შეთანხმების დელეგაციის წევრები. კომისიამ შეისწავლა საკითხი სამშვიდობო ოპერაციაში სოხუმის ქართული ბატალიონის მონაწილეობის შესახებ. კომისიის ზოგიერთმა წევრმა გამოთქვა მოსაზრება ამ ოპერაციაში „აფხაზური გვარდიის“ მონაწილეობის შესახებ. სოხუმის ბატალიონისა და „აფხაზური გვარდიის“ ნაწილის ერთობლივი მონაწილეობა ცხინვალის რეგიონის სამშვიდობო ოპერაციაში გულისხმობდა აფხაზეთში დაძაბული სიტუაციის ერთგვარ განმუხტვას. ამაზე ვ.არძინბას თანხმობა ნიშნავდა როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ასევე სოხუმის ბატალიონის აღიარებას, რომელსაც უკანონოდ შექმნილად თვლიდნენ. სამხედრო ფორმირებათა დაქვემდებარების პრობლემაზე თ.კიტოვანსა და ვ.არძინბას შორის მოლაპარაკებებს თითქოსდა მისაღები პერსპექტივა ჰქონდა, მაგრამ „აიდგილარას“ ნეგატიური პოზიციის გამო კონსულტაციები შეწყდა. მისმა ლიდერებმა განაცხადეს, რომ აფხაზებს ამ ოპერაციაში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ მთიელ ხალხთა კონფედერაციის სამხედრო ნაწილების შემადგენლობაში.[6]

საქართველოს თავდაცვის მინისტრის თ.კიტოვანის ბრძანებით სოხუმის ქართული ბატალიონი (ს.ახალაიას მეთაურობით) გაიგზავნა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად.

ყოფილი ხელისუფლების შეიარაღებულმა მომხრეებმა სწორედ 24 ივნისს თბილისში ტელევიზიის შენობასა და სატელევიზიო ანძაზე მიიტანეს იერიში, ხოლო აფხაზებმა შტურმით აიღეს ავტონომიური რესპუბლიკის შსს შენობა. დილის 10 საათზე სოხუმში შსს-ს შენობაზე თავდასხმა განახორციელა ე.წ. „აფხაზური გვარდიის“ დაახლოებით 60 კაციანმა რაზმმა. მათ წინ მოუძღოდა პოლკოვნიკი ვ.კაკალია (ე.წ. აფხაზური გვარდიის მეთაური). აფხაზეთის უნივერსიტეტის დოცენტმა ვ.ანცუპოვმა, რომელიც „აფხაზური გვარდიის“ კონსულტანტი იყო ხელჩართული ორთაბრძოლების საკითხებში, მინისტრს გ.ლომინაძეს ავტომატის კონდახით მიაყენა მძიმე ტრავმა. (შემდგომ ეს ანცუპოვი დაიღუპა იმავე წლის 15 დეკემბერს სოფ. ლათასთან ჩამოვარდნილ რუსეთის ვერტმფრენში). ამ დროს მინისტრის კაბინეტში იმყოფებოდა მინისტრის მოადგილე მ.გამზარდია. მინისტრისა

[6] Газ. “Свободная Грузия”, 1992, №89.

და მისი მოადგილის გაჩხრეკის შემდეგ ვ.კაკალიამ უმაღლეს საბჭოში დარეკა და სამინისტროში მოვიდნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს.ბაგაფში და უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა.ანქვაბი, რომელიც უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით უკანონოდ იყო დანიშნული შინაგან საქმეთა მინისტრად. შემდეგ კაბინეტში შემოიყვანეს მინისტრის მოადგილე ა.ლომინაშვილი, თითქოსდა კრების ჩასატარებლად. სამინისტროში მოვიდნენ დეპუტატები ე.ასტემიროვა, თ.მჟავია, კ.ჯაჭვლიანი. ამასობაში გ.ლომინაძის მდგომარეობა მძიმე გახდა და კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ ის მიიყვანეს საავადმყოფოში, ხოლო ქართველმა სამართალდამცავებმა სამინისტროს შენობა დატოვეს. 26 ივნისს ჩატარდა აფხაზეთის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 150 ხელმძღვანელი პირი. მდგომარეობის გაანალიზების შემდეგ მიღებულ იქნა მიმართვა, რომელშიც ნათქვამია: “Сложившаяся обстановка правового нигилизма, препятствующая осуществлению Законности, не исключает повторения подобных действий и эксцессов и в будущем, что вынуждает нас прибегнуть к крайним формам протеста, коим являются неподчинение и неповиновение скомпрометировавшим себя властям автономной республики до тех пор, пока не будут отменены все антиконституционные акты и решения Верховного совета и правительства Абхазской АССР, ушемляющие права человека, откровенно посягающие на свободы личности, унижающие национальное достоинство и професиональную часть”.[7]

თავდასხმის მიზანს მხოლოდ შს მინისტრის გ.ლომინაძის თანამდებობიდან გადაყენება და ამ თანამდებობაზე აფხაზი ა.ანქვაბის დანიშვნა არ წარმოადგენდა, არამედ არაკონსტიტუციური გზით შექმნილი მონოეთნიკური სამხედრო შენაერთების კანონიერი სახელმწიფო სტუქტურების ჭერ-ქვეშ შეყვანა სამართალდამცავ ორგანოებზე სეპარატისტული აფხაზური ხელმძღვანელობის კონტროლის დაწესება და ამით რეალური ძალის ხელში ჩაგდება იყო. ამის შესახებ გადაწყვეტილება არძინბამ ერთპიროვნულად ჯერ კიდევ 1992 წლის 8 მაისს მიიღო, თუმცა ეს საკითხი კანონის მიხედვით საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან უნდა შეთანხმებულიყო. მინისტრი გ.ლომინაძე საშუალებას არ აძლევდა სეპარატისტებს მილიცია გადაექციათ საკუთარი მიზნების განხორციელების ინსტრუმენტად და ამიტომ ცდილობდნენ მის მოშორებას. შსს-ს ქართულმა ნაწილმა, რომელიც თანამშრომელთა უმრავლესობას წარმოადგენდა, ბოიკოტი გამოუცხადა ასეთ გადაწყვეტილებას და გაფიცვა გამოაცხადა.

[7] ავტორთა პირადი არქივიდან.

24 ივლისს, სეპარატისტთა აქციის პარალელურად, სოხუმის ნავსადგურთან შეიკრიბა ზ.გამსახურდიას ათასობით მომხრე, რომლებიც თბილისში ტელეცენტრზე შეტევამ აღაფრთოვანა. ერთ-ერთი ვერსიით, ისინი ელოდებოდნენ საბოლოო ინფორმაციას და შემდგომ გეგმაში ჰქონდათ განეხორციელებინათ თავდასხმა ეროვნული ერთიანობის საბჭოს შტაბზე, რომელსაც იცავდა დაახლოებით 50-მდე შეიარაღებული კაცი. ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რა მოხდებოდა სოხუმში, თბილისში ზ.გამსახურდიას მომხრეთა წარმატების შემთხვევაში.

ეროვნული ერთიანობის საბჭოს 1992 წლის 25 ივნისის განცხადებაში ნათქვამია: „...საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საბაბით ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში შემოყვანილ იქნა საბრძოლო მანქანები, კონტროლზე იქნა აყვანილი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს შენობები, ტელეგრაფი, ცენტრალური მაგისტრალები, ქალაქის ქუჩები და მოედნები. შეიარაღებულ ფორმირებათა მსგავსი აქტიურობა შეინიშნებოდა ავტონომიური რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე. თბილისისა და სოხუმის აქციები განხორციელებულ იქნა შიდა ქართლში მკვეთრად გამწვავებული სიტუაციის ფონზე (...), გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ საქართველოს გაეროში მიღების საკითხის განხილვის წინ.“[8]

ქართულმა ფრაქციამ „დემოკრატიული აფხაზეთი“ რადიკალური ნაბიჯი გადადგა. დეპუტატთა განცხადებაში აღნიშნულია: „დღეს აფხაზეთში მყარდება დიქტატურა, ტოტალიტარული რეჟიმი... სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები საალყო მდგომარეობაშია. უმაღლესი საბჭოს სხდომები მიმდინარეობს შეიარაღებული ჯგუფების ტერორისა და ძალადობის ქვეშ. გამომდინარე, ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ დეპუტატთა ფრაქციას „დემოკრატიული აფხაზეთი“ დარჩა მხოლოდ ერთი გზა - დავტოვოთ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს შენობა.“[9]

26 ივნისს გამართულ ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთის“ სხდომაზე განიხილეს აფხაზეთსა და მთლიანად საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია. მოგვყავს ამ სხდომის სტენოგრამის მოკლე ფრაგმენტი. თ.ნადარეიშვილი: „აფხაზეთში დისლოცირებული იქნება საქართველოს გვარდიის 5 ბატალიონი, რომლებიც დაფინანსდებიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან. ჩვენს ფრაქციას კიტოვანმა აჩუქა სატელევიზიო დანადგარი, რომელსაც მალე ჩამოვიტანთ... ს.ბაგაფშის სიტყვებით, ზარანდია (აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. - ავტ.) ხვალ-ზეგ გამოვა ტელევიზიით და გააკეთებს განცხადებას გადადგომის შესახებ. თბილისიდან შემოგვთავაზეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს

[8] გაზ. „აფხაზეთის ხმა“, 1992, 25 ივნისი.
[9] იქვე.

თავმჯდომარედ რ.სიჭინავას კანდიდატურა, მაგრამ მე უარი ვუთხარი, რადგან ჩვენ უკვე შევთანხმდით ნ.მესხიას კანდიდატურაზე. ამას დადებითად შეხვდნენ. მოადგილეებად დავამტკიცებთ ს.ბაგაფშს, ზ.ლაბახუას. ხვალ მე მივდივარ ამომრჩევლებთან შესახვედრად სოფლებში. ქართველები უნდა გავაერთიანოთ მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებებისა. გადასაწყვეტია რეზერვისტების საკითხი. ასევე გადსაწყვეტია მატერიალური საკითხები." ჯ.გამახარია: „პირადად მე მხარს ვუჭერ თქვენს (ე.ი. დეპუტატების. - ავტ.) შესვლას ეროვნული ერთიანობის საბჭოში. „მრგვალი მაგიდის" წევრებს პირადად მე ავუხსნი მთელს სიტუაციას და, იმედი მაქვს, ისინი გაიგებენ ამ ნაბიჯის სისწორეს" (ზ.გამსახურდიას მომხრე დეპუტატებს მიაჩნდათ, რომ „ეროვნული ერთიანობის საბჭო" გამოხატავდა „ხუნტის" ინტერესებს. - ავტ.). რ.ქარაია: „მზადდება საყოველთაო გაფიცვა და ამიტომ სესიაზე წასვლა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია". (...) თ.ნადარეიშვილი: „ამ პირობებში მუშაობა ჩვენ დიდ ხანს არ მოგვიწევს, მაგრამ თუ ჩვენ გადავწყვეტთ პარალელური სტრუქტურების შექმნას, მაშინ დაგვაფინანსებს თბილისი." ა.გასვიანი: „ქართველთა გაერთიანება აუცილებელია. ჩვენ არ უნდა შევეწინააღმდეგოთ საქართველოს მთავრობის საგარეო-პოლიტიკურ ნაბიჯებს". თ.მჟავია: „უნდა დავსვათ აფხაზეთში ახალი არჩევნების ჩატარების საკითხი, სადაც გათვალისწინებული იქნება ჩვენი მოთხოვნები". თ.ნადარეიშვილი: „აფხაზური მხარე ყოველნაირად ცდილობს ჩვენს დაბრუნებას სესიაზე. მე ვთვლი, რომ სესიაზე წასვლა არაა საჭირო." ჯ.გამახარია: „შესაძლოა, შევთავაზოთ აფხაზურ მხარეს, ჩვენს გარეშე გაათავისუფლოს ზარანდია". ნ.მესხია: „ჩემთან საუბარში ზოგიერთი აფხაზი დეპუტატი გვთავაზობდა ზარანდიას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ან ეკონომიკის მინისტრად გადაყვანას. მე ვუპასუხე, რომ მთელი ფრაქციის სახელით ვერაფერს ვერ გეტყვით, მაგრამ პირადად ამის წინააღმდეგი ვარ... საჭიროა მუშაობის სტილის შეცვლა, დისციპლინა და კიდევ დისციპლინა". თ.ნადარეიშვილი: „აფხაზურ მხარეს ერთი მიზანი აქვს - ნებისმიერი მეთოდებით მიგვიყვანოს სესიაზე, რათა გაფიცვათა აქცია ჩაშალოს და ამით აჩვენოს აფხაზეთის მოსახლეობას, რომ მდგომარეობა არც ისე სერიოზულია... მე ვთხოვ ყველა ტეპუტატს, პრესასა და ტელევიზიას არ მისცეს გაუზიარებელი ინტერვიუ. ვიმოქმედოთ ერთად და შეთანხმებულად, რადგან ყოველი ჩვენი სიტყვა ან განცხადება აღიქმება განსაკუთრებულად. დღე-დღეზე ჩვენ თბილისიდან მივიღებთ განსაკუთრებულ უფლებებს აფხაზეთში სიტუაციის კოორდინაციის მიზნით." სხდომაზე გადაწყდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიის ბოიკოტირება. აქვე შეიქმნა სამი კომისია: იდეოლოგიური - ჯ.გამახარია, ა.გასვიანი,

ე.ასტემიროვა, თ.მჟავია, სამხედრო - კ.ჯაჭვლიანი, რ.შამუგია, ვ.კაჭარავა, ეკონომიკური - რ.ცატავა, დ.გვაძაბია, მ.ჯინჭარაძე, რ.დგებუაძე, ზ.ჯგუბურია.[10]

ივნისში ქართული მხარის ინიციატივით გაიმართა რამდენიმე შეხვედრა აფხაზ დეპუტატებთან, რომლებზეც ქართული დეპუტაცია მზადყოფნას გამოთქვამდა, დაბრუნებოდა ერთობლივ მუშაობას უმაღლესი საბჭოს სხდომებზე გარკვეული პირობებით (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ხელახლა დანიშვნა და არჩევნებამდე დადებულ სხვა შეთანხმებათა შესრულება), მაგრამ, როგორც შემდგომ გამოჩნდა, აფხაზურ მხარეს ეს მოლაპარაკებები სჭირდებოდა თვალის ახვევის მიზნით და დრო გაჰყავდა. ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთის“ განცხადებაში ნათქვამია: „საკადრო, სოციალური, ეკონომიკური საკითხები უნდა გადაწყდეს ადგილზე და არა თბილისში, არა მოსკოვში ან ჩრდილოეთ კავკასიაში... მაგრამ, ამასთან, დაუშვებელია საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის საკითხის დაყენება.“[11]

აფხაზურმა მხარემ გუდაუთაში შემოიყვანა მთიელ ხალხთა კონფედერაციის სამხედრო ნაწილი, ფაქტიურად, დაქირავებულთა რაზმი; სამაჩაბლოში გაიგზავნა ე.წ. „აფხაზი მოხალისეები“. ამიტომ ეროვნული ერთიანობის საბჭომ მოუწოდა ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობას, ყველა დემოკრატიულ პოლიტიკურ ძალას, 29 ივნისიდან სამდღიანი საყოველთაო გამაფრთხილებელი პოლიტიკური გაფიცვისაკენ. მას მასობრივად დაუჭირეს მხარი ქ.სოხუმისა და სოხუმის რაიონის, გაგრის, გალის, გულრიფშის, ოჩამჩირის წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა.

აფხაზეთის პროკურატურის, შსს, სასამართლოს ორგანოებისა და უშიშროების სამსახურის წარმომადგენელთა კრებამ, რომელიც გაიმართა 26 მაისს, მხარი დაუჭირა ეროვნული ერთიანობის საბჭოსა და ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთის“ ერთობლივ მოთხოვნას გაეუქმებინათ ყველა ანტიკონსტიტუციური აქტი, რომლებიც უხეშად ლახავდნენ ადამიანის უფლებებსა და ხელყოფდნენ პიროვნების თავისუფლებას.

საპროტესტო განცხადება მიიღო აფხაზეთის ქართული სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის სადარბაზომაც, რომელსაც ხელს აწერდნენ პროფესორები თ.მიბჩუანი და ზ.კვარაცხელია, დოცენტები დ.დოლბაძე და ბ.მგალობლიშვილი.[12]

---

[10] ავტორთა პირადი არქივიდან.
[11] Газ. “Свободная Грузия”, 1992, 27 июня.
[12] გაზ. „აფხაზეთის ხმა“, 1992, 30 ივნისი.

აფხაზეთში სიტუაცია თანდათან იძაბებოდა. 28 ივნისს, ღამის 2 საათზე, ტურისტული სასტუმრო „ცხუმის“ ტერიტორიაზე განლაგებულ სოხუმის პირველი მექანიზებული ბატალიონის საკონტროლო-გამშვებ პუნქტს „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანიდან ავტომატური იარაღით ცეცხლი გაუხსნეს. საპასუხო სროლის შემდეგ თავდამსხმელები მიიმალნენ.[13]

სოხუმის შს სამმართველოს თანამშრომელთა განცხადებაში ნათქვამია: „მიუხედავად იმისა, რომ უკანონო საჯარისო ფორმირებების განაწესები ყოველ ღამეს 12^{00} სათიდან დილის 6 საათამდე კეტავენ ქალაქს, მძიმე დანაშაულობათა რიცხვი 2,5-3-ჯერ გაიზარდა... დღეისთვის სამხედრო ქვეგანაყოფთა მხრიდან ჩადენილია არაერთი დანაშაული, ადგილი აქვს ძარცვას, ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრის, მკვლელობისა და სხვა ფაქტებს... ასე, მაგალითად, 6 ივლისს, დილით დაკავებულ იქნა შს სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ა.წოწონავა. საბუთების შემოწმების შემდეგ, უკვე დაძრული მანქანის მიმართულებით ადგილი ჰქონდა სროლას ავტომატური იარაღით“. 8 ივლისს აფხაზმა „გვარდიელებმა“ სოხუმში გაჩხრიკეს, პირადობის მოწმობა და სატაბელო იარაღი წაართვეს მილიციის სერჟანტს. ხშირია უმიზეზო სროლები ღამით და ა.შ.[14]

ავტონომიურ რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა თანდათან საშიშ ზღვარს უახლოვდებოდა, რაც მოსახლეობის შეშფოთებას იწვევდა. ამაზე მეტყველებს აფხაზეთში მცხოვრებ მოქალაქეთა წარმომადგენლების ჯგუფის განცხადება, რომელსაც ხელს აწერენ რუსი, ბერძენი, სომეხი, უკრაინელი, ებრაელი, ოსი და სხვა ეროვნების ადამიანები. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ „აიდგილარას“, აფხაზეთის სახალხო პარტიის, სომხური „კრუნკის“, რუსული „Славянский дом“-ის, ოსური „ალანის“, აფხაზეთის ბერძენთა კულტურული ცენტრის მიერ ე.წ. ეროვნული ხსნის კომიტეტის შექმნისა და საყოველთაო მობილიზაციის ჩატარების თაობაზე ერთობლივი მოწოდების გამო. განცხადებაში ნათქვამია: „...კრებას ხომ კარგად უნდა სცოდნოდა, რომ რუსები, სომხები, ბერძნები, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები 5-6-ჯერ მეტი ცხოვრობენ საქართველოს დანარჩენ ნაწილში და შეიძლება საჭირო იყო შეეტყოთ (სეპარატისტებსა და მათ მომხრეებს. - ავტ.) - აიღებენ თუ არა ისინი იარაღს ქართველების წინააღმდეგ.“[15]

* * *

[13] იქვე, 14 ივლისი.
[14] აფხაზეთის ა. რ. პროკურატურის მონაცემები.
[15] გაზ. „აფხაზეთის ხმა“, 1992, 30 ივნისი.

საქართველოს სახელმწიფო საბჭომ 1992 წლის 25 ივლისს მიიღო დადგენილება „1978 წლის აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ“ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 23 ივლისის დადგენილების თაობაზე“, რომელშიც ნათქვამია: „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიერ 1992 წლის საქართველოს კონსტიტუციის აღდგენის გამოცხადებას არ შეუცვლია საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობა, აფხაზეთის ასსრ სტატუსი. (...) აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ხსენებული დადგენილება მიღებულია აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 162-ე მუხლის უხეში დარღვევით, რომელიც ითვალისწინებს დეპუტატთა ხმების კვალიფიციურ უმრავლესობას.“[16]

სოხუმში აფხაზ სეპარატისტთა ლიდერებმა 27 ივლისს პრესკონფერენციაზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების აღნიშნული გადაწყვეტილება ნეგატიურად შეაფასეს და დადგენილება არაკანონიერად მიიჩნიეს. ზ.აჩბამ განმარტა, რომ სახელმწიფო საბჭოს არალეგიტიმურობის მიზეზით დოკუმენტი უკანონოა.

აფხაზ სეპარატისტთა მიერ 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენას რადიკალური შეფასება მისცა ეროვნული ერთიანობის საბჭომ, რომლის განცხადებაში ნათქვამია: „აფხაზეთის, როგორც 1978 წლის, ისე ყველა ადრინდელი კონსტიტუციები არის საქართველოსთვის საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შედეგად თავს მოხვეული აქტი, რომლის საფუძველზე არსებული სახელმწიფო განიხილება, როგორც იმპერიის უკანონო ადგილობრივი ინსტიტუტი საქართველოში. (...) აფხაზეთის 1978 წლის კონსტიტუციის შეჩერებით ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს გამოეცალა თავისი არსებობის ყოველგვარი იურიდიული საფუძველი, რაც არსებითად მის მიერ თვითლიკვიდაციის გამოცხადებას და საბჭოთა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აფხაზეთის ავტონომიის სტატუსის გაუქმებას ნიშნავს“.[17]

აი, რას წერდა უცხოეთის პრესა საქართველოში სეპარატისტთა გააქტიურების შესახებ: „აფხაზთა მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება სასაცილო და კომიკურია. ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 17,8% მიერ დარჩენილი 80% მართვის მოწადინება, მხოლოდ ფაშისტურ ქვეყნებში არის შესაძლებელი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ასეთი პრეტენზიების რეალიზაციის მცდელობის ბოლო მაგალითი იყო, მაგრამ იქაც ასეთ მისწრაფებებს მალე მოუღეს ბოლო და რასიზმი გააუქმეს, თუმცა იქ გაბატონებული უმცირესობის რაოდენობა 25% შეადგენდა. აფხაზეთში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ აფხაზებმა გადაწყვეტილება დამოუკიდებლობის

[16] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 28 ივლისი.
[17] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 25 ივნისი.

გამოცხადების შესახებ მიიღეს თვითნებურად, პარლამენტში წარმოდგენილი ქართველი, რუსი და სომეხი დეპუტატების აზრის გაუთვალისწინებლად.“[18]

* * *

1992 წლის თებერვლიდან დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოსა და აფხაზეთის რეგიონებში, ჩამოყალიბდა დამხობილი ხელისუფლების მომხრე ორგანიზებული მრავალი შეიარაღებული ჯგუფი. ისინი თავს ესხმოდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საწარმოებს, დაწესებულებებს, აფეთქებდნენ ხიდებს, ძარცვავდნენ მატარებლებს, იტაცებდნენ და აფხაზეთში მალავდნენ თანამდებობის პირებს (ა.კავსაძე - სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარის რწმუნებული ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, რ.გვენცაძე - შს მინისტრის მოადგილე, დ.სალარიძე - სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარის მრჩეველი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებში, ზ.ხაზალია - შს მინისტრის მოადგილე და რწმუნებული სამეგრელოს მხარეში, ვ.როგავა - შს სამინისტროს ადმინისტრაციული პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე). ავტონომიურ რესპუბლიკაში პრაქტიკულად შეწყდა სარკინიგზო, საავტომობილო და საავიაციო ტრანსპორტის მიმოსვლა. საქართველო და სომხეთი ეკონომიკური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ლესელიძე-სამტრედიის მონაკვეთზე (დაახლოებით 260 კმ) განლაგებული იყო 47 რკინიგზის სადგური, 10 გვირაბი, 20 მსხვილი და საშუალო ხიდი. ამასთან, ყველაზე რთული კრიმინოგენური ვითარება სწორედ აქ შეიქმნა. საქართველოს პროკურატურის მონაცემებით, 1992 წლის იანვრიდან 14 აგვისტომდე (ე.ი. ომის დაწყებამდე) სამეგრელოში ათი, აფხაზეთში ცამეტი დივერსიული აქტი განხორციელდა. მთლიანად კი დაფიქსირდა თავდასხმისა და აფეთქების 1242 ფაქტი. აქედან, მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე - 759 თავდასხმა.[19] თვით ვ.არძინბა იძულებული გახდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთ სხდომზე მიემართა თბილისისათვის (მოიხსენია მისი საუბარი თ.სიგუასთან) რკინიგზაზე წესრიგის დასამყარებლად დამატებითი ძალების გამოყოფის შესახებ.

1992 წლის აგვისტოს პირველ დეკადაში სახელმწიფო საბჭომ დაიწყო ინტენსიური კონსულტაციები მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით. თავდაცვის სამინისტროს მთავარი შტაბის მაშინდელმა უფროსმა ა.ცქიტიშვილმა გენერალური პროკურატურის მიერ წარმოებული გამოძიების დროს აჩვენა: „8 აგვისტოსათვის

[18] თურქეთის ჟურნალი „გერჩექი“, 1992, №10.
[19] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998, 14 ივლისი.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარისაგან მივიღე დავალება, შეემუშავებინა საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტზე და ავტომაგისტრალებზე ბანდიტური თარეშის აღსაკვეთად საგანგებო ღონისძიებათა გეგმა, რომელიც უზრუნველყოფდა მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას, ასევე, ტრანსპორტზე ტვირთების უსაფრთხოებას... ღონისძიებები არ გავრცელდებოდა დასახლებულ ადგილებზე... საბოლოოდ გეგმა ითვალისწინებდა შემდეგს: საქართველოს დასავლეთში, კონკრეტულად, ფსოუს მიდამოებში, ლესელიძეში შეიქმნებოდა ერთი ბანაკი - ბატალიონის სახით ტვირთების გაცილებისათვის. მეორე ბანაკი, ანალოგიურად, დისლოცირდებოდა სამტრედიის საკვანძოში, მესამე ბანაკი - თბილისი-სადახლო-წითელი ხიდის მიმართულებით... აფხაზეთის ტერიტორიაზე განსაზღვრული ბატალიონის დაკომპლექტებისას შევეცდებოდით მოგვეწვია როგორც ქართველი, ასევე, აფხაზი და სხვა ეროვნების სამხედრო მოსამსახურეები, თუ კი ისინი სურვილს გამოთქვამდნენ... სამხედრო მოსამსახურეები აფხაზეთის ტერიტორიაზე უნდა გადაადგილებულიყვნენ მხოლოდ რკინიგზის საშუალებით“.[20]

წარმოდგენილი გეგმის საფუძველზე სახელმწიფო საბჭომ 1992 წლის 10 აგვისტოს მიიღო დადგენილება „რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ“. თავდაცვის მინისტრ თ.კიტოვანს დაევალა, რომ ჩასულიყო სოხუმში და გეგმა შეეთანხმებინა ვ.არძინბასთან.

აი, რას იგონებს გალის რაიონის მაშინდელი გამგებელი რ.ცატავა: „1992 წლის 6 აგვისტოს სახელმწიფო მეთაურის დავალებით ჩამოვედი თბილისში. სახელმწიფოს მეთაურს მოვახსენე ის, რაც ხდებოდა აფხზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, გალის რაიონში. მან მითხრა, რომ ვ.არძინბა ითხოვს დამხმარე ძალას, განსაკუთრებით მომიტინგეთა ასალაგმავად და წესრიგის დასამყარებლად. შემდგომ 1992 წლის 14 აგვისტომდე 5-ჯერ ჩამოვფრინდი შვეულმფრენით სახელმწიფოს მეთაურის დავალებით და ბოლოს და ბოლოს ბ-ნი ედუარდ შევარდნაძე და ვ.არძინბა შეთანხმდნენ. ამ უკანასკნელის მოთხოვნის საფუძველზე 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოსულიყო სამხედრო შენაერთები 300 კაცის ოდენობით, რომელსაც დახმარება უნდა აღმოეჩინა აფხაზეთის სამართალდამცავი ორგანოებისთვის და მათი განლაგების ადგილი იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები, როგორიცა: რკინიგზის სადგურები, ავტოსადგურები, წყალმომარაგების ობიექტები და აეროპორტი. პირადად მე დამევალა 1992 წ. 14 აგვისტოს დღის 2-სთ-ზე დავხვედროდი ბ-ნ თენგიზ კიტოვანს და მასთან მყოფ სამხედრო შენაერთებს ზუგდიდი-გალის ადმინისტრაციულ საზღვართან, მხედველობაში იყო ენგურის ხიდი. შემოსული კონტინგენტიდან 50

[20] იქვე.

კაცი უნდა განმეთავსებინა გალის რ-ნის ტერიტორიაზე. კერძოდ, რკინიგზის სადგურში, წყალმომარაგების სათაო ნაგებობაში და ვარდნილჰესის ტერიტორიაზე. როგორც ვიცი, ასეთი გეგმით იყო განაწილებული დანარჩენი კონტინგენტი ქ.სოხუმში და აფხაზთის სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

1992 წლის 14 აგვისტოს დაახლოებით დილის 10 სთ-ზე ტელეფონით დამიკავშირდა ვ.არძინბა და მკითხა, მზადყოფნაში ვიყავი თუ არა სამხედრო შენაერთებთან შესახვედრად ენგურის ხიდთან. - დიახ! მე მზადა ვარ, - ვუპასუხე მას, მაგრამ დავამატე, რომ შემოსული მთელი კონტინგენტიდან გალის რ-ნის ტერიტორიაზე დავტოვებდი 50 კაცს. ამასთან დაკავშირებით მან აღშფოთება გამოთქვა და ამიკრძალა 50 კაცის დატოვება გალის რ-ნში და დამატებით მთხოვა, რაც შეიძლება ჩქარა გამეცილებინა ბ-ნი თენგიზ კიტოვანი და მისი თანმხლები პირები გალი-ოჩამჩირეს ადმინისტრაციულ საზღვრამდე. კერძოდ, სოფ. ოხურეის სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგომდე, სადაც მისი თქმით დამხვდებოდა ოჩამჩირის გამგებელი, ეროვნებით აფხაზი ი.გურგულია, რომელიც ამ შენაერთებს გააცილებდა ოჩამჩირე-გულრიფშის საზღვრამდე. ამ სატელეფონო საუბრის შემდეგ დავრწმუნდი იმაში, რომ ბ-ნ ედუარდ შევარდნაძესა და ვ.არძინბას შორის მართლაც იყო შეთანხმება აღნიშნული ღონისძიების გასატარებლად.

სამხედრო კოლონის გაცილებისას ვიმყოფებოდი თავიდან მეორე მანქანაში. პირველი მანქანა, რომელიც წინ მიგვიძღვოდა, იყო ერაზის სასწრაფო დახმარების მანქანა წითელი ჯვრითა და სხვა დამახასიათებელი ნიშნებით.

ზემოთაღნიშნულ საგუშაგოსთან მისვლამდე 50 მეტრის მოშორებით კოლონა შევაჩერე. შეთანხმებისამებრ, იქ უნდა დამხვედროდა ოჩამჩირის გამგებელი, მაგრამ ის არ გამოცხადდა. ამასობაში მე მივედი საგუშაგოსთან, სადაც იმყოფებოდა ორი ავტოინსპექტორი. იმ მომენტში ატყდა სროლა გზის ორივე მხრიდან კოლონის მიმართულებით. კოლონიდან სასწრაფოდ ჩამოცვივდნენ ჯარისკაცები, რომლებმაც ალყა შემოარტყეს საგუშაგოს ტერიტორიას. ვნახე, რომ მანქანის მძღოლი და ექიმი დაჭრილი იყვნენ. ისინი სასწრაფოდ გადაიყვანეს ქ. გალის საავადმყოფოში. დაახლოებით 15 წუთში ქართველმა ჯარისკაცებმა 18 აფხაზი ბოევიკი აიყვანეს ტყვედ, რომლებიც გადავაგზავნე გალის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში. მიუხედავად იმისა, რომ ი.გურგულია არ გამოცხადდა დანიშნულ ადგილზე, ბატონი თენგიზ კიტოვანი და მისი თანმხლები პირები ოჩამჩირის შემოვლითი გზით ქ. სოხუმის მიმართულებით გაემგზავრნენ. დაახლოებით 15 წუთში ოჩამჩირის გამგებელი მოვიდა საგუშაგოსთან. მე მას შევეკითხე, თუ რატომ მოაწყვეს თავდასხმა სამხედრო კოლონაზე, სადაც დაიჭრა მძღოლი და ექიმი, მან მიპასუხა: დილით

სოხუმში გამომიძახეს ვ.არძინბას დავალებით და გეგმის მიხედვით ეს პროცესი ვერ დავარეგულირეო.

ი.გურგულია ადგილზევე დავაპატიმრეთ და წამოვიყვანეთ ქ. გალის პოლიციაში. გალში მისვლისთანავე ამ ინციდენტის შესახებ ვესაუბრე სახელმწიფო მეთაურს, რამაც იგი ძალიან აღაშფოთა. მთელი დღე ვცდილობდი დავკავშირებოდი ვ.არძინბას, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი გაურკვეველი იყო. მეორე დღეს სახელმწიფო მეთაურის აპარატის დავალებით 18 აფხაზი ბოევიკი და ი.გურგულია თბილისში გადავაგზავნე შვეულმფრენით. მიზეზი იყო ის, რომ ზუგდიდელი და გალელი ზვიადისტური ფორმირებები ემზადებოდნენ გამგეობის და ქ. გალის პოლიციაზე თავდასხმისათვის დაპატიმრებული აფხაზი ბოევიკებისა და ი.გურგულიას გატაცების მიზნით.

შემდგომ გავიგე, რომ ზემოთ აღნიშნული პირები გაანთავისუფლეს და ჩამოაფრინეს ქ. ოჩამჩირეში.

შემდგომ ოჩამჩირის გამგებელი ი.გურგულია სოფ. კვიტოულში ჩაუდგა სათავეში აფხაზ ბოევიკთა ბატალიონს და ამოჟლიტა თითქმის ყველა ქართული ოჯახი.

ვ.არძინბას მხრიდან კი დაგეგმილი იყო სპექტაკლი, რომელიც სისრულეში იქნა მოყვანილი.“

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ ა.იოსელიანმა აჩვენა: „10 და 11 აგვისტოს თათბირი იყო სახელმწიფო საბჭოში შევარდნაძესთან. მე, ლომინაძე და ნადარეიშვილი ვესწრებოდით... მე პირდაპირ მივმართე შევარდნაძეს... ეს საკითხი (დადგენილების განხორციელება აფხაზეთის ტერიტორიაზე. - ავტ.) აუცილებლად შეუთანხმეთ აფხაზეთის ხელმძღვანელობას... შევარდნაძე მიუბრუნდა თ.კიტოვანს და უთხრა - თქვენ, ან ცქიტიშვილი ჩადით წინასწარ და ყველაფერი შეუთანხმეთ არძინბასო. 12-ში გავედი სამსახურში, დამირეკა არძინბამ, სად იყავიო. მე მოვუყევი, (...) რომ შედგენილია გეგმა და მას (...) შეგითანხმებენთქო... როცა მოისმინა, თქვა, კარგი, მოვიფიქრებო“. აღნიშნულ საკითხზე იმავე დღეს შედგა ე.შევარდნაძისა და ვ.არძინბას სატელეფონო საუბარიც.

მიუხედავად წინასწარ შემუშავებული დეტალური გეგმისა, აფხაზეთში შესვლა მოხდა მისი დარღვევითა და არაორგანიზებულად. ფაქტიურად, არ შესრულდა სახელმწიფო საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმა და მისი თავმჯდომარის მიერ მიცემული დავალება. თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თ.კიტოვანმა გმოძიებას აჩვენა: „ჩვენზე წინ წავიდა პოლიცია ჟიგულებითა და მსუბუქი ავტომანქანებით. სამტრედიაში შემხვდა ზეიკიძე და ვუთხარი, რომ ეს არ გაეკეთებინათ, მაგრამ ისინი მაინც ჩვენზე წინ წავიდნენ... ცხინვალიდან გამოვიყვანე სოსო ახალაიას ბატალიონი

და ჩვენს ჯარს ის ჩავუყენე სათავეში. შევარდნაძე რეკავდა თბილისიდან და ყველას აფრთხილებდა და აშინებდა, რომ თუ ჩვენ გავაგრძელებდით შეიარაღებულ მსვლელობას, მსოფლიო ფეხზე დადგებოდა".[21]

სახელმწიფო საბჭომ 15 აგვისტოს შექმნა კომისია, რომელშიც შევიდნენ: რ.კუპრავა, თ.ლომაია, ლ.ცაავა, გ.ხაინდრავა, ი.ხაინდრავა, თ.შაშიაშვილი, დ.ბერძენიშვილი, ი.მელაშვილი, ა.მოვსესიანი. გვიან ღამით კომისიის რამოდენიმე წევრი (თ.ლომაია, ი.ხაინდრავა, დ.ბერძენიშვილი, ლ.ცაავა, ი.მელაშვილი) გუდაუთაში გამგზავრა, სადაც ფართომასშტაბიანი სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით მოლაპარაკებებს აწარმოებდა აფხაზურ მხარესთან (ს.შამბა, ზ.აჩბა, ს.ბაგაფში, ს.თარკილი და სხვ.). მარამ ამ ინიციატივამ შედეგი ვერ გამოიღო, რადგან აფხაზები აშკარად დროის გაყვანას ცდილობდნენ და რეალურ ნაბიჯებზე არ წამოვიდნენ. იმავე დღეს კომისია სოხუმში დაბრუნდა.

აღნიშნული კომისიის ერთ-ერთი წევრი თ.ლომაია წერს: „14 აგვისტოს სოხუმის სახელმწიფო აგარაკზე ვიმყოფებოდით... დარეკა შევარდნაძემ. კიტოვანმა თქვა, მე არ დაველაპარაკებიო. დაელაპარაკა გ.ხაინდრავა, რომელმაც საუბარი რომ დაამთავრა, გვითხრა: ბატონი ედუარდი იყო და ბრძანა, ჯარი წინ არ წავიდესო... კიტოვანმა თქვა, მე მაინც წავალო. სხვებმა ვთქვით, შევარდნაძე სწორია-თქო". აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იმჟამინდელი იუსტიციის მინისტრი ო.ბენიძე: „დილის 10 საათიდან ყოველ 10-15 წუთში ბ-ნი ე.შევარდნაძე თბილისიდან რეკავდა და მოითხოვდა, რომ არავითარ შემთხვევაში სოხუმში არ შესულიყვნენ სამთავრობო ძალები... რადგან ეს იქნებოდა დამღუპველი და გამოუსწორებელი ნაბიჯი".[22]

საქართველოს გენერალური პროკურატურის დასკვნით, „თენგიზ კიტოვანმა და მისმა გარემოცვამ უგულებელჰყო საგანგებო მდგომარეობის განხორციელების გეგმა და დასახლებულ პუნქტებში მძიმე სამხედრო ტექნიკის დემონსტრირებით მოახდინა შეიარაღებული შეზღუდული კონტინგენტის გადაადგილება, რითაც აფხაზეთის რეგიონში სეპარატისტებს პროვოცირების საშუალება მისცა... სეპარატისტები აქტიურად ემზადებოდნენ ომისთვის, იძენდნენ საბრძოლო იარაღს და ტექნიკას, ამ საქმეში მათ დიდ დახმარებას უწევდა აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის საჯარისო შენაერთების კორუმპირებული სარდლობა, რომელიც შესაბამისი გასამრჯელოს ფასად, ხალისით უთმობდა იარაღითა და საბრძოლო მასალებით სავსე საწყობებს. ასეთ სიტუაციაში ისინი და მათ უკან მდგომი ძალები ეძებდნენ საბაბს საომარი მოქმედების დასაწყებად. ზემოთ დასახელებული თვითნებური მოქმედება სეპარატისტებმა ოსტატურად გამოიყენეს თავიანთი ზრახვების აღსასრულებლად -

[21] იქვე.
[22] იქვე.

საქართველოს შეიარაღებული ძალები ჩაითრიეს საომარ კონფლიქტში, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა“.[23]

ეს იყო 1992 წლის 14 აგვისტოს. ასე დაიწყო მეოცე საუკუნის უდიდესი ტრაგედია საქართველოში.

V. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და აფხაზეთი

აფხაზეთში ქრისტიანობა პირველ საუკუნეში მოციქულებმა გაავრცელეს. ამ პროცესში რომის იმპერიიდან დევნილი ქრისტიანებიც მონაწილეობდნენ. სწორედ მაშინ შეიქმნა აფხაზეთში მძლავრი ქრისტიანული კერები. მათ სიძლიერეზე მიუთითებს ისიც, რომ 325 წლის ნიკეის პირველ საეკლესიო კრებაში საქართველოდან ორი (ბიჭვინთისა და ტრაპეზუნტის) ეპისკოპოსი მონაწილეობდა.

საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად IV საუკუნეში ჩამოყალიბდა და იქედან მოყოლებული, ქვეყნის კულტურულ-ისტორიული და პოლიტიკური ერთობის უპირველესი საწინდარი გახდა.

გიორგი მერჩულეს თხზულებაში „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისა“ წარმოდგენილია საქართველოს კულტურული მთლიანობის ფორმულა და ეს არა მარტო საეკლესიო ერთობის საფუძველზე, არამედ ენის ერთობის საფუძველზე. ამ პერიოდში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქართული ენა გახდა მწერლობის, ეკლესიის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგის საერთო ენა. ეს ფორმულა ასეა წარმოდგენილი: „ქართლად ფრიად ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.

ამ დროს აფხაზეთის ეკლესიებში ბერძნული ენა განდევნილია და ქართულია გაბატონებული. აფხაზეთი ხდება ქართული საეკლესიო მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი. ამაზე მეტყველებს X საუკუნის შუა პერიოდში აფხაზეთში მოღვაწე განთქმული ქართველი მწერლის, ჰიმნოგრაფის ივანე მინჩხის შემოქმედება. ასევე აფხაზეთიდან არის IX საუკუნის ის ქართველი პოეტი, რომელსაც ეკუთვნის ჰიმნოგრაფიული პოემა, „მარტვილობა მიქაელ საბაწმიდელისა“. ამავე ხანებში დაიწერა აფხაზეთში ქართული საეკლესიო მწერლობის უზადო ძეგლი, პირველდედანი დავითისა და კონსტანტინეს მარტვილობისა. აღსანიშნავია, რომ ქართულად იწერება არა მხოლოდ საეკლესიო მწერლობის ძეგლები, არამედ ისტორიული ხასიათის ნაწარმოებები.

[23] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998, 14 ივლისი.

დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის პატრიარქატიდან გამოყოფა მოხდა IX საუკუნის პირველ ნახევარში, რაც უახლოესი პერიოდია მას შემდეგ, რაც გამოცხადებულ იქნა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფოს“ პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ამ ორ ფაქტს შორის პირდაპირი ორგანული კავშირია, რადგან საეკლესიო რეფორმა - ეს იყო მეორე აქტი, ანუ შემდგომი საფეხური დასავლეთ საქართველოს კულტურული ემანსიპაციისა.

1057 წელს ანტიოქიაში გაიმართა საეკლესიო კრება, რომელზეც მსჯელობის საგანი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიურობის საკითხი. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას ეწინააღმდეგებოდნენ საბერძნეთის ეკლესიის მამამთავარნი, რადგან მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის მოთავეობას იჩემებდნენ მუდამ. ბერძნების მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ საქართველოში ღვთის თორმეტი მოციქულთაგან არავის უქადაგია ქრისტიანული სარწმუნოება და, ამდენად, „არა მართალ არს ესე“, ე.ი. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიურობა.

საქართველოს ეკლესიას ამ კრებაზე წარმოადგენდა გამოჩენილი ღვთისმეტყველი, მწერალი გიორგი მცირე მთაწმინდელი, რომელმაც ბერძნული წყაროების მოშველიებით ღირსეულად დაიცვა საქართველოს უფლებები. მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ მის გამოსვლაში მოხსენიებულია აფხაზეთის ქვეყანა და აღნიშნულია ანდრია მოციქულის მისიონერული მოღვაწეობა დასავლეთ საქართველოში. ამასთან, გიორგი მთაწმინდელმა მიუთითა: „ერთი წმიდა თორმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს ვიტყვი კანანელსა, ქუეყანასა ჩვენსა დამარხულ არს - აფხაზეთს (ქალაქსა), რომელნი ნიკოფსი ეწოდების“. გიორგი მთაწმინდელის ამ სიტყვებიდან შემდეგი მტკიცდება: ა) აფხაზეთის ქვეყანა ამ დროს ჩამოშორებული იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და აფხაზეთის ეკლესია (ბიჭვინთის საკათალიკოსო) შედიოდა ზოდაგ-ქართულ ეკლესიაში, ქართლის საკათალიკოსოში. ეს დასტურდება რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერიდან“. ამასთან, ჩანს, რომ აფხაზეთის ეკლესიის გაერთიანება ზოგად-ქართულ ეკლესიასთან შორეულ წარსულში მომხდარა ხანგრძლივი ტრადიციითაა განმტკიცებული და დაკანონებული.

XI საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა საქართველოს საპატრიარქო, რომელშიც არსებობდა ორი „საეკლესიო სამთავრო“ - ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები. ქართლის კათალიკოსს მიენიჭა საქართველოს პატრიარქის ტიტული. აფხაზეთის საკათალიკოსო საქართველოს საპატრიარქოში არსებობდა ბერძნულ საპატრიარქოში არსებული მიტროპოლიების მსგავსად. აფხაზეთის კათოლიკოსს უშუალოდ ექვემდებარებოდნენ დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები. თავის მხრივ ის ექვემდებარებოდა საქართველოს პატრიარქს. ერთს

„უხუცესი“, ხოლო მეორეს „უმრწემესი“ მამამთავარი ეწოდებოდა. ასე იყო ერთიანი საქართველოს დაშლამდე. XV საუკუნეში ქართულ საეკლესიო ცენტრალიზებულ ერთობას ბზარი შეეპარა, რამაც ასახვა ჰპოვა დოკუმენტებში - „მცნება სასჯულო“. XV სუკუნის 70-იან წლებში იერუსალიმ-ანტიოქიელი პატრიარქის მიერ აფხაზეთის საკათალიკოსოს მიენიჭა „ავტოკეფალია“. ამ შემთხვევაში „ავტოკეფალია“ გულისხმობს ადმინისტრაციულ დამოუკიდებლობას ქართლის (მცხეთის) საპატრიარქოდან. ეს არ ნიშნავდა იმას, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესიამ დაკარგა ქართული სახე. ყველა კათოლიკოსი აფხაზეთისა ქართველი იყო. მოღწეულია ზოგიერთის გვარი: მალაქია აბაშიძე (1529-1532), ევდემონ ჩხეტიძე (1557-1578), ექვთიმე I საყვარელიძე (1578-1605), მალაქია გურიელი (1616-1639), მაქსიმე მაჭუტაძე (1639-1657), ზაქარია ქვარიანი (1657-1660), სვიმონ ჩხეტიძე (1661-1666), დავით ნემსაძე (1673-1696), გრიგოლ ლორთქიფანიძე (1696-1742), ბესარიონ ერისთავი (1755-1769), მაქსიმე აბაშიძე (1776-1795) და სხვ. დასავლური ქართული ეკლესიის ცენტრი ბიჭვინთაში მდებარეობდა, სადაც იჯდა კათოლიკოსი. ლიხნის ტაძრის, მოქვის სახარების, ბედიის ბარძიმის ქართულენოვანი წარწერები და სხვა მასალები ნათლად ადასტურებენ ამას.

XIX საუკუნეში რუსეთმა გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. კათალიკოსის ნაცვლად მას უკვე რუსი ეგზარქოსი განაგებდა. ისინი ძარცვავდნენ და ანიავებდნენ ძველი ივერიის საეკლესიო ქონებას და ამ ნაძარცვით ბრუნდებოდნენ რუსეთში. რუსეთის სინოდისთვის ქართული ეკლესია იყო ბარბაროსული ქვეყნის ეკლესია. მან ცეცხლს მისცა მრავალი უძველესი ქართული საეკლესიო დოკუმენტი, მრავალიც გაზიდა პეტერბურგში. ამ ეგზეკუციის შედეგად დახურეს ოცზე მეტი ეპარქია, რომელთაგან ზოგიერთი არსებობდა ქრისტიანობის მიღების დროიდან, ე.ი. დაახლოებით 15 საუკუნის განმავლობაში. გაანადგურეს მრავალი ძველი მონასტერი და მიაღწიეს იმას, რომ ხაზინისთვის გადაეცათ ქართული საეკლესიო მამულები, რამაც ქართული ეკლესია მიიყვანა ისეთ მდგომარეობამდე, როცა ასობით ტაძარი უმოქმედო გახდა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მდგომარეობა უკიდურესად გაამწვავა იმან, რომ რუსეთის ეკლესიამ წაართვა ქართველებს უფლება ელოცათ მშობლიურ ენზე საქართველოს განმანათლებლის, მოციქულთა სწორის, წმინდა ნინოს საფლავზე. საეპისკოპო კათედრაზე ინიშნებოდნენ რუსი ეპისკოპოსები, რომლებმაც არ იცოდნენ თავიანთი მრევლის ენა, ხოლო ერთ-ერთმა ეგზარქოსმა პავლემ ამბიონიდან დასწყევლა ქართველი ერი, რაც უპრეცედენტო შემთხვევა გახდა მსოფლიო ისტორიაში! სწორედ ამ თავგასულობას შეეწირა ცნობილი ქართველი მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი.

პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთმა განიზრახა სოხუმის ეპარქიის საქართველოს ეგზარქატისაგან ჩამოცილება და უშუალოდ პეტერბურგში არსებული სინოდისათვის დაქვემდებარება. მაგრამ აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილის გ.შარვაშიძის ხელმძღვანელობით შექმნილმა დეპუტაციამ მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია ამ მზაკვრულ პროექტს და რუსეთის ეკლესიის სინოდის გეგმები ჩაიშალა[1].

* * *

ქრისტიანული ტაძრების სიმრავლის მხრივ აფხაზეთი ერთ-ერთი გამორჩეული მხარეა საქართველოში. აფხაზეთში არსებული მართლმადიდებლური ძეგლები კარგადაა შესწავლილი. აღსანიშნავია გაგრის (VI ს.) აბაანთა ციხის ეკლესია და განთიადის (იგივე ცანდრიფშის) ბაზილიკა (VI-VII სს.), დრანდის ტაძარი (VIII ს.), ბზიფის ციხის ეკლესია (IX ს.), ანაკოფიის წმ. სვიმონ კანანელისა და ლიხნის ტაძრები (XI-X სს.), მოქვის (X ს.) ეკლესია, ბაგრატის ტაძარი (X ს.), X-XI საუკუნეების ბედიის კათედრალი და ბიჭვინთის ეკლესია, ილორის წმ. გიორგის სახელგანთქმული ტაძარი (XI ს.) და ა.შ.

მსოფლიო ისტორიოგრაფია არ იცნობს აფხაზურ ქრისტიანულ კულტურას, აფხაზურ ეკლესია-მონასტრებს, ხოლო სახარება და ლოცვები ახლახან ითარგმნა. აფხაზთა ნაწილი დღეს ან წარმართია, ან კიდევ მუსულმანად თვლის თავს (თუმცა მეჩეთს აფხაზეთში ვერ შეხვდებით), უმრავლესობა კი ათეისტია. აფხაზი ქრისტიანები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ რუსულ სახარებას და სხვა რელიგიურ ლიტერატურას იყენებენ. სეპარატისტთა ოფიციალურ წრეებში თუ დღეს ვინმე ქრისტიანობას იბრალებს, ეს პოლიტიკური მიზნებით, პრაგმატული მოსაზრებებით არის ნაკარნახევი და არა სულიერი მოთხოვნილებებით.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია მუდამ იყო ქართველი ერის სულიერი სიჯანსაღის, საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანთა შორის მშვიდობის, თანხმობისა და სიყვარულის მქადაგებელი და დამცველი. ამ პოზიციაზე დარჩა ის აფხაზეთის 1992-1993 წლების ტრაგიკული მოვლენების პერიოდშიც. ეკლესიას ერთმანეთისგან არ განუსხვავებია ქართველი და აფხაზი, რუსი და სომეხი, ბერძენი და ებრაელი, ქრისტიანი თუ სხვა აღმსარებლობის მორწმუნე. ერთნაირი სიყვარულითა და გულისტკივილით ზრუნავდა გაჭირვებაში ჩავარდნილ თითოეულ ადამიანზე.

[1] ჯვარი ვაზისა, 1995, №1, გვ. 39-40.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესის და უნეტარესის ილია II მიერ კონსტანტინოპოლის - ახალი რომის მთავარეპისკოპოსისა და მსოფლიო პატრიარქის ბართლომე I სახელზე გაგზავნილ წერილში ნათქვამია: „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისა და მორწმუნე მრევლის სახელით, ძმური სიყვარულით მოგმართავთ თხოვნით, ხმა აღიმაღლოთ იმ აგრესიის წინააღმდეგ, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებენ რუსეთის ფედერაციიდან შემოჭრილი ტერორისტული ბანდები აფხაზ სეპარატისტებთან ერთად. მათ სურთ, დაარღვიონ საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს მთლიანობა და ამ მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდებიან; ხოცავენ მშვიდობიან მოსახლეობას, ძარცვავენ ოჯახებს, წვავენ სახლებს, შეურაცხყოფენ ქალებს... ყოველივე ამას კი მხარს უჭერენ და საბრძოლო ტექნიკით ამარაგებენ რუსეთის რეაქციული ძალები. იქმნება რეალური საფრთხე მსოფლიო მნიშვნელობის გლობალური კონფლიქტისა, რომელმაც შეიძლება მოიცვას მარავალი ქვეყანა“.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსისადმი გაგზავნილ წერილში საქართველოს პატრიარქი შეშფოთებით აღნიშნავს, რომ რუსეთიდან შემოჭრილი ბანდები შემზარავ დანაშაულობებს სჩადიან. „ძარცვავენ და წამებით ხოცავენ მშვიდობიან მოსახლეობას, აუპატიურებენ ქალებს, ჰკლავენ ბავშვებს, წვავენ საცხოვრებელ სახლებს... ჩვენ ყველამ უნდა შევძლოთ ამ საშიშროების დანახვა. იგი დროზე უნდა შევაჩეროთ. ჩვენმა წმიდა ეკლესიებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა არ დაირღვეს ძმური კავშირი რუსეთისა და საქართველოს შორის“[2].

მსგავსი წერილები გაეგზავნა ყველა მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებს (რომის პაპს - იოანე-პავლე II, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალურ მდივანს ემილიო კასტროს, ევროპის ეკლესიათა კონფერენციის გენერალურ მდივანს ჟან ფიშერს და ა.შ.), ასევე, წმიდა ათონის მთის მამებს.

* * *

აფხაზეთის ომის პერიოდში სეპარატისტები და მომხვდურები განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდნენ ღვთისმსახურთა მიმართ, ანგრევდნენ ეკლესიებს. საარტილერიო დაბომბვების დროს პირდაპირი დამიზნებით არაერთხელ მოარტყეს ჭურვები სოხუმის ხარების სახელობის საკათედრო ტაძარს და სახლს, სადაც

[2] იქვე, გვ. 5.

ცხოვრობდნენ მოძღვრები. არბევდნენ, დაბომბვების დროს იღუპებოდნენ მორწმუნეები და სხვა მოქალაქეები.

ადამიანთა ცნობიერებაში ცხადად არის ჩაკირული დანგრეული სოხუმის ქუჩებში გამოსული მღვდელ-მონაზონთა პროცესია, რომელიც ქვეყნის შემოქმედს ქრისტიანული სამშობლოს გადარჩენას, ძმათამკვლელი ომის შეჩერებას შესთხოვდა. დედა ელენე (ნაფეტვარიძე) იხსენებს: „ტაძრის ეზოდან იძვრის პროცესია... წინ ჯვარი, ხატები, კელაპტრები, შემოსილი სამღვდელოება, მღვდელმთავრები, მონაზვნები ქალაქში გადიან გალობით... გვიერთდება მრევლი, მორწმუნენი, მოსახლეობა... შემხვედრნი იწერენ პირჯვარს, ითხოვენ კურთხევას, ზოგი მუხლებზე ეცემა და ზეცაში ღმერთს შეჰღაღადებს, ზოგი ტირის... შეუძლებელია იმ წუთების აღწერა“. ამგვარი პროცესიები ხშირად ეწყობოდა. ვინც აფხაზეთისა და კოდორის ხეობის გოლგოთა გამოიარა, ყველას კარგად ახსოვს სამღვდელოების თავდადება.

საქართველოში და მთელს საქრისტიანოში ცნობილი და წმიდა ადგილია სოხუმის რაიონში მდებარე სოფელი კომანი. იქ პირველი საუკუნიდან არსებობდა ქრისტიანული სალოცავი. თანამედროვე მშვენიერი პატარა ტაძარი 80-იანი წლების ბოლოს აღადგინა აფხაზი ანუების ოჯახმა. კომანის ეკლსიაში ასვენია წმ. იოანე ოქროპირის სარკოფაგი. კომანშივეა წმ. ვასილისკოს საფლავი და იოანე ნათლისმცემლის მოკვეთილი თავის პოვნის ადგილი.

სწორედ ამ მიდამოებში მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლები მომხვდურებთან. მამა ანდრია (ყურაშვილი) იყო კომანის იოანე ოქროპირის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, რომელიც მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა. მისი სულიერი სიძლიერე და თავდადება ქრისტიანული სარწმუნოებისათვისა და სამშობლოსთვის წამებული მრავალი წმინდანის სადარია. ომს შეეწირნენ მამა სერგი, დედა მარია, ვლადიმეროვკის ეკლესიის დეკანოზი კრავცოვი და სხვა ღვთისმსახურნი. მონაზვნები და მღვდლები ხშირად მიდიოდნენ ბრძოლის წინა ხაზზე, ნათლავდნენ მოუნათლავებს და აზიარებდნენ ქრისტიანებს, დღესასწაულებზე საჩუქრები მიჰქონდათ მეომრებისთვის. ერთხელ, გუჯი წიკლაურის შენაერთში, მეთაურის ნებართვით, მღვდლებს აფხაზი ტყვეებიც კი მოუნათლავთ და უზიარებიათ.

ომის დროს გარდაცვლილი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი წერდა: „ის, რაც აფხაზეთში მოხდა, ჩემთვის, არა მხოლოდ როგორც ეკლესიის მსახურისათვის, არამედ როგორც მოქალაქისათვის, წარმოუდგენელი რამ არის. ბავშვობიდანვე ვეზიარე მას, რომ ქართველები და აფხაზები ნათესავები, ძმები არიან. ყოველთვის ამას ვქადაგებდი ამბიონიდანაც, მაგრამ ახლა ეჭვი გამიჩნდა, დიდი ეჭვი; როგორ შეიძლება ძმა იყოს ის, ვინც მოსაკლავად გაგიმეტებს და ტყვიას გესვრის. მე ღვთის

მსახური ვარ და ღვთისავე სახელით კაცს ნებისმიერ შეცდომას მივუტევებ, მაგრამ ეს მაშინ ხდება, როდესაც მოინანიებს დანაშაულს და მიტევებას ითხოვს. სამწუხაროდ, აქ ჯერ ვერ ვხედავ ამას. პირიქით, დამნაშავე სხვისთვის სისხლის გადაბრალებას ცდილობს. ეს ორმაგი შეცდომა და მკრეხელობაა. ყველაფრის პატიება არ შეიძლება, ამისათვის შთამომავლობა მოგვთხოვს პასუხს. როდესაც დამნაშავეზე ვლაპარაკობთ, მთელ ხალხს როდი ვგულისხმობ, ხალხი არ შეიძლება დამნაშავე იყოს, დამნაშავენი პიროვნებები არიან. ვლოცულობ ქართველთათვის და აფხაზთათვისაც, რომლებსაც თავგზას უბნევენ უკეთურები“[3].

აფხაზეთი მუდამ საპასუხისმგებლო რეგიონი იყო ქართული ეკლესიისათვის. საეკლესიო ცხოვრების პრობლემათა მოგვარების და ომის მძიმე პერიოდში მოსახლეობისათვის დახმარების მიზნით მისმა უწმინდესობამ ილია II შექმნა სასულიერო პირთა სპეციალური ჯგუფი, რომელთანაც ერთად სოხუმში ჩავიდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ახალი მმართველი, მთავარეპისკოპოსი დანიელი. სწორედ მისი თაოსნობით გაიშალა აქტიური მუშაობა, რომელიც ადამიანებს უმტკიცებდა ღვთისადმი რწმენას და მძიმე წუთებში სულიერი ძალების მოკრეფის საშუალებას აძლევდა. ამ პერიოდში სოხუმში ახალი ტაძარი აშენდა, სასულიერო სასწავლებელს გადაეცა ახალი კორპუსი აფხაზეთის ეპარქიის სამღვდელოების, მათი მეთაურის სულიერ შემართებას უსვამს ხაზს მეუფე დანიელის პასუხი კორესპონდენტის შეკითხვაზე: „საჭირო რომ იყოს, აიღებდით ავტომატს? - მადლობა ღმერთს, არა მაქვს ასეთი სურვილი, მაგრამ თუ ამას საჭიროება მოითხოვს... ღვთის ნება იქნება და ეკლესია აკურთხებს, ვფიქრობ, რომ მე ჩვენი წინაპრების მაგალითს მივბაძავ“. ამასთან, როგორც ქართველ ერს, ასევე მის სულიერ წინამძღოლს, ეკლესიას გათვითცნობიერებული აქვს, რომ ეს ომი გარეშე მტრის მიერ იყო პროვოცირებული. აი, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით მეუფე დანიელი: „ეს იყო ძმათა სისხლისღვრა. ისინი ერთი მიწის შვილები არიან. ჩვენ ისევე უნდა თანავუგრძნოთ მათ ჭირისუფლებს, როგორც ჩვენსას... ჩვენ ვლაპარაკობთ მათ მიერ ჩადენილ სისასტიკეზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის ის არაჯანსაღი ნაწილის ქმედება, რომელიც სამწუხაროდ, ასე მტკივნეულად გამოვლინდა ჩვენს შორის. ისინი არ უნდა გავაიგივოთ აფხაზ ხალხთან, ასე, როგორც არ უნდა გავაიგივოთ ქართველ ერთან ის სისასტიკენი, რაც საქართველოში ხდება“.[4]

საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესია ძალისხმევას არ აკლებს აფხაზეთის მტკივნეული პრობლემის მოგვარების დასაჩქარებლად. ამ თვალსაზრისით მას აქტიური კონტაქტები აქვს მსოფლიოს ყველა

[3] იქვე, გვ. 106-107, 110, 114.
[4] იქვე, გვ. 149.

მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, რუსეთის პატრიარქთან, სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებთან. უწმინდესის და უნეტარესის ილია II ყოველდღიური ზრუნვის საგანია საქართველოსთვის ეს უმძიმესი საკითხი. პრინციპული მნშვნელობის ნაბიჯები გადაიდგა აფხაზეთში ქართული სალოცავებისა და კულტურულ-ისტორიული ხასიათის ძეგლების დასაცავად. მისი ყოველდღიური ზრუნვის საგანია ომში დაღუპულთა და გენოციდის მსხვერპლთა სულის ცხონებისათვის ზრუნვა, დევნილთა და ლტოლვილთა, ობოლთა და მიუსაფართა მხარდაჭერა. საპატრიარქოსა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ინიციატივით ყოველი წლის 27 სექტემბერს - სოხუმის დაცემის დღეს - საქართველოს ეკლესიებში ტარდება პარაკლისები დაღუპულთა მოსახსენიებლად.

დღეს აფხაზეთის ეპარქიის წარმომადგენლებს მჭიდრო კავშირი აქვთ მთელს საქართველოში გაბნეულ და საზღვარგარეთ გადახვეწილ მრევლთან და, შეძლებისდაგვარად, მხარში უდგანან სულიერი და მატერიალური პრობლემების დაძლევაში. უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას დროებით რეზიდენციად გამოეყო მარტყოფის მონასტერი, სადაც სოხუმის მამათა მონასტრის წევრები ცხოვრობენ, ხოლო ბოდბის დედათა მონასტერში იმყოფებიან სოხუმის დედები.

ეკლესიაში მლოცველთა, საერთოდ, ქვეყანაში მორწმუნეთა მომრავლება იმის საწინდარია, რომ უფალმა მრავალი განსაცდელის მოვლინებით ცოდვილნი ჩაახედა საკუთარ სულში, სინდისში. ეს კი ბოროტების ძლევის, ერის გაჯანსაღების, გამთლიანებისა და საბოლოოდ აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის უტყუარი და ყველაზე საიმედო გზაა.

ღვთის კურთხევითა და საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით შეიქმნა ლოცვა ყოვლადწმიდა სამებისადმი აფხაზეთისათვის, რომელსაც აქვე მოვიყვანთ უდიდესი მოწიწებით:

„ყოვლადწმიდაო სამებაო, ერთარსებაო, მიუწვდომელო ძლიერებაო, მამაო ყოვლისამპყრობელო, ძეო მხოლოდშობილო, და წმიდაო სულო, ერთო ღმერთო, რომელი ყოვლისა ხილულისა და უხილავისა შემოქმედი ხარ, და უფალო, მიზეზო ყოველთა კეთილთაო, მომეც ჩვენ მადლი მოსავთა შენთა, დიდებად და გალობად ყოვლადპატიოსანსა და დიდადმშვენიერსა სახელსა შენსა.

სამებაო ყოვლადწმიდაო, მიუწვდომელო და გამოუკვლეველო. რომელი მართლმსაჯულებითა შენითა მოაწევ სამართლად რისხვასა ჩვენ ზედა ცოდვათა ჩვენთათვის. შენ შეგივრდებით და გევდრებით სახიერო უფალო, მოხედენ მოწყალებითა და ლმობიერებით აფხაზეთის მიწა-წყალსა ზედა მკვიდრსა ერსა ჩვენსა, მრავალგზის კეთებულსა და შეჭირვებულსა მძლავრებისაგან ბოროტისა და

განამტკიცე და დაიცევ იგი ყოვლისაგან სიკვდიდშემოსილისა წყლულებისა, ზედა მოსვლისაგან უცხო თესლთასა, ურთიერთ მტრობისა, სიძულვილისა და შურისძიებისაგან.

სამებაო წმიდაო, სრულებაო ყოველთა არსთაო, მოგვანიჭე ჩვენ მშვიდობა და სიმართლე მონათა ამათ შენთა, დედისა ღვთისა წილხვდომილისა ერისა, სრულიად საქართველოს მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა, და მას შინა აფხაზეთის მიწა-წყლის შვილთა, და კვალად აღადგინე ერთობა და მთლიანობა ქვეყანისა ჩვენისა და ღვთივდაცულობა საზღვართა ჩვენთა; ყოვლადსახიერო და მრავალმოწყალეო უფალო, მოგვმადლე ჩვენ განცდა თვისთა ცოდვათა, ნიჭი და ძალი მიტევებისა და ლმობიერებისა, განრინებად საცდურთაგან ბოროტისათა. რათა ჩვენ, ცოდვისაგან დაცემულნი მონანი და მხევალნი შენნი გარნა შეწევნითა შენითა აღმართულნი და მადლობელნი შენნი, გიგალობეთ შენ, გადიდებდეთ შენ და გევედრებოდეთ:

წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალენ ჩვენ დიდითა წყალობითა შენითა, ამინ“.